Programme funded by EUROPEAN UNION

Common borders. Common solutions.

საქართველოდან რუმინეთსა და ბულგარეთში შერჩეული პროდუქტების ექსპორტის შესაძლებლობის მიმოხილვა

AgroNet

2020

GIPA In hoc signo vinces

ELVA

CENTRUL DE DEZVOLTARE DEVELOPMENT CENTER SMART

Varna Economic Development Agency

სარჩევი

მოკლე მიმოხილვა **5**

მეთოდოლოგია **7**

წარმოება, ხელმისაწვდომი მომსახურება და ნაკლოვანებები **8**

კენკროვანი კულტურები 8

წარმოება და ბაზრის ხელმისაწვდომობა 8

მომსახურების მიმწოდებლები და შესაბამისი გადასახდელები 9

ნაკლოვანებები და ხარვეზები 11

ვაშლატამა და ატამი 11

წარმოება და ბაზრის ხელმისაწვდომობა 11

მომსახურების მიმწოდებლები და შესაბამისი გადასახდელები 12

ნაკლოვანებები და ხარვეზები 14

ჩირი 14

წარმოება და მარკეტინგის სისტემა 14

მომსახურების მიმწოდებლები და დაკავშირებული საფასურები 15

ნაკლოვანებები და ხარვეზები 15

წვენები 15

წარმოება და ბაზრის ხელმისაწვდომობა 15

მომსახურების მიმწოდებლები და დაკავშირებული საფასურები 16

ნაკლოვანებები და ხარვეზები 16

ყურძნისეული სპირტიანი სასმელები 16

წარმოება და ბაზრის ხელმისაწვდომობა 16

ნაკლოვანებები და ხარვეზები 16

ვაჭრობა **17**

გაუყინავი კენკროვანი კულტურები 17

მარწყვი 17

ჟოლო 20

მაყვალი 22

მოცხარი და ხურტკმელი 25

ლურჯი მოცვი და შტოში 29

ატამი და ვაშლატამა 32

ვაშლატამა 32

ატამი 36

ჩირი 40

გარგარის ჩირი 40

შავი ქლიავის ჩირი 42

ვაშლის ჩირი 46

ატმის ჩირი ... 50
მსხლის ჩირი ... 53
წვენები ... 57
ყურძნისეული სპირტიანი სასმელები ... 60
ევროკავშირის მოთხოვნები იმპორტთან დაკავშირებით ... 64
კენკროვანი კულტურები ... 65
ხარისხი ... 65
ზომა და შეფუთვა ... 65
ეტიკეტირება ... 65
პესტიციდების მინიმალური ნარჩენი რაოდენობა ... 66
ფიტოსანიტარიული მოთხოვნები ... 66
სურსათის უვნებლობა ... 66
ატამი და ვაშლატამა ... 66
ხარისხი ... 66
ზომა და შეფუთვა ... 67
ეტიკეტირება ... 67
პესტიციდების ნარჩენი მინიმალური რაოდენობა ... 67
ფიტოსანიტარიული მოთხოვნები ... 68
სურსათის უვნებლობა ... 68
ჩირი ... 68
ხარისხი ... 68
ზომა და შეფუთვა ... 69
ეტიკეტირების მოთხოვნები ... 69
სურსათის უვნებლობა ... 70
დამაბინძურებლები ... 71
პესტიციდების ნარჩენების მინიმალური რაოდენობა ... 71
საკვებ პროდუქტებში მძიმე მეტალების ოდენობის შეზღუდვა ... 72
მიკრობიოლოგიური დამაბინძურებლების საფრთხის შემცირება ... 72
ევროკავშირში იმპორტირებული საკვები პროდუქტების ოფიციალური სასაზღვრო კონტროლი ... 72
მოთხოვნა პროდუქტის შემადგენლობის აღნიშვნაზე ... 73
წვენები ... 74
პროდუქტის განსაზღვრება ... 74
ხარისხი ... 74
ზომები და შეფუთვა ... 75
სურსათის უვნებლობა ... 75
დამაბინძურებლები ... 76
პესტიციდების ნარჩენების მინიმალური რაოდენობა ... 76
საკვებ პროდუქტებში მძიმე მეტალების ოდენობის შეზღუდვა ... 77
მიკრობიოლოგიური დამაბინძურებლების საფრთხის შემცირება ... 77
ევროკავშირში იმპორტირებული საკვები პროდუქტების ოფიციალური სასაზღვრო კონტროლი ... 77
მოთხოვნა პროდუქტის შემადგენლობის აღნიშვნაზე ... 78
ყურძნისეული სპირტიანი სასმელები ... 79
საქართველოს ექსპორტის საბაჟო ტარიფები ევროკავშირში ... 79
ანალიზის შედეგები ... 79

მარკეტინგული მიდგომა.. 85
პოტენციური რისკები და პრობლემის მოგვარების გზები 85
დასკვნა და რეკომენდაციები 85
წყაროები 87
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი - GIPA 88
იეთიმ გურჯის ქ. #9.. 88
0105 თბილისი, საქართველო.. 88
ტელ.: (995 32) 249 75 00... 88
ელ.ფოსტა: drdve@gipa.ge.. 88
ვებგვერდი: www.gipa.ge... 88

Project funded by EUROPEAN UNION

Black Sea CROSS BORDER COOPERATION

მოკლე მიმოხილვა

ევროკავშირის ბაზარი დიდ შესაძლებლობას ქმნის საქართველოდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტისთვის. საქართველო, როგორც *ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების* ხელმომწერი, შერჩეული პროდუქციის ექსპორტზე ნულოვანი იმპორტის გადასახადით სარგებლობს და მხოლოდ ვაშლატამასა და ჟოლოზე ვრცელდება მინიმალური ფასის მოთხოვნა. სათანადო მარკეტინგული სტრატეგიის პირობებში, რაც ითვალისწინებს წარმოების ხარისხის ამაღლებას და მოსავლის აღების შემდგომი დამუშავების პროცედურების და ტრანსპორტირების პროცესების გაუმჯობესებას, საქართველოსთვის არსებობს შესაძლებლობა, კონკურენტუნარიანად მოამარაგოს სამიზნე ბაზრები შერჩეული პროდუქტებით.

ორეტაპიანი კვლევის შედეგად ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლისთვის შემდეგი პროდუქტები შეირჩა: (i) სხვადასხვა სახის კენკროვანი კულტურა, (ii) ატამი და ვაშლატამა, (iii) სხვადასხვა სახის ხილის ჩირი, (iv) ყურძნისეული სპირტიანი სასმელები და (v) არაფერმენტირებული (დაუდუღებელი) წვენები.

საქართველოს არ განუხორციელებია არც ერთი შერჩეული პროდუქტის ექსპორტი არც რუმინეთში და არც ბულგარეთში. საქართველოს საექსპორტო პოტენციალი რუმინეთსა და ბულგარეთში ერთად 0,5-0,6 მილიონი ევროა. საქართველოს ექსპორტისა და რუმინეთისა და ბულგარეთის იმპორტის ერთეულის ფასების შედარებითი მიმოხილვის, ქართული პროდუქციისთვის ბაზრის ხელმისაწვდომობისა და შერჩეული პროდუქტების ყოველთვიური სეზონური ინდექსების საფუძველზე, არაფერმენტირებულ წვენებს და ყურძნისეული წარმოშობის სპირტიან სასმელებს საუკეთესო პერსპექტივები აქვთ საქართველოდან ევროკავშირის ამ წევრ ქვეყნებში ექსპორტის თვალსაზრისით. ასევე, არსებობს სხვადასხვა სახის კენკროვანი კულტურების, ვაშლატამისა და ატმის ბულგარეთსა და რუმინეთში მიწოდების პოტენციალი. ყველაზე ნაკლებად პერსპექტიული საექსპორტო პროდუქტია ჩირი, ვაშლის ჩირის გამოკლებით. მთლიანობაში საქართველოს შერჩეული პროდუქტების საექსპორტო შესაძლებლობები რუმინეთთან მიმართებაში უფრო მნიშვნელოვანია ბულგარეთთან შედარებით.

ყურძნისეული სპირტიანი სასმელებს და არაფერმენტირებულ წვენებს აქვთ როგორც ბულგარეთში, ასევე რუმინეთში მთელი წლის განმავლობაში საექსპორტო პოტენციალი, იანვარში წვენების ექსპორტის გამოკლებით. ვაშლატამა შეიძლება ექსპორტირებული იქნეს ბულგარეთში სექტემბერში, რუმინეთში კი ივნისსა და ოქტომბერში, ხოლო ატმის საექსპორტო შესაძლებლობა მხოლოდ რუმინეთით შემოიფარგლება მაის-ივნისის პერიოდში და სექტემბერში. მარწყვს და მაყვალს აქვს საექსპორტო შესაძლებლობა როგორც ბულგარეთში, ასევე რუმინეთში, შესაბამისად, იანვარში, აპრილში და მაისში, და ივლისში. მოცხარი, ხურტკმელი, მტოში და ლურჯი მოცვი შეიძლება ექსპორტირებული იქნეს რუმინეთში ივნის-აგვისტოში და ივნის-ივლისში, შესაბამისად. ბულგარეთის ბაზარზე ივნის-ივლისის პერიოდში საქართველოსთვის არსებობს ვაშლის ჩირის ექსპორტის შესაძლებლობა.

ამ პროდუქტების წარმოებასა და გადამუშავებაში არის გამოწვევები და ნაკლოვანებები, რასაც გამოსწორება სჭირდება. ამ პრობლემების მოგვარება აამაღლებს ქართული პროდუქციის კონკურენტულობას.

კენკროვანი კულტურების წარმოებისას შეზღუდულია კენკრის წარმოებისთვის შესაფერისი მცენარეთა დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობა. ნედლეულის მიმწოდებლებს არ სურთ ამ პროდუქტების რეგისტრაცია და იმპორტი სექტორის შედარებით მცირე მასშტაბის გამო. გარდა ამისა, არის გარკვეული აღჭურვილობისა და ტექნიკის ნაკლებობა, რაც უარყოფითად მოქმედებს კენკრის ხარისხის შენარჩუნებაზე და შრომითი დანახარჯების შემცირებაზე; ესენია მულჩირების აღჭურვილობა,

Project funded by EUROPEAN UNION

კომბაინები და პატარა მაცივრები. ხარისხისანი შეფუთვა მთლიანად იმპორტირებულია, ხოლო შესაფუთი მასალების მიწოდების შეფერხება ხშირად დაბრკოლებაა მწარმოებლებისა და ექსპორტიორებისთვის. დაბოლოს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, პრობლემაა მწარმოებელთა შეზღუდული ცოდნა და გამოცდილება კენკრის სწორად წარმოებასა და მოსავლის დამუშავებაში. კენკრის წარმოება განვითარებადი სფეროა და საჭიროა მწარმოებლებისთვის წარმოებასა და მოსავლის აღების შემდგომ დამუშავებაში ტექნიკური დახმარების გაძლიერება.

წინასწარი გაგრილების ინფრასტრუქტურის არარსებობა ცივად შენახვის ობიექტებში პრობლემა იყო როგორც კენკროვანი კულტურების, ასევე ვაშლატამის/ატმის შემთხვევაში. წინასწარი გაგრილების არარსებობის გარდა, ატმის/ვაშლატამის მოსავლის აღების შემდგომ დამუშავებაზე უარყოფითად მოქმედებდა შესანახ ობიექტებში ტენიანობის კონტროლის ინფრასტრუქტურის არარსებობა. გარდა ამისა, არ არსებობს დახარისხებისა და კლასიფიცირების ხაზები ცივად შენახვის ობიექტებში, რომლებიც განთავსებულია იმ რეგიონებში, სადაც ატამი/ვაშლატამა მოჰყავთ. შესაბამისად, ცივად შენახვის ობიექტების პერსონალი აღნიშნულ ხილს იმ სახით ინახავდა, რა სახითაც მისი მიწოდება მოხდა. დახარისხებისა და კლასიფიცირების ტვირთი ფინანსებისა და დროის თვალსაზრისით მთლიანად ექსპორტიორებს დააწვათ. სხვა გამოწვევები ატმის/ვაშლატამის სექტორში დაკავშირებულია მცენარეთა დაცვის პროდუქტის ხარისხის მერყეობასთან, აგრეთვე წარმოების და ფერმერული ბიზნესის მართვის უნარებთან, მეწარმეთა შეზღუდულ ცოდნასთან მავნებლებისა და დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც იწვევს ხარჯების ზრდას და ქიმიკატების გადაჭარბებით გამოყენებას და უარყოფითად აისახება ხილის ხარისხზე.

ჩირის მწარმოებლების/ექსპორტიორების ძირითადი გამოწვევები მოიცავს ნედლეულის მაღალ ხარჯებს და გადამუშავების არასრულ ხაზებს, რაც ძალიან ზრდის მუშახელის ხარჯებს. არსებობს შესაძლებლობა, რომ ერთი მესამედით შემცირდეს წარმოების ხარჯები, თუ საწარმოებში შესაბამისი გადამუშავების ხაზები დამონტაჟდება.

ყურძნისეული სპირტიანი სასმელების წარმოებისას ღვინის ქარხნები სადისტილაციო მომსახურებაზე ხელშეკრულებებს ძირითადად მესამე პირებთან აფორმებენ, რადგან მხოლოდ ორიოდე ღვინის ქარხანას თუ აქვს საკუთარი სადისტილაციო დანადგარები. მთავარი პრობლემა მოძველებული სადისტილაციო მოწყობილობები და დისტილაციის მომსახურებისას სურსათის უვნებლობის ნორმების არასაკმარისი დაცვაა. ზოგიერთი ღვინის ქარხანა გეგმავს საკუთარი სადისტილაციო ობიექტების დივერსიფიცირებას და განვითარებას. მეორე გამოწვევაა ქართული ყურძნისეული სპირტიანი სასმელების შეზღუდული ცნობადობა საექსპორტო ბაზრებზე; შესაბამისად, ღვინის ქარხნებს ყურძნის სპირტი ბაზარზე ღვინის პაკეტის შემადგენელი ნაწილის სახით გააქვთ.

წვენების წარმოებაში ყველაზე დიდი გამოწვევაა ადგილობრივი ნედლეულის მაღალი ფასები და ხელმისაწვდომობა მოცულობისა და დროის თვალსაზრისით. შედარებით უკეთესი მდგომარეობა შეიქმნა იმ ხილის გადამუშავებაში, რომელიც კომერციულ ბაღებში მოჰყავთ: ეს არის ვაშლი და მანდარინი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ყველა განხილული გამოწვევის მიუხედავად, სათანადო პოლიტიკის/მხარდაჭერის პირობებში შესაძლებელია ქართული პროდუქტების საექსპორტო კონკურენტუნარიანობის გაზრდა.

მეთოდოლოგია

ექსპორტის შესაძლებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის მიზნებისათვის პროდუქტები შეირჩა ორეტაპიანი შერჩევის პროცესში. პირველი ეტაპი მოიცავდა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის პოტენციალის შეფასებას. მას საფუძვლად დაედო ორი ინდიკატორი, მათ შორის საექსპორტო პოტენციალის ინდიკატორი (EPI) და პროდუქტის დივერსიფიკაციის ინდიკატორი (PDI). საექსპორტო პოტენციალის ინდიკატორი განსაზღვრავს იმ პროდუქტებს, რომლებშიც ექსპორტიორი ქვეყანა უკვე დამკვიდრებულია როგორც საერთაშორისო მასშტაბით კონკურენტუნარიანი, რომელსაც აქვს ახალ ან არსებულ სამიზნე ბაზრებზე წარმატებული ექსპორტის კარგი პერსპექტივები. პროდუქტის დივერსიფიკაციის ინდიკატორი განსაზღვრავს იმ პროდუქტებს, რომელთა ექსპორტირება არ ხდება კონკურენტუნარიანი სახით ექსპორტიორი ქვეყნის მიერ, მაგრამ შესაძლებელია ქვეყნის ამჟამინდელი საექსპორტო კალათისა და ანალოგიური ქვეყნების საექსპორტო კალათების გათვალისწინებით. პროდუქციის სპექტრის იდენტიფიცირების შემდეგ მოეწყო შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან - საჯარო, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან. კონსულტაციების საფუძველზე გამოყენებული იქნა დამატებითი კრიტერიუმები შერჩეული პროდუქციის შემცირების მიზნით. ეს კრიტერიუმები იყო ბაზრის ზომა, ბაზრის ზრდა, ფარდობითი პოზიცია, საერთაშორისო კონკურენტებისგან დიფერენცირების შესაძლებლობა, წარმოების დონე, წარმოებაში ჩართული შინამეურნეობების რაოდენობა, წამყვანი ორგანიზაციების/მწარმოებლების არსებობა, მიწოდების ჯაჭვში ქალების მონაწილეობის დონე და გარემოსდაცვითი მდგრადობა.

კვლევაში გამოყენებული იქნა როგორც მეორადი, ასევე პირველადი მონაცემები. მეორადი მონაცემები მოიცავდა ინფორმაციას წარმოების, ვაჭრობისა და სასაზღვრო გადასახადების შესახებ. ინფორმაციის წყაროები იყო საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი (ITC), ევროკავშირის საექსპორტო დახმარების სამსახური, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. პირველადი მონაცემები მოიცავდა ინფორმაციას გარკვეული გაანალიზებული პროდუქციის წარმოებაზე, რაზეც ოფიციალური სტატისტიკური წყაროების ინფორმაცია არ არსებობს, აგრეთვე გაანალიზებული პროდუქციის წარმოებას და ბაზრის მახასიათებლებს; პირველადი მონაცემების ინფორმაციის წყაროები იყვნენ ექსპერტები და პრაქტიკოსები, მათ შორის მწარმოებლები, გადამამუშავებლები და ექსპორტიორები, და განვითარებადი ქვეყნებიდან იმპორტის წახალისების ცენტრის (CBI) რესურსები. კვლევამ ვაჭრობის მონაცემების (საშუალო, არასტაბილური) ანალიზისთვის სტატისტიკური საშუალებები გამოიყენა და შეაფასა სავაჭრო ინდიკატორების წლიური ზრდის ტემპები.

წარმოება, ხელმისაწვდომი მომსახურება და ნაკლოვანებები

კენკროვანი კულტურები

წარმოება და ბაზრის ხელმისაწვდომობა

ლურჯი მოცვი

ლურჯი მოცვის მთლიანი წარმოება საქართველოში დაახლოებით 500-600 ტონას შეადგენს. წარმოების დაახლოებით 70% თავმოყრილია მსხვილ მწარმოებლებთან, რომლებიც 2-30 ჰა ფართობზე საქმიანობენ. პროდუქციის დანარჩენი 30% მოდის მცირე მწარმოებლებზე, რომლებიც საშუალოდ 0.2-2 ჰა ფართობს ამუშავებენ. წარმოების ღირებულებაა დაახლოებით 3.5-4 ლარი/კგ. შრომის, მცენარეთა დაცვის პროდუქტებისა და სასუქების ხარჯები, შესაბამისად, წარმოადგენს მთლიანი წარმოების ღირებულების დაახლოებით 60%-ს, 15-20%-ს და 10%-ს.

საშუალოდ, ლურჯი მოცვის მოსავალი არის 4-5 ტონა/ჰა, ხოლო პოტენციური მოსავლიანობის სავარაუდო დონე დაახლოებით 12 ტონა/ჰა. ლურჯი მოცვი ბაზარზე მაისის ბოლოდან ივლისის ბოლომდე მიეწოდება; ბაზრის ხელმისაწვდომობის პიკია ივნისი. მწარმოებლების ფასი 8 ლარი/კგ იყო.

მოსავლის დაახლოებით 80% ექსპორტზე გადის, ხოლო 20% ადგილობრივ ბაზარს მიეწოდება. სათანადო პირობებში ლურჯი მოცვი 15 დღის განმავლობაში შეიძლება ინახებოდეს.[1]

ჟოლო

ჟოლოს წარმოების საშუალო წლიური მოცულობა 300 ტონას შეადგენდა. მთლიანი პროდუქციის დაახლოებით 20% ფართომასშტაბიანი ოპერაციებიდან მოდის, რომლებიც დაახლოებით 2-20 ჰა მიწის ფართობზე ხორციელდება; დანარჩენ 80%-ს მცირე მწარმოებლები აწარმოებენ, რომლებიც 0.1-2 ჰა ფართობზე საქმიანობენ.

ჟოლოს წარმოების ღირებულება დაახლოებით 3 ლარი/კგ-ია. შრომის, მცენარეთა დაცვის პროდუქტებისა და სასუქების ხარჯები, შესაბამისად, მთლიანი წარმოების ღირებულების დაახლოებით 60%-ს, 15-20%-ს და 10%-ს შეადგენს.

ჟოლო ბაზარზე ხელმისაწვდომია ივნისში და ოქტომბერ-ნოემბრის პერიოდში. მთლიანი პროდუქციის თითქმის 70% იკრიფება ივნისში, ხოლო დანარჩენი 30% - ოქტომბერ-ნოემბერში. ჟოლოს რეალური მოსავლიანობის დონეა დაახლოებით 4-5 ტონა/ჰა, ხოლო პოტენციური მოსავლიანობა - 14-15 ტონა/ჰა. ჟოლოს მწარმოებლის ფასი პირველი მოსავლის დროს არის 3.5-4 ლარი/კგ, ხოლო მეორე მოსავლის დროს - თითქმის 6.5 ლარი/კგ. ჟოლოს მთლიანი მოსავლის დაახლოებით 70% მიეწოდება ღია ბაზრებს, 25% - მცირე საცალო მაღაზიებს და 5% - საკონდიტრო ნაწარმის სექტორს. სათანადო პირობებში ჟოლოს შენახვა 4-5 დღის განმავლობაშია შესაძლებელი.[2]

მაყვალი

მაყვლის წარმოების საშუალო წლიური მოცულობა 200 ტონას შეადგენდა. მთლიანი პროდუქციის დაახლოებით 20% ფართომასშტაბიანი ოპერაციებიდან მოდის, რომლებიც დაახლოებით 2-20 ჰა

[1] ინტერვიუ კენკროვანი კულტურების ექსპერტთან, მწარმოებელთან და ექსპორტიორთან.
[2] ინტერვიუ კენკროვანი კულტურების ექსპერტთან, მწარმოებელთან და ექსპორტიორთან.

მიწის ფართობზე ხორციელდება; დანარჩენ 80%-ს მცირე მეურნეობები აწარმოებენ, რომელთა მიწის ნაკვეთების ფართობი 0.1-2 ჰექტარია.

წარმოების ღირებულებაა დაახლოებით 2.5 ლარი/კგ. შრომის, მცენარეთა დაცვის პროდუქტებისა და სასუქების ხარჯები, შესაბამისად, მთლიანი წარმოების ღირებულების დაახლოებით 60%-ს, 15-20%-ს და 10%-ს შეადგენს.

მაყვლის რეალური მოსავლიანობის დონეა დაახლოებით 10 ტონა/ჰა, ხოლო პოტენციური მოსავლიანობა - 15 ტონა/ჰა. მაყვალი ბაზარს მიეწოდება ივლის-აგვისტოს პერიოდში. შუა ივლისიდან შუა აგვისტომდე პერიოდი მიჩნეულია მიწოდების პიკურ პერიოდად. მაყვლის მწარმოებლის ფასი იყო 3-3.2 ლარი/კგ. მაყვლის საექსპორტო ფასი დაახლოებით 4-4.5 ლარი/კგ-ია. მაყვლის მთლიანი მოსავლის დაახლოებით 70% მიეწოდება ღია ბაზრებს, 25% - საცალო მაღაზიებს და 5% - საკონდიტრო ნაწარმის სექტორს. სათანადო პირობებში მაყვლის შენახვა 8-10 დღის განმავლობაშია შესაძლებელი.[3]

მარწყვი

მარწყვის წარმოების საშუალო წლიური მოცულობა 8-10 ათას ტონას შეადგენდა. წარმოება ძირითადად თავმოყრილია მცირე მწარმოებლებთან, რომლებიც 0.1-1 ჰა ფართობზე საქმიანობენ. არის რამდენიმე მსხვილი მწარმოებელი, რომლებიც დაახლოებით 1-3 ჰექტარის ფართობის მიწის ნაკვეთებზე საქმიანობენ.

წარმოების ფასია დაახლოებით 1 ლარი/კგ; შრომის ანაზღაურების ხარჯები შეადგენს წარმოების საერთო დანახარჯების დაახლოებით 70%-ს, ხოლო პესტიციდებისა და სასუქების ხარჯები - 15%-20%-ს და 10%-ს, შესაბამისად.

მარწყვი ბაზარზე ხელმისაწვდომია აპრილის ბოლოდან ივლისის ჩათვლით და სექტემბერ-ნოემბრის პერიოდში. მარწყვის საშუალო მოსავლიანობის დონეა დაახლოებით 8 ტონა, ხოლო პოტენციური მოსავლიანობა - 25 ტონა/ჰა. მთლიანი პროდუქციის თითქმის 95% იკრიფება აპრილ-ივნისში. მიწოდების პიკია მაისის შუა პერიოდი. მწარმოებლის ფასი მარწყვის პირველი მოსავლის დროს 3 ლარი/კგ-ია, ხოლო მეორე მოსავლის დროს - 5 ლარი/კგ. მარწყვის მთლიანი მოსავლის დაახლოებით 70% მიეწოდება ღია ბაზრებს, 25% - საცალო მაღაზიებს და 5% - საკონდიტრო ნაწარმის სექტორს. სათანადო პირობებში მარწყვის შენახვა 3-8 დღის განმავლობაშია შესაძლებელი.[4]

მომსახურების მიმწოდებლები და შესაბამისი გადასახდელები

ფერმებიდან ადგილობრივი და საერთაშორისო მყიდველებისთვის მოსავლის მიწოდებაში ბევრი შუამავალი და სადისტრიბუციო კომპანიაა ჩართული.[5]

სპეციალიზებული დისტრიბუტორები სხვადასხვა სახის კენკრით ამარაგებენ სუპერმარკეტების ქსელებს, ზოგი კი ღია ბაზრებს. ეს შუამავლები მიმწოდებლის ფასს დაახლოებით 1-1.5 ლარს/კგ-ზე ამატებენ. ბევრი მცირე მეწარმე მცირეგაბარიტიანი სატვირთო მანქანებით მუშაობს; ეს მეწარმეები ძირითადად კენკროვანი კულტურების მოსავალს აწვდიან ღია ბაზრებსა და მცირე საცალო (უბნის) მაღაზიებს. საშუალოდ, სუპერმარკეტების ქსელები ფასს 40%-ს ამატებენ, ღია ბაზრები - 20%-ს, ხოლო უბნის მაღაზიები - 30%-ს.

კენკრის საცალო ფასები მნიშვნელოვანი ცვალებადობით ხასიათდებოდა წარმოების მთელი სეზონის განმავლობაში. ჟოლოს გარდა, ყველა სახის კენკრის საცალო ფასები სეზონის დასაწყისსა და

---

[3] ინტერვიუ კენკროვანი კულტურების ექსპერტთან, მწარმოებელთან და ექსპორტიორთან.
[4] ინტერვიუ კენკროვანი კულტურების ექსპერტთან, მწარმოებელთან და ექსპორტიორთან.
[5] ინტერვიუ კენკროვანი კულტურების ექსპერტთან, მწარმოებელთან და ექსპორტიორთან.

ბოლოს მაღალი იყო, ხოლო ვარდნა ბაზრის ხელმისაწვდომობის პიკს შეესაბამებოდა. ჟოლოს შემთხვევაში უფრო მაღალი ფასები დაფიქსირდა მიწოდების სეზონის ბოლოს (სურ. 1).

სურ. 1. კენკრის საცალო ფასები საქართველოში



წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

შენახვის მომსახურება ხელმისაწვდომია, მაგრამ მისი საფასური საკმაოდ მაღალია. 100 კვადრატული მეტრი შესანახი ობიექტის ერთთვიანი იჯარა დაახლოებით 5 ათასი აშშ დოლარია და ამას ემატება ელექტროენერგიის ღირებულება.

შესაფუთი კონტეინერები თურქეთიდან არის იმპორტირებული. ძირითადად მათი ტევადობა 125 გრ და 0.5 კგ-ია. 125 გრ პლასტმასის კონტეინერის ფასია 4.5 აშშ ცენტი/ცალი. კონტეინერების შეზღუდული ხელმისაწვდომობის გამო, ზოგადად, კენკრას არ ამუშავებენ (დახარისხება, კლასიფიცირება) და ფუთავენ ადგილებზე, პირდაპირ საბოლოო კონტეინერში, და ეს პრაქტიკა უარყოფითად მოქმედებს პროდუქტის ხარისხზე. ჩვეულებრივ, ლურჯი მოცვის ექსპორტირება ხდება 125 გრამიან კონტეინერებში, ხოლო მაყვლისა - 0.5 კგ ტევადობის კონტეინერებში.

სპეციალიზებული ექსპორტიორები არ არსებობენ. კენკრის ექსპორტს ახორციელებენ ის მეწარმეები, რომლებიც მწვანილის, ატმის, ვაშლის და სხვა ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტით არიან დაკავებულები. ქართულ ბაზარზე ძალიან პროაქტიულები იყვნენ ექსპორტიორები აზერბაიჯანიდან. ისინი კენკრის ექსპორტს, ჩვეულებრივ, 12 ტონის ტევადობის მაცივრიანი სატვირთო მანქანებით ახდენენ. უფრო იშვიათად, ექსპორტიორები 5 ტონის ტევადობის მაცივრიან სატვირთო მანქანებს იყენებენ. ისინი ძირითადად რუსულ ბაზარს ამარაგებენ. ზოგი მეწარმე რუსეთის ბაზარს აფხაზეთის გავლით ამარაგებს ქართული კენკრით.

სპარსეთის ყურის ბაზრებზე კენკრა საჰაერო გზით მიეწოდება. საჰაერო ტრანსპორტირების ღირებულება 1.5-2 აშშ დოლარი/კგ-ს შეადგენდა. არსებობს სპარსეთის ყურის ბაზრებზე ექსპორტის გაფართოების შესაძლებლობა. ეს ბაზრები 10-14 დღიანი ფანჯრის შესაძლებლობას აძლევს საქართველოს ექსპორტს, სანამ ბაზარზე დაიწყება მოწოდება ესპანეთიდან და მაროკოდან. ხმელეთით ტრანსპორტირების ღირებულება სხვა საექსპორტო ბაზრებზე დაახლოებით 1 აშშ დოლარი/კგ-ია. ზემოხსენებული ტრანსპორტირების ხარჯები მოიცავს ტრანსპორტირების ფაქტობრივ ღირებულებას და დამატებით მომსახურების საფასურს.

ევროკავშირის ბაზრებზე ექსპორტი ადგილობრივი მეწარმეებისთვის არ განიხილებოდა მიმზიდველად შემდეგი მიზეზების გამო: მაღალი ხარისხის მოთხოვნები (GlobalGAP-ის

განსახორციელებლად დაახლოებით 13 ათასი ევროა საჭირო); ადგილობრივად ხელმისაწვდომი კენკრის სიიაფე და უკეთესი ხარისხი; და შესყიდვის შედარებით დაბალი ფასები სხვა ბაზრებთან შედარებით.[6]

ნაკლოვანებები და ხარვეზები

არსებობს საკმაოდ ბევრი ნაკლოვანება და ხარვეზი, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს მოსავლიანობის დონესა და ხარისხზე; ამაში შედის: ხარისხიანი მუშახელის სიმცირე, სათანადო სასხურებელი მოწყობილობების, მულჩირების მოწყობილობების, მოსავლის ასაღები ტექნიკის, წინასწარი გაგრილების საშუალებების, მცენარეთა დაცვის ადეკვატური პროდუქტების შეზღუდული ხელმისაწვდომობა, ადგილებზე შეფუთვის შესაძლებლობის არარსებობა და კენკრის მწარმოებლების არასაკმარისი ცოდნა და გამოცდილება.

ყველაზე დიდი გამოწვევა წინასწარი გაგრილების მომსახურების არარსებობაა, რაც უარყოფითად მოქმედებს საექსპორტო ბაზრებისთვის განკუთვნილი კენკრის ხარისხზე. ქვეყანაში არის მხოლოდ ერთი გამაგრილებელი. ეს გავლენას ახდენს ექსპორტის ხარისხზე. წინასწარი გაგრილების ერთი დანადგარი, რომლის ღირებულება 15 ათასი ევროა, საკმარისია 15 ჰექტარიანი ბაღისთვის. ასევე, აღინიშნება მცირე ზომის 300-400 კგ ტევადობის მაცივრიანი სატვირთო მანქანების ნაკლებობა (თითო ასეთი მეორადი მანქანა 2.5-3 ათასი ევრო ღირს) მინდვრიდან შესანახ ობიექტში მოსავლის მისატანად.

შრომის ანაზღაურების ხარჯი მაღალი იყო, რაც უმეტესწილად გამოწვეულია მოსავლის ხელით აღების მნიშვნელოვანი ხარჯებით. მოსავლის ასაღები მოწყობილობების (რომლის ღირებულება დაახლოებით 30 ათასი ევროა) ხელმისაწვდომობის გაზრდა მნიშვნელოვნად შეამცირებს ერთეულის წარმოების ღირებულებას. ჩვეულებრივ, კენკრის წარმოებისთვის საჭირო პესტიციდები ადგილობრივ ბაზარზე არ მოიპოვება; მიმწოდებლების მხრიდან ნაკლები იყო ინტერესი მცენარეთა დაცვის ამ პროდუქტების დარეგისტრირების მიმართ აღნიშნული სექტორის მცირე ზომის გამო.

ვაშლატამა და ატამი

წარმოება და ბაზრის ხელმისაწვდომობა

საქართველოში ატმისა და ვაშლატამის მთავარი მწარმოებლები არიან კახეთისა და შიდა ქართლის რეგიონები. 2014-18 წლებში საქართველოში ყოველწლიურად, საშუალოდ, იწარმოებოდა 28.2 ათასი ტონა ატამი და ვაშლატამა. კახეთისა და შიდა ქართლის რეგიონების საშუალო წილი მთლიან წარმოებაში, შესაბამისად, 81% და 15% იყო. საქართველოში და ორივე რეგიონში ატმისა და ვაშლატამის წარმოებას მზარდი ხასიათი ჰქონდა; ამ პერიოდის განმავლობაში საქართველოში წარმოების მოცულობა გაიზარდა 2%-ით, კახეთში 3%-ით და შიდა ქართლში დაახლოებით 1%-ით (სურ.2).

[6] ინტერვიუ კენკროვანი კულტურების ექსპერტებთან და ბაზრის მონაწილეებთან

სურ. 2. ატმის და ვაშლატამის წარმოება



წყარო: საქსტატი

ატმის და ვაშლატამის საშუალო მოსავალი თითო ხეზე დაახლოებით 60-70 კგ-ს შეადგენს. 400 ხე/ჰა-ზე განაშენიანების პირობებში თითო ხის მოსავლიანობა მთელ ჰექტარზე 24-27 ტონად ივარაუდება. დაახლოებით 3 ტონა ნარჩენებია და ერთ ჰექტარზე მოსავალი მხოლოდ დაახლოებით 21-24 ტონაა. მთლიანი მოსავლიდან, საშუალოდ, დაახლოებით 70%-ია ე.წ. I კლასის ატამი და ვაშლატამა, ხოლო დანარჩენი 30% განიხილება როგორც მე-2 ხარისხის მოსავალი.

საშუალოდ, ხარჯები თითო ჰექტარზე დაახლოებით 3,000-3,500 ლარია. ძირითადი ხარჯვითი პუნქტი შრომის ანაზღაურებაზე მოდის. მუშახელი ინტენსიურად გამოიყენება სხვადასხვა პრაქტიკის განსახორციელებლად, როგორიცაა მავნებლებისა და დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებები, საკვები ნივთიერებების უზრუნველყოფა, მოსავლის აღება და ა.შ. მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი ხარჯი პესტიციდებს უკავშირდება, ხოლო მესამე - სასუქებს.

ატმისა და ვაშლატამის მოყვანა მორწყვას საჭიროებს. ჩვეულებრივ, მწარმოებლები იყენებენ მწკრივთა შორის მორწყვის პრაქტიკას. მორწყვის წვეთოვანი სისტემების გამოყენება შეზღუდული იყო. წარმოებაში ყველაზე დიდი გამოწვევა გვალვა და სეტყვაა. ასევე, გვალვის დროს ხშირად აღინიშნება სარწყავი წყალმომარაგების დეფიციტი.

ზოგადად, მწარმოებლები მარკეტინგის საკითხს არ მიიჩნევენ პრობლემად. ატამი და ვაშლატამა ივნისის დასაწყისიდან სექტემბრამდეა ხელმისაწვდომი ბაზარზე. მყიდველები ჩადიან მეურნეობებში და ადგილზე ახორციელებენ შესყიდვას. ეს მყიდველები ადგილობრივი ცივად შენახვის ობიექტების ოპერატორები და შუამავლები არიან სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. გარკვეული გარიგების დროს, ძირითადად, შიდა ბაზრის მომარაგებისთვის, მწარმოებლები საკუთარ (მეორად) შეფუთვას იყენებენ; ეს არის ე.წ. ბანანის ყუთები.

მომსახურების მიმწოდებლები და შესაბამისი გადასახდელები

ძირითადად, არ არსებობს წინასწარი გაგრილება. ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაციით, ატმისა და ვაშლატამის კარგ მდგომარეობაში შენახვა შესაძლებელია ერთ თვემდე ვადით. ცივი საცავებიდან შესყიდვებს ახორციელებენ ექსპორტიორები აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და ოსეთიდან. ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაციით, შესყიდვების დიდი ნაწილი განკუთვნილია რუსეთის ბაზრისთვის. 170 კვადრატული მეტრის ცივად შენახვის ობიექტის იჯარის საფასური დაახლოებით 4,000 ლარია. ცივი შენახვის ოპერატორების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ელექტროენერგიის მიწოდების ხშირი შეწყვეტაა.

პლასტიკური ყუთების ადგილობრივი წარმოება არსებობს გურჯაანის რაიონში და თბილისში; გურჯაანში 14 კგ ტევადობის ყუთის ერთეულის ფასი დაახლოებით 0.1 ლარია, ხოლო 8 კგ ტევადობის ყუთების - დაახლოებით 0.24 ლარი. თბილისის შეფუთვის ფასები შემდეგია: 5 კგ ტევადობის ყუთი 1.05 ლარი, ხოლო 8 კგ ტევადობის პლასტმასის ყუთები 1.7 ლარი. ექსპორტისთვის ატამი და ვაშლატამა ერთ ფენად ეწყობა. ბაზრის აქტორების მიერ ყუთების ხარისხის შეფასებები განსხვავდებოდა.

ცივი შენახვის ობიექტზე პროდუქციის გაყიდვების ფასები ცვალებადი იყო. წელს, პირველი მოსავლის დროს, ადგილზე გაყიდვების ფასი იყო 1.4-1.5 ლარი/კგ, მეორე მოსავლის დროს - 2 ლარი/კგ, ხოლო სეზონის ბოლოს ფასები გაიზარდა 4 ლარამდე კილოგრამში.

ვაშლატამისა და ატმის ადგილობრივი საცალო ფასები მაღალია გაყიდვების სეზონის დასაწყისში და ბოლოს. ფასის ვარდნა შეესაბამება მიწოდების პიკს, შუა ივლისიდან შუა აგვისტომდე პერიოდში (სურათები 3 და 4).

სურ. 3. ვაშლატამის საშუალო საცალო ფასი თვეში



წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სურ. 4. ატმის საშუალო საბითუმო და საცალო ფასი თვეში



წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

არსებობს რამდენიმე საექსპორტო კომპანია, რომელთა სპეციალიზაცია ატმისა და ვაშლატამის ექსპორტია. საქართველოდან სხვადასხვა საექსპორტო ბაზრამდე ტრანსპორტირების საფასური მერყეობს 2,800 აშშ დოლარიდან 3,500 აშშ დოლარამდე ერთ სატვირთო მანქანაზე.

ნაკლოვანებები და ხარვეზები

ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაციით, ანალიზის პერიოდში ატმისა და ვაშლატამის ხარისხი ცვალებადი იყო ხილის ზომისა და ორგანოლეპტიკური მახასიათებლების მიხედვით. ექსპორტიორებმა ხარისხის ცვალებადობა მიაწერეს წარმოების არასწორ პრაქტიკას, ჯიშების მახასიათებლებს, მცენარეთა დაცვის პროდუქტების ხარისხს და მცენარეების დაცვის ზომების არაადეკვატურ განხორციელებას.

მიწოდების ჯაჭვის მოსავლის აღების შემდგომი დამუშავების ეტაპზე არ არსებობდა მოსავლის ცივად შენახვის შესაძლებლობა; ამან უარყოფითად იმოქმედა ატმისა და ვაშლატამის ხარისხზე.

ექსპორტიორების თვალსაზრისით, ექსპორტის ამჟამინდელი სისტემის ერთ-ერთი ნაკლოვანებაა შენახული პროდუქციის არასაკმარისი დამუშავება ცივად შენახვის ოპერატორების მიერ. ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაციით, ცივად შენახვის ოპერატორები მიწოდებისთანავე არ ახარისხებენ და არ ახდენენ ატმისა და ვაშლატამის კლასიფიცირებას. ხილი იმ სახით ინახება, რა სახითაც მიწოდება მოხდა. ამის ერთ-ერთი მიზეზია დახარისხებისა და კლასიფიცირების აღჭურვილობის არარსებობა. ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაციით, ცივად შენახვის ობიექტებს იმ რეგიონებში, სადაც ატამი და ვაშლატამა მოჰყავთ, არ გააჩნიათ დახარისხებისა და კლასიფიცირების საკუთარი ხაზები. საექსპორტო ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ექსპორტიორებს დამატებითი ხარჯების გაღება უწევთ დახარისხებისა და კლასიფიცირებისთვის, რაც ხელით ხორციელდება და ველზე დაახლოებით სამი დღეა საჭირო 17 ათასი ტონის მოცულობის ერთი სატვირთო მანქანის დასატვირთად. დახარისხება, კლასიფიცირება და 17 ათასი ტონიანი ერთი მაცივრიანი სატვირთო მანქანის დატვირთვა დაახლოებით 2 ათასი ლარი ღირს.

ექსპორტიორების აზრით, ქართველი მწარმოებლებისთვის ყველაზე დიდი გამოწვევა ევროკავშირის ბაზარზე გასვლის მხრივ არის პესტიციდების ნარჩენ რაოდენობასთან დაკავშირებული მოთხოვნის დაკმაყოფილება და სხვა მიმწოდებლებთან წარმატებული კონკურენცია ხილის ზომისა და ორგანოლეპტიკური მახასიათებლების თვალსაზრისით.

ჩირი[7]

წარმოება და მარკეტინგის სისტემა

არსებული მწარმოებლები/ექსპორტიორები სხვადასხვა სახის ჩირს აწარმოებენ. ჩვეულებრივ, ისინი არ აწარმოებენ შერეულ პროდუქციას. წარმოებული ჩირის მთავარი სახეობა შავი ქლიავია; ასევე იწარმოება ხურმის, ნესვისა და საზამთროს ჩირი. უკანასკნელ პერიოდში ადგილობრივმა კომპანიებმა მსხლისა და ყურძნის ჩირის წარმოებაც დაიწყეს.

ნედლეული, უმეტესად, ადგილობრივად მოიპოვება, იმპორტირებულია მხოლოდ ლეღვი და გარგარი. გადამამუშავებლები ადგილობრივი ნედლეულის ხარისხს მაღალ შეფასებას აძლევენ, თუმცა ერთეულის შესასყიდი ფასი ხშირად დაუშვებლად მაღალია. მაგალითად, ერთი კილოგრამი შავი ქლიავის, ვაშლის და ატმის შესასყიდი ფასი, შესაბამისად, 0.4-1.2 ლარი/კგ, 0.4-1.2 ლარი/კგ და 0.7 ლარი/კგ-ია. ექსპორტიორების აზრით, ნედლი მასალის მაღალი ფასის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი პირველადი სექტორის დაბალი პროდუქტიულობაა. გარდა ამისა, ნედლი მასალის ხარისხზე მნიშვნელოვანი უარყოფით ზემოქმედების მქონე მიზეზად ხშირად არახელსაყრელი კლიმატური პირობები სახელდება, როგორიცაა სეტყვა.

ჩირის ადგილობრივი სექტორი საექსპორტო ბაზრების მაღალი დონის სეგმენტზეა ორიენტირებული. საქართველოში წარმოებული ჩირი კონკურენციას უწევს ჩირის წარმოების სექტორის მსოფლიო ლიდერებს. ექსპორტი მოიცავს როგორც ჩვეულებრივ, ასევე ორგანულ ჩირებს. თუმცა ქართული

[7] ინტერვიუ მწარმოებელთან/ექსპორტიორთან

ჩირი მიეწოდება მაღალი კლასის სეგმენტს და მისი ფასები მაღალია, მაინც შესაძლებელია წარმოების ხარჯების მნიშვნელოვნად შემცირება. წარმოების მაღალი ხარჯი, უმთავრესად, დამოკიდებულია დამუშავებასთან დაკავშირებულ შრომაზე გაწეულ მაღალ ხარჯებთან. ზოგადად, დამუშავების ხაზები არ არის სრულყოფილი, რის გამოც მოითხოვება ხელით შრომა. ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტიორი საჭიროებს 40-50 ათასი აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიციას წარმოების ხაზის სრულყოფისთვის და შრომაზე გაწეული ხარჯების შემცირებისთვის. ასეთი ინვესტიცია საგრძნობლად - სამჯერაც კი - შეამცირებდა წარმოების ხარჯებს. საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი კონკურენტი ჩირის ექსპორტში უზბეკეთია. ნედლ მასალას უზბეკი გადამამუშავებლები ერთ კილოგრამში მაქსიმუმ 9 აშშ ცენტად ყიდულობენ. მიიჩნევა, რომ ნედლი მასალა უზეკეთში იაფია მაღალი პროდუქტიულობიდან და დაბალი ხარისხიდან გამომდინარე.

კომპანიათა უმეტესობას გააჩნია ISO (International Organization for Standardization - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია) და HACCP (Hazard Analysis and Critical Control Points - საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა) სერტიფიკატები. ზოგიერთი მათგანი გეგმავს BRC (British Retailers Consortium - ბრიტანეთის საცალო ვაჭრობის კონსორციუმი) სისტემის დანერგვას. მთავარი ბაზრებია ლიტვა, ჰონგ-კონგი, ჩეხეთის რესპუბლიკა, გერმანია და ნიდერლანდები. ადგილობრივ გადამამუშავებლებს საექსპორტო ბაზრებზე წარმატებული მარკეტინგისთვის არსებით საკითხად რეკლამა და მომხმარებლების ინფორმირებულობა მიაჩნიათ. მომხმარებლის ცნობიერების ამაღლების რამდენიმეწლიანი პროაქტიული კამპანიის შემდეგ ტრადიციული ჩირის მწარმოებლებმა მოახერხეს თავისი ადგილის მოძებნა ადგილობრივ ბაზარზე; თუმცა საცალო ვაჭრობის ადგილობრივ ჯაჭვებთან ურთიერთობისას ისინი მთელი რიგი სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ. ეს განსაკუთრებით უკავშირდებოდა ჯაჭვებში შეღწევის მაღალ საფასურს და სერიოზულ დაგვიანებებს თანხების მიღებაში.

მომსახურების მიმწოდებლები და დაკავშირებული საფასურები

ზოგადად, ჩირის მწარმოებლები თვითონვე არიან ექსპორტიორები და საკუთარ სადისტრიბუციო ქსელებს ამუშავებენ. საექსპორტო ბაზრებზე ისინი იყენებენ იმპორტიორის მომსახურებებს. ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაციით, საექსპორტო ბაზრებზე სხვადასხვა მხარის (იმპორტიორები, საბითუმოდ მოვაჭრეები, საცალოდ მოვაჭრეები) მიერ ამოღებული მარჟა უხეშად იგივეა, რაც საცალოდ მოვაჭრეების მიერ მიღებული ადგილობრივ სავაჭრო პუნქტებში. ევროკავშირის ბაზრებამდე ტრანსპორტირების საფასური შეადგენს 3,000 – 4,000 ევროს/სატვირთოზე, ხოლო მომსახურებას ადგილობრივი სატრანსპორტო კომპანიები ახორციელებენ.

ნაკლოვანებები და ხარვეზები

არსებობს მთელი რიგი ნაკლოვანებებისა, რომლებიც უარყოფით ზემოქმედებას ახდენენ ქართული ჩირის კონკურენტუნარიანობაზე როგორც საექსპორტო, ასევე ადგილობრივ ბაზრებზე. ამ ნაკლოვანებებს შორისაა ნედლი მასალის სიძვირე, არახელსაყრელი კლიმატური პირობები (სეტყვა) და სასურველი ხარისხის ნედლეულის სასურველი რაოდენობით მიღება და დაგროვება. კიდევ ერთი ნაკლოვანებაა არასრულყოფილი საწარმოო ხაზი, რაც ზრდის შრომაზე გაწეულ ხარჯებს. მესამეა საექსპორტო ბაზრებზე არსებულ მომხმარებელთა არასაკმარისი ინფორმირებულობა ქართული ჩირის შესახებ.

წვენები[8]

წარმოება და ბაზრის ხელმისაწვდომობა

წვენების წარმოებაში ჩართულია ხუთი კომპანია, თუმცა მათგან მხოლოდ სამი აწარმოებს წვენებს ახალი ხილისგან. აღნიშნული სამი კომპანიის საექსპორტო ბაზრები მათი პროდუქციის გაყიდვის მთავარი არხებია. ყველაზე რთული წვენების მწარმოებლებისთვის იყო ახალი ხილის ადგილობრივად მიღება. მთელი დატვირთვით მომუშავე კომერციულ ბაღებში მოდიოდა მხოლოდ

---

[8] ინტერვიუ ბაზრის ექსპერტებთან

ვაშლი, ატამი/ვაშლატამა და მანდარინი. ატამი/ვაშლატამა, ძირითადად, გაჰქონდათ სასოფლო-სამეურნეო ბაზრებზე და ამიტომ არ ხდებოდა მისი დამუშავება. ვაშლის და მანდარინის მოსავლის აღებისას ხდებოდა მათი ხარისხიანი ნაწილის გადამუშავება. წარმოება კონცენტრირებულია მცირე ზომის მწარმოებლებში და ის მათი საარსებო წყაროს მნიშვნელოვანი ნაწილია. აქედან გამომდინარე, ფასები ხარისხიანი ხილის გადამუშავებაზეც კი მაღალი იყო, რაც ზეგავლენას ახდენს საბოლოო პროდუქტის ფასზე. წვენების ერთი დიდი მწარმოებელი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ხილის წარმოებაშიც ჩაერთო.

ადგილობრივი ბაზარი არ არის მაინცდამაინც მიმზიდველი წვენების ადგილობრივი მწარმოებლებისთვის ისეთი ფაქტორების გამო, როგორიცაა შეზღუდული მოთხოვნა წვენებზე ადგილობრივ ბაზარზე, თუ გავითვალისწინებთ მომხმარებლის დაბალ გადახდისუნარიანობას და წვენის შემცვლელის - ლიმონათის არსებობას, ასევე საცალოდ ვაჭრობის ადგილობრივი ჯაჭვის მიერ „მყიდველის ზეგავლენით“ გადაჭარბებულ სარგებლობას, რაც ართულებს მიწოდებული პროდუქციის საფასურის დროულად ამოღებას.

მომსახურების მიმწოდებლები და დაკავშირებული საფასურები

ზოგადად, წვენების მწარმოებლები საკუთარ სადისტრიბუციო ქსელებს ამუშავებენ. წვენების მწარმოებელი კომპანიები თავად არიან ექსპორტიორები და თავადვე თანამშრომლობენ იმპორტიორებთან უცხოეთის ბაზრებზე.

ნაკლოვანებები და ხარვეზები

წვენების მწარმოებელთათვის მთავარი ნაკლოვანებაა სათანადო ხარისხის და შესაბამისი ფასის ნედლეულის სასურველი რაოდენობით და საჭირო ვადებში მოპოვებასთან დაკავშირებული სირთულეებია. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი სირთულეა საცალო ვაჭრობის ჯაჭვებისთვის მიწოდებული პროდუქციის ღირებულების ამოღება; ეს ხშირად იძულებულს ხდის წვენების მწარმოებლებს, ისესხონ თანხები საბრუნავი კაპიტალის უკმარისობის გამო.

ყურძნისეული სპირტიანი სასმელები[9]

წარმოება და ბაზრის ხელმისაწვდომობა

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ყურძნისეული სპირტიანი სასმელების წარმოებასა და ექსპორტში 31 კომპანიაა ჩაბმული. ყურძნის სპირტის წარმოება სულ უფრო მეტად ხასიათდება გარკვეული სქემით. ღვინის მწარმოებლები, ჩვეულებრივ, ყურძნის სპირტსაც აწარმოებენ და ყურძნის სპირტი ექსპორტზე გადის როგორც მთლიანი პაკეტის ნაწილი, ანუ ღვინის სხვადასხვა ტიპებთან ერთად. საქართველოდან არ ხდება ყურძნის სპირტის ცალკე ექსპორტირება.

როგორც გვაცნობეს, 31 კომპანიიდან მხოლოდ ერთი ან ორი კომპანია აწარმოებს დისტილაციის პროცესს თავად. დანარჩენი კომპანიები სადისტილაციო კომპანიების მომსახურებას იყენებენ. ისინი აღნიშნულ კომპანიებს აწვდიან მაჭარს, ხოლო მომსახურების მიმწოდებლები ყურძნის სპირტს უბრუნებენ.

ნაკლოვანებები და ხარვეზები

ყურძნისეული სპირტიანი სასმელების მწარმოებლებისთვის მთავარი სირთულეა დისტილაციის მომსახურების მიმწოდებელების მოძველებული სადისტილაციო დანადგარები და საკვები პროდუქტების უსაფრთხოების სტანდარტების შეზღუდულად შესრულება. ეს მოითხოვს პროცესის უწყვეტ ზედამხედველობას სადისტილაციო კომპანიებში.

---

[9] ინტერვიუ სახელმწიფო მარეგულირებელი სააგენტოს და ღვინის მწარმოებლის/ექსპორტიორის წარმომადგენლებთან

ზოგიერთმა დიდმა ღვინის კომპანიამ, რომლებმაც ყურძნისეული სპირტიანი სასმელების საექსპორტო ბაზრების შესწავლის შემდეგ სიტუაცია მიმზიდველად მიიჩნიეს, გადაწყვიტა ინვესტიციების განხორციელება საკუთარი სადისტილაციოს შექმნაში.

კიდევ ერთი სირთულეა საექსპორტო ბაზრებზე ქართული ყურძნისეული სპირტიანი სასმელების შესახებ ინფორმაციის სიმწირე. ეს მოითხოვს ყურძნისეული სპირტიანი სასმელების პროაქტიულ რეკლამირებას პოტენციურ საექსპორტო ბაზრებზე.

ღვინის ქარხნებისთვის ყველაზე დიდი ხარჯი ყურძნისეული სპირტიანი სასმელების წარმოებაში ბოთლის ღირებულებაა. მაღალი რეპუტაციის მქონე ყურძნის სპირტის მწარმოებლები ბოთლების იმპორტს აწარმოებენ იტალიიდან, საიდანაც ხარისხიანი ბოთლები 0.4 ევროდ შემოდის.

ვაჭრობა

გაუყინავი კენკროვანი კულტურები

მარწყვი

საქართველომ მარწყვის იმპორტი მხოლოდ 2017 წელს დაიწყო. საშუალოდ, 2017-2018 წლებში საქართველომ ექსპორტზე 51 ათასი ევროს ღირებულების 84 ტ მარწყვი გაიტანა. საექსპორტო მარწყვის ერთეულის ფასი იმ პერიოდში კილოგრამზე 0.6 ევროს შეადგენდა. 2017 წლიდან 2018 წლამდე მარწყვის ღირებულება, მოცულობა და საექსპორტო ერთეულის ფასები დაეცა, შესაბამისად, 75%-ით, 45%-ით და 35%-ით (ცხრილი 1).

ცხრილი 1. მარწყვის ექსპორტი წლების მიხედვით, საქართველო

	მარწყვი, ღირებულება	მარწყვი, მოცულობა	მარწყვი, ღირ./მოც.
2017	96	128,591	0.9
2018	6	38,777	0.4
საშუალო	51	83,684	0.6
CAGR (ზრდის საშუალო წლიური ტემპი)	-75%	-45%	-35%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

მარწყვის ექსპორტი ხორციელდებოდა იანვარში და აპრილ-ივნისში. მიწოდებამ პიკს მაისში მიაღწია. ფასები უფრო მაღალი იყო წლის დასაწყისში (0.9 ევრო/კგ) აპრილ-მაისთან შედარებით (0.35 ევრო/კგ) (სურ. 5, ცხრილი 5).

სურ. 5. საქართველოს მარწყვის ექსპორტის მაჩვენებლები თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 5. მარწყვის საექსპორტო ერთეულის საშუალო წლიური ფასები და მერყეობა

	საშუალო	მერყეობა
იან.	0.9	0.4
აპრ.	0.7	0.8
მაისი	0.3	0.7

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ქართული მარწყვის ექსპორტის მთავარი ბაზრები იყო რუსეთი, ლატვია და ყატარი. ამ ქვეყნების ექსპორტის წილები შესაბამისად შეადგენდა 14%-ს, 13%-სა და 1%-ს.

ბულგარეთის მარწყვის იმპორტს ახასიათებდა დაღმავალი ტენდენცია. იმპორტის ღირებულება და მოცულობა დაეცა 12%-ით და 6%-ით შესაბამისად; ასევე 15%-ით დაეცა საიმპორტო ერთეულის ფასი. ყოველწლიურად ბულგარეთი ახორციელებს საშუალოდ 3.1 მლნ ევროს ღირებულების 2.8 ათასი ტონა მარწყვის იმპორტს; საიმპორტო ერთეულის საშუალო ფასი შეადგენს 2.4 ევრო/კგ-ს (ცხრილი 6).

ცხრილი 6. მარწყვის წლიური იმპორტი, ბულგარეთი

	მარწყვი, ღირებულება	მარწყვი, მოცულობა	მარწყვი, ღირ./მოც.
2014	3,690	3,360,932	5.9
2015	2,353	1,838,323	1.6
2016	3,377	3,302,669	1.5
2017	3,417	2,840,370	1.7
2018	2,630	2,487,235	1.3
საშუალო	3,093	2,765,906	2.4
CAGR	-12%	-6%	-15%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ბულგარეთი მარწყვის იმპორტს მთელი წლის განმავლობაში ახორციელებდა. მიწოდებამ პიკს თებერვალ-ივლისში მიაღწია; მიწოდების ვარდნის განმავლობაში საიმპორტო ერთეულის ფასები (2-11 ევრო/კგ) საგრძნობლად გაიზარდა მაღალი მიწოდების პერიოდთან შედარებით (0.7-1.4 ევრო/კგ) (სურ. 6, ცხრილი 7).

სურ. 6. ბულგარეთის მარწყვის იმპორტის მაჩვენებელი თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 7. მარწყვის საიმპორტო ერთეულის საშუალო წლიური ფასები და მერყეობა

	საშუალო	მერყეობა
იან.	11.0	1.8
თებ.	1.6	0.2
მარტი	1.3	0.2
აპრ.	1.0	0.1

მაისი	1.1	0.1
ივნისი	0.7	0.2
ივლისი	0.8	0.6
აგვ.	1.4	0.6
სექტ.	3.8	0.6
ოქტ.	2.1	0.9
ნოემბ.	2.9	0.5
დეკ.	2.0	0.5

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

მარწყვის მთავარი მიმწოდებლები ბულგარეთის ბაზარზე იყვნენ საბერძნეთი, გერმანია და ალბანეთი. ამ ქვეყნებმა ბულგარეთს მიაწოდეს მარწყვის მთლიანი იმპორტის 87%, 7% და 1% შესაბამისად.

ანალიზის ჩატარების პერიოდში რუმინეთის მარწყვის იმპორტმა, თუმცა უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც იკლო. იმპორტის ღირებულება, მოცულობა და საიმპორტო ერთეულის ფასი, შესაბამისად, 3%-ით, 4%-ით და 1%-ით შემცირდა. რუმინეთი, საშუალოდ, წელიწადში ახორციელებს 7.4 მლნ ევროს ღირებულების 6 ათასი ტ მარწყვის იმპორტს; საიმპორტო ერთეულის საშუალო ფასი შეადგენს 3.3 ევრო/კგ-ს (ცხრილი 8).

ცხრილი 8. მარწყვის წლიური იმპორტი, რუმინეთი

	მარწყვი, ღირებულება	მარწყვი, მოცულობა	მარწყვი, ღირ./მოც.
2014	2,272	4,530,049	2.9
2015	1,932	4,454,132	2.5
2016	9,432	6,496,575	3.4
2017	11,196	6,563,573	3.8
2018	11,956	7,031,756	3.9
საშუალო	7,358	5,815,217	3.3
CAGR	3%	4%	1%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

მარწყვის იმპორტმა პიკს იანვარ-ივნისში მიაღწია და იკლო ივლის-დეკემბერში. იმპორტის ერთეულის ფასი კი პირიქით გამოიყურებოდა იმპორტის მოცულობასა და ღირებულებასთან შედარებით, იმპორტის ერთეულის ფასი შეადგენდა 1-6.3 ევრო/კგ-ს (სურ. 7, ცხრილი 9).

სურ. 7. რუმინეთის მარწყვის იმპორტის მაჩვენებელი თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 9. მარწყვის საიმპორტო ერთეულის საშუალო წლიური ფასები და მერყეობა, რუმინეთი

	საშუალო	მერყეობა
იან.	2.8	0.3
თებ.	2.3	0.3
მარტი	1.8	0.2
აპრ.	1.2	0.2
მაისი	1.2	0.3
ივნისი	1.0	0.3
ივლისი	5.3	0.5
აგვ.	4.2	0.3
სექტ.	4.5	0.4
ოქტ.	4.4	0.3
ნოემბ.	6.3	0.1
დეკ.	4.5	0.1

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

რუმინეთის მარწყვის იმპორტის 70% მოდიოდა სამ იპორტიორზე: თურქეთზე, საბერძნეთსა და გერმანიაზე, რომელთა წილი მარწყვის მთლიან იმპორტში შესაბამისად 30%-ს, 31%-ს და 9%-ს შეადგენდა.

ჟოლო

საქართველო არ აწარმოებდა ჟოლოს ექსპორტს ანალიზის პერიოდში. მიუხედავად ამისა, სექტორი იზრდებოდა და ჩანდა ექსპორტის პოტენციალი.

ბულგარეთი ყოველ წელს ახორციელებდა 58 ათასი ევროს ღირებულების 13.4 ათასი ტონა ჟოლოს იმპორტს. ჟოლოს საიმპორტო ერთეულის საშუალო ფასი შეადგენდა 7.4 ევრო/კგ-ს. ჟოლოს იმპორტის მოცულობას ახასიათებდა დაღმასვლის ტენდენცია (-4%), მაშინ, როცა იმპორტის ღირებულება იზრდებოდა (13%); საიმპორტო ერთეულის ფასები 3%-ით შემცირდა (ცხრილი 10).

ცხრილი 10. ჟოლოს წლიური იმპორტი, ბულგარეთი

	ჟოლო, ღირებულება	ჟოლო, მოცულობა	ჟოლო, ღირ./მოც.
2014	38	13,774	8.7
2015	75	18,904	7.6
2016	58	8,562	7.6
2017	46	14,248	5.3
2018	71	11,293	7.6
საშუალო	58	13,356	7.4
CAGR	13%	-4%	-3%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ბულგარეთი ჟოლოს იმპორტს მთელი წლის განმავლობაში ახორციელებდა. იმპორტმა პიკს იანვარში, მაისში, ოქტომბერსა და დეკემბერში მიაღწია. ივნისი-აგვისტოს განმავლობაში საიმპორტო ერთეულის ფასი (08-4.3 ევრო/კგ) ყველაზე დაბალი იყო. მთლიანობაში, საიმპორტო ერთეულის ფასები მიჰყვებოდა იმპორტის მოცულობისა და ღირებულების სიდიდეს (სურ. 8, ცხრილი 11).

სურ. 8. ბულგარეთის ჟოლოს იმპორტის მაჩვენებელი თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 11. ჟოლოს საიმპორტო ერთეულის საშუალო წლიური ფასები და მერყეობა, ბულგარეთი

	საშუალო	მერყეობა
იან.	8.3	0.6
თებ.	8.9	0.6
მარტი	8.7	0.5
აპრ.	7.5	0.5
მაისი	7.0	0.5
ივნისი	3.9	0.6
ივლისი	0.8	0.4
აგვ.	4.3	0.4
სექტ.		
ოქტ.	8.0	0.8
ნოემბ.	5.9	0.8
დეკ.	9.2	0.7

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ბულგარეთის ჟოლოს იმპორტის ბაზარზე მთავარი წყაროებია ესპანეთი, ნიდერლანდები და იტალია, რომელთა წილი ჟოლოს მთლიან იმპორტში, შესაბამისად, შეადგენდა დაახლოებით 34%-ს, 26%-სა და 16%-ს.

რუმინეთის ჟოლოს იმპორტი ხასიათდებოდა საგრძნობი ზრდით. იმპორტის ღირებულება, მოცულობა და საიმპორტო ერთეულის ფასები გაიზარდა, შესაბამისად, 64%-ით, 36%-ით და 17%-ით. რუმინეთს, საშუალოდ, ყოველ წელს შემოაქვს 1 მლნ ევროს ღირებულების 151 ტ ჟოლო. საიმპორტო ერთეულის საშუალო ფასი შეადგენს 7.6 ევრო/კგ-ს (ცხრილი 12).

ცხრილი 12. ჟოლოს წლიური იმპორტი, რუმინეთი

	ჟოლო, ღირებულება	ჟოლო, მოცულობა	ჟოლო, ღირ./მოც.
2014	239	62,533	4.4
2015	320	68,576	5.4
2016	776	82,157	9.7
2017	1,935	251,184	8.9
2018	2,875	287,985	9.5
საშუალო	1,229	150,487	7.6

CAGR	64%	36%	17%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ჟოლოს იმპორტის შემცირება მოხდა ივნის-სექტემბრის პერიოდში. საიმპორტო ერთეულის ფასის მოძრაობა ისეთივე იყო, როგორიც იმპორტის ღირებულებისა და მოცულობისა. საიმპორტო ერთეულის ფასები უდრიდა 3.7-10.8 ევრო/კგ-ს (სურ. 9, ცხრილი 12).

სურ. 9. რუმინეთის ჟოლოს იმპორტის მაჩვენებელი თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 12. ჟოლოს საიმპორტო ერთეული საშუალო წლიური ფასები და მერყეობა

	საშუალო	მერყეობა
იან.	8.1	0.6
თებ.	10.8	0.4
მარტი	7.9	0.4
აპრ.	8.3	0.4
მაისი	7.7	0.4
ივნისი	4.1	0.6
ივლისი	3.7	0.4
აგვ.	4.2	0.6
სექტ.	6.4	
ოქტ.	9.1	0.4
ნოემბ.	8.9	0.4
დეკ.	10.4	0.4

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ჟოლოს იმპორტის ნახევარზე მეტი შემოდიოდა ნიდერლანდებიდან, გერმანიიდან და ბელგიიდან. ამ ქვეყნების წილი რუმინეთის ჟოლოს მთლიან იმპორტში, შესაბამისად, შეადგენდა 59%-ს, 8%-ს და 4%-ს.

მაყვალი

2014-18 წლების მანძილზე საქართველომ მაყვალი ექსპორტზე მხოლოდ 2015 წელს გაიტანა. ექსპორტის ღირებულებამ და მოცულობამ მიაღწია 2 ათას ევროს 0.6 ტონაზე; საექსპორტო ერთეულის ფასი იყო 0.3 ევრო/კგ. მაყვლის ექსპორტის მთავარი ბაზარი რუსეთი იყო.

ბულგარეთის მაყვლის იმპორტს ახასიათებდა ზრდა. მაყვლის იმპორტის ღირებულება, მოცულობა და საიმპორტო ერთეულის ფასები, შესაბამისად, 25%-ით, 2%-ით და 11%-ით გაიზარდა. საშუალოდ, ბულგარეთი აწარმოებდა 90 ათასი ევროს ღირებულების 61 ტ მაყვლის იმპორტს. საიმპორტო ერთეულის ფასები 5 ევრო/კგ-ს უახლოვდებოდა (ცხრილი 13).

ცხრილი 13. მაყვლის წლიური იმპორტი, ბულგარეთი

	მაყვალი, ღირებულება	მაყვალი, მოცულობა	მაყვალი, ღირ./მოც.
2014	65	36,693	2.5
2015	333	164,905	2.2
2016	13	10,866	7.2
2017	30	47,287	6.2
2018	47	49,529	7.6
Mean	98	61,856	5.1
CAGR	25%	2%	11%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

მაყვლის იმპორტი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა. იმპორტმა პიკს თებერვალ-მაისში და სექტემბერ-ნოემბერში მიაღწია. მთლიანობაში საიმპორტო ერთეულის ფასების მოძრაობა და იმპორტის ღირებულება და მოცულობა მსგავს ხასიათს ატარებდა წლის განმავლობაში. ფასი დაბალი (1.4 ევრო/კგ) იყო სექტემბერში, ხოლო საიმპორტო ერთეულის მაღალმა ფასმა იანვარში შეადგინა 7.3 ევრო/კგ (სურ. 10, ცხრილი 14).

სურ. 10. ბულგარეთის მაყვლის იმპორტის მაჩვენებელი თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 14. მაყვლის საიმპორტო ერთეულის წლიური საშუალო ფასები და მერყეობა, ბულგარეთი

	საშუალო	მერყეობა
იან.	7.3	0.6
თებ.	3.1	0.8
მარტი	5.5	1.2
აპრ.	5.4	1.0
მაისი	6.0	0.9
ივნისი	2.8	0.8

ივლისი	4.8	0.7
აგვ.	1.3	0.4
სექტ.	1.4	0.4
ოქტ.	4.2	1.1
ნოემბ.	3.6	1.0
დეკ.	4.8	1.0

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ბულგარეთის ბაზარზე მაყვალი, ძირითადად, შედიოდა პოლონეთიდან, გერმანიიდან და ჰოლანდიიდან. ამ ქვეყნების წილი ბულგარეთის ჟოლოს მთლიან იმპორტში შეადგენდა, შესაბამისად, 32%-ს, 28%-ს და 26%-ს.

რუმინეთის მაყვლის იმპორტის ღირებულება და მოცულობა ზრდით ხასიათდებოდა. მაყვლის მიწოდება გაიზარდა 7%-ით, მოცულობა - 43%-ით, ხოლო საიმპორტო ერთეულის ფასი 10%-ით დაეცა. საშუალოდ, რუმინეთმა წელიწადში განახორციელა 474 ათასი ევროს ღირებულების 106 ტ მაყვლის იმპორტი.

ცხრილი 15. მაყვლის წლიური იმპორტი, რუმინეთი

	მაყვალი, ღირებულება	მაყვალი, მოცულობა	მაყვალი, ღირ./მოც.
2014	131	34,448	
2015	289	153,466	
2016	296	71,739	
2017	773	88,384	9.7
2018	881	180,915	7.9
საშუალო	474	105,790	8.8
CAGR	7%	43%	-10%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

მაყვლის იმპორტმა პიკს თებერვალში, მაის-ივნისში და სექტემბერ-ნოემბერში მიაღწია. მთლიანობაში საიმპორტო ერთეულის ფასები უფრო მაღალი იყო წლის პირველ ნახევარში, მეორე ნახევართან შედარებით. საიმპორტო ერთეულის საშუალო ფასები მერყეობდა 4.2-11 ევრო/კგ-ს შორის (სურ. 11, ცხრილი 15).

სურ. 11. რუმინეთის მაყვლის იმპორტის მაჩვენებლები თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 15. მაყვლის საიმპორტო ერთეულის წლიური საშუალო ფასები და მერყეობა, რუმინეთი

	საშუალო	მერყეობა
იან.	8.3	0.6
თებ.	8.3	0.7
მარტი	11.0	0.4
აპრ.	7.1	0.5
მაისი	9.6	0.5
ივნისი	5.8	0.8
ივლისი	5.2	0.7
აგვ.	6.4	0.7
სექტ.	4.2	0.7
ოქტ.	5.8	1.0
ნოემბ.	6.6	1.1
დეკ.	8.0	0.8

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

რუმინეთის მაყვლის იმპორტის 79% შემოვიდა ნიდერლანდებიდან, ბელგიიდან და ესპანეთიდან. ამ ქვეყნებმა ცალ-ცალკე რუმინეთს მიაწოდეს მაყვლის მთლიანი ექსპორტის, შესაბამისად, 73%, 4% და 2%.

მოცხარი და ხურტკმელი

2014-18 წლების განმავლობაში საქართველომ მოცხრის და ხურტკმლის ექსპორტი მხოლოდ 2017 და 2018 წლებში განახორციელა. საშუალო ღირებულობამ, მოცულობამ და საექსპორტო ერთეულის ფასმა, შესაბამისად, შეადგინა 17 ათასი ევრო, 11 ტონა და 1.8 ევრო/კგ. 2017 წლიდან 2018 წლამდე ექსპორტის მოცულობა და მოცხრისა და ხურტკმლის ექსპორტის ღირებულება გაიზარდა, შესაბამისად, 55%-ით და 72%-ით, თუმცა საექსპორტო ერთეულის ღირებულება 11%-ით დაეცა (ცხრილი 16).

ცხრილი 16. მოცხრისა და ხურტკმლის წლიური ექსპორტი, საქართველო

	მოცხარი და ხურტკმელი, ღირებულება	მოცხარი და ხურტკმელი, მოცულობა	მოცხარი და ხურტკმელი, ღირ./მოც.
2017	10	5,513	2.0
2018	24	16,216	1.6
საშუალო	17	10,865	1.8
CAGR	55%	72%	-11%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

მოცხრისა და ხურტკმლის ექსპორტი ივნის-აგვისტოში ხორციელდებოდა. ექსპორტმა პიკს ივლისში მიაღწია. ივლისში ასევე ყველაზე მაღალი იყო საექსპორტო ერთეულის ფასი - 0.6 ევრო/კგ. საექსპორტო ერთეულის ფასები გაიზარდა 0.4 ევრო/კგ-დან 0.6 ევრო/კგ-მდე (სურ. 12, ცხრილი 17).

სურ. 12. საქართველოს მოცხრისა და ხურტკმლის ექსპორტის მაჩვენებლები თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 17. მოცხრისა და ხურტკმლის საექსპორტო ერთეულის საშუალო წლიური ფასები და მერყეობა, საქართველო

მოცხარი და ხურტკმელი		
	საშუალო	მერყეობა
ივნ.	1.8	0.4
ივლ.	1.6	0.6
აგვ.	2.3	0.4

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

მოცხრისა და ხურტკმლის თითქმის მთლიანი ექსპორტი საქართველოდან გადიოდა რუსეთში, მხოლოდ მისი ძალიან მცირე ნაწილი იყო გატანილი სომხეთის ბაზარზე.

ბულგარეთი, საშუალოდ, აწარმოებდა 50 ათასი ევროს ღირებულების 164 ტ მოცხრისა და ხურტკმლის იმპორტს. საიმპორტო ერთეულის ფასი შეადგენდა 2.5 ევრო/კგ-ს. იმპორტს ახასიათებდა კლების ტენდენცია; იმპორტის ღირებულება და მოცულობა შემცირდა, შესაბამისად, 31%-ით და 36%-ით, თუმცა საიმპორტო ერთეულის ფასი 34%-ით გაიზარდა (ცხრილი 18).

ცხრილი 18. მოცხრისა და ხურტკმლის წლიური იმპორტი, ბულგარეთი

	მოცხარი და ხურტკმელი, ღირებულება	მოცხარი და ხურტკმელი, მოცულობა	მოცხარი და ხურტკმელი, ღირ./მოც.
2014	106	343,242	1.0
2015	52	140,889	0.5
2016	57	237,020	4.6
2017	19	63,530	2.3
2018	16	36,513	4.3
საშუალო	50	164,239	2.5
CAGR	-31%	-36%	34%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

მოცხრისა და ხურტკმლის იმპორტს ბულგარეთი წლის განმავლობაში ახორციელებდა. იმპორტმა პიკს ივლის-სექტემბერში მიაღწია. საიმპორტო ერთეულის ფასი მაღალი იყო აპრილში (22.8 ევრო/კგ), ხოლო დაბალი - აგვისტოსა და ოქტომბერში (0.3 ევრო/კგ) (სურ. 13, ცხრილი 19).

სურ. 13. ბულგარეთის მოცხრისა და ხურტკმლის იმპორტის მაჩვენებლები თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 19. მოცხრისა და ხურტკმლის საიმპორტო ერთეულის საშუალო წლიური ფასები და მერყეობა, ბულგარეთი

	საშუალო	მერყეობა
იან.	6.7	1.3
თებ.	3.0	1.0
მარტი	5.1	1.2
აპრ.	22.8	0.4
მაისი	1.6	0.7
ივნისი	1.2	0.4
ივლისი	0.4	0.6
აგვ.	0.3	0.6
სექტ.	0.2	0.5
ოქტ.	0.3	0.7
ნოემბ.	1.1	1.3
დეკ.	2.4	1.1

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ბულგარეთში მოცხრისა და ხურტკმლის იმპორტის 90% საბერძნეთმა, პოლონეთმა და ნიდერლანდებმა განახორციელეს. ბულგარეთში მოცხრისა და ხურტკმლის ამ ქვეყნებიდან შესული იმპორტის პროპორცია შეადგენდა, შესაბამისად, 61%-ს, 14%-სა და 15%-ს.

რუმინეთის მოცხრისა და ხურტკმლის იმპორტის ღირებულება გაიზარდა (17%), ხოლო მოცულობა შემცირდა (-4%); საიმპორტო ერთეულის ფასი 27%-ით გაიზარდა. რუმინეთი წლიურად, საშუალოდ, 479 ათასი ევროს ღირებულების 103 ტ მოცხრისა და ხურტკმლის იმპორტს აწარმოებდა (ცხრილი 20).

ცხრილი 20. მოცხრისა და ხურტკმლის წლიური იმპორტი, რუმინეთი

	მოცხარი და ხურტკმელი, ღირებულება	მოცხარი და ხურტკმელი, მოცულობა	მოცხარი და ხურტკმელი, ღირ./მოც.
2014	313	101,790	3.9
2015	370	157,230	3.0
2016	470	107,258	6.7
2017	550	66,193	10.9
2018	692	84,274	12.8
საშუალო	479	103,349	7.4
CAGR	17%	-4%	27%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

იმპორტის მოცულობის შემცირება მოდიოდა ივნის-სექტემბერზე, ხოლო იმპორტის ღირებულებისა - აპრილ-ივნისზე. საიმპორტო ერთეულის ფასმა პიკს იანვარ-მაისში მიაღწია. საიმპორტო ერთეულის ფასი 4.1 და 12.3 ევროს შორის მერყეობდა (სურ. 14, ცხრილი 21).

სურ. 14. რუმინეთის მოცხრისა და ხურტკმლის იმპორტის მაჩვენებლები თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 21. მოცხრისა და ხურტკმლის საიმპორტო ერთეულის საშუალო წლიური ფასები და მერყეობა, რუმინეთი

	საშუალო	მერყეობა
იან.	8.6	0.8
თებ.	7.6	1.1
მარტი	7.8	0.7
აპრ.	12.0	0.8
მაისი	12.3	0.7
ივნისი	5.1	0.5
ივლისი	4.1	0.9
აგვ.	5.9	0.6
სექტ.	6.7	0.6
ოქტ.	6.3	0.6
ნოემბ.	6.0	0.8
დეკ.	6.8	0.6

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

რუმინეთის ბაზარზე ნიდერლანდებმა, ბელგიამ და ესპანეთმა ერთად მოცხრისა და ხურტკმლის იმპორტის 79% განახორციელეს. მათი ინდივიდუალური წილი შეადგენდა, შესაბამისად, 73%-ს, 4%-სა და 2%-ს.

ლურჯი მოცვი და შტოში

საქართველომ, საშუალოდ, განახორციელა 303 ათასი ევროს ღირებულების 74 ტ ლურჯი მოცვისა და შტოშის ექსპორტი. ანალიზის პერიოდში ლურჯი მოცვისა და შტოშის ექსპორტის ღირებულება და მოცულობა გაიზარდა, შესაბამისად, 28%-ით და 30%-ით. ამავე დროს საექსპორტო ერთეულის ფასები 1%-ით გაიზარდა (ცხრილი 22).

ცხრილი 22. ლურჯი მოცვისა და შტოშის წლიური ექსპორტი, საქართველო

	ლურჯი მოცვი, შტოში და ა.შ., ღირებულება	ლურჯი მოცვი, შტოში და ა.შ., მოცულობა	ლურჯი მოცვი, შტოში და ა.შ., ღირ./მოც.
2014	109	28,380	3.9
2015	194	40,339	7.9
2016	424	84,830	5.0
2017	410	110,520	3.7
2018	378	106,828	4.1
საშუალო	303	74,179	4.9
CAGR	28%	30%	1%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ლურჯი მოცვისა და შტოშის ექსპორტი მაის-ივლისში ხორციელდებოდა. მიწოდებამ პიკს ივნისში მიაღწია. საექსპორტო ერთეულის ფასები დაეცა მიწოდების სეზონში 10.3 ევრო/კგ-დან 3.9 ევრო/კგ-მდე. ფასების მერყეობა, სხვა პერიოდებთან შედარებით, უფრო დიდი იყო სეზონის დასაწყისში (სურ. 15, ცხრილი 23).

სურ. 15. საქართველოს ლურჯი მოცვისა და შტოშის ექსპორტის მაჩვენებელი თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 23. ლურჯი მოცვისა და შტოშის საექსპორტო ერთეულის წლიური საშუალო ფასები და მერყეობა, საქართველო

	საშუალო	მერყეობა
მაისი	10.3	0.6

ივნ.	4.2	0.2
ივლ.	3.9	0.2

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ლურჯი მოცვისა და შტოშის ექსპორტი კონცენტრირებული იყო სამი ქვეყნის - რუსეთის, არაბთა გაერთიანებული საამიროებისა და ყატარის - ბაზრებზე, სადაც გატანილი იქნა მთლიანი ექსპორტის 83%. აღნიშნული ქვეყნების ინდივიდუალურმა წილმა მთლიანი ექსპორტის, შესაბამისად, 73%, 7% და 3% შეადგინა.

საშუალოდ, ბულგარეთი წლიურად ახორციელებდა 700 ათასი ევროს ღირებულების 204 ტ ლურჯი მოცვისა და შტოშის იმპორტს. საიმპორტო ერთეულის საშუალო ფასი იყო 5.1 ევრო/კგ. იმპორტის როგორც ღირებულება, ასევე მოცულობა ანალიზის პერიოდში დაეცა 18%-ით და 6%-ით შესაბამისად. ამავე დროს საიმპორტო ერთეულის ფასები დაეცა, საშუალოდ, 4%-ით. ბულგარეთი ლურჯი მოცვისა და შტოშის იმპორტს მთელი წლის განმავლობაში ახორციელებდა (ცხრილი 24).

ცხრილი 24. ლურჯი მოცვისა და შტოშის წლიური იმპორტი, ბულგარეთი

	ლურჯი მოცვი, შტოში და სხვ., ღირებულება	ლურჯი მოცვი, შტოში და სხვ., მოცულობა	ლურჯი მოცვი, შტოში და სხვ., ღირ./მოც.
2014	341	97,344	5.0
2015	509	149,468	6.2
2016	564	177,384	5.5
2017	870	278,734	4.5
2018	1,214	315,680	4.2
საშუალო	700	203,722	5.1
CAGR	18%	6%	-4%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

მიწოდებამ პიკს თებერვალში, აპრილში, ივნისში, აგვისტოსა და ნოემბერში მიაღწია. შესამჩნევი ვარდნა შეიმჩნეოდა ივლისსა და დეკემბერში. საიმპორტო ერთეულის ფასები ნაკლებად მერყეობდა, ვიდრე იმპორტის ღირებულება და მოცულობა. საიმპორტო ერთეულის მაღალი ფასები აღინიშნა მარტში, სექტემბერსა და დეკემბერში (5.9-8.1 ევრო/კგ) (სურ. 16, ცხრილი 25).

სურ. 16. ბულგარეთის ლურჯი მოცვისა და შტოშის იმპორტის მაჩვენებელი თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 25. ლურჯი მოცვისა და შტოშის საიმპორტო ერთეულის საშუალო წლიური ფასები და მერყეობა, ბულგარეთი

	საშუალო	მერყეობა
იან.	4.2	0.3
თებ.	4.3	0.8
მარტი	8.1	0.7
აპრ.	4.6	0.5
მაისი	4.1	0.3
ივნისი	3.3	0.2
ივლისი	4.6	0.3
აგვ.	4.3	0.5
სექტ.	5.9	1.0
ოქტ.	5.4	0.7
ნოემბ.	4.9	0.6
დეკ.	7.2	0.5

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ბულგარეთის ლურჯი მოცვისა და შტოშის იმპორტის თითქმის 67% შემოვიდა ნიდერლანდებიდან, გერმანიიდან და სლოვაკეთიდან. ამ ქვეყნების წილი ლურჯი მოცვისა და შტოშის მთლიან იმპორტში, შესაბამისად, 50%-ს, 15%-ს და 2%-ს შეადგენდა.

რუმინეთის ლურჯი მოცვისა და შტოშის იმპორტის მოცულობა 18%-ით გაიზარდა, თუმცა ღირებულება დაეცა 4%-ით. ამავე დროს საიმპორტო ერთეულის ფასები მნიშვნელოვნად, თითქმის 55%-ით გაიზარდა. საშუალოდ, წელიწადში რუმინეთი ახორციელებდა 2 მლნ ევროს ღირებულების 609 ტ ლურჯი მოცვისა და შტოშის იმპორტს. საიმპორტო ერთეულის ფასი შეადგენდა 6.6 ევრო/კგ-ს (ცხრილი 26).

ცხრილი 26. ლურჯი მოცვისა და შტოშის წლიური იმპორტი, რუმინეთი

	ლურჯი მოცვი, შტოში და სხვ., ღირებულება	ლურჯი მოცვი, შტოში და სხვ., მოცულობა	ლურჯი მოცვი, შტოში და სხვ., ღირ./მოც.
2014	529	100,043	5.6
2015	914	163,302	6.7
2016	1,567	397,684	5.4
2017	3,898	997,353	4.4
2018	3,621	1,386,105	10.6
საშუალო	2,106	608,897	6.6
CAGR	-4%	18%	55%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ლურჯი მოცვისა და შტოშის იმპორტმა პიკს მარტ-მაისში, აგვისტოსა და ნოემბერში მიაღწია. საიმპორტო ერთეულის ფასები წლის პირველ ნახევარში იყო ერთნაირი, თუმცა საგრძნობი შემცირება შეიმჩნეოდა აგვისტოდან დეკემბრის ჩათვლით. საიმპორტო ერთეულის ფასები მერყეობდა 5.5 და 16.1 ევრო/კგ-ს შორის (სურ. 17, ცხრილი 27).

სურ. 17. რუმინეთის ლურჯი მოცვისა და შტოშის იმპორტის მაჩვენებელი თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 27. ლურჯი მოცვისა და შტოშის საიმპორტო ერთეულის წლიური საშუალო ფასები და მერყეობა, რუმინეთი

	საშუალო	მერყეობა
იან.	6.1	0.5
თებ.	5.9	0.3
მარტი	5.6	0.2
აპრ.	6.3	0.2
მაისი	5.8	0.2
ივნისი	6.0	0.2
ივლისი	5.5	0.3
აგვ.	16.1	1.8
სექტ.	3.7	0.7
ოქტ.	7.4	0.6
ნოემბ.	3.6	0.5
დეკ.	6.8	0.4

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

რუმინეთის ლურჯი მოცვისა და შტოშის იმპორტის უდიდესი ნაწილი ნიდერლანდებიდან, გერმანიიდან და საფრანგეთიდან შემოდიოდა. ამ ქვეყნების წილმა ლურჯი მოცვისა და შტოშის მთლიან იმპორტში, შესაბამისად, 49%, 22% და 6% შეადგინა.

ატამი და ვაშლატამა

ვაშლატამა

2014-2018 წლების განმავლობაში საქართველო წლიურად ახორციელებდა საშუალოდ 2 მლნ ევროს ღირებულების 4.4 ტ ვაშლატამის ექსპორტს. საექსპორტო ერთეულის საშუალო ფასი აღნიშნულ პერიოდში 0.5 ევრო/კგ-ს შეადგენდა. საქართველოს ვაშლატამის ექსპორტი ღირებულების, მოცულობისა და საექსპორტო ერთეულის ფასის თვალსაზრისით ზრდით ხასიათდებოდა. საექსპორტო ბაზრებისთვის მიწოდების მოცულობა 46%-ით გაიზარდა, ხოლო ღირებულება - 37%-ით. ასევე 1%-ით გაიზარდა საექსპორტო ერთეულის ფასი (ცხრილი 28).

ცხრილი 28. ვაშლატამის წლიური ექსპორტი, საქართველო

	ვაშლატამა, ღირებულება	ვაშლატამა, მოცულობა	ვაშლატამა, ღირ./მოც.
2014	710	1,701,535	0.5
2015	1,069	2,115,150	0.5
2016	1,340	3,204,085	0.4
2017	2,357	6,780,681	0.6
2018	4,651	8,297,097	0.5
საშუალო	2,025	4,419,710	0.5
CAGR	46%	37%	1%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ზოგადად, ექსპორტი მაის-ოქტომბერში ხორციელდებოდა, ხოლო ექსპორტის ღირებულებამ და მოცულობამ პიკს ივლისში მიაღწია. რაც შეეხება საექსპორტო ერთეულის ფასებს, ფასები მაღალი იყო მაისში (დაახლოებით 0.8 ევრო/კგ) ივნის-ივლისთან შედარებით (დაახლოებით 0.3-0.4 ევრო/კგ). ერთეულის ფასებმა პიკს აგვისტოში მიაღწია (0.5 ევრო/კგ). სხვა თვეებთან შედარებით ფასები უფრო მერყევი იყო სეზონის დასაწყისსა და ბოლოს. ზოგადად, უფრო დიდი მოცულობის ექსპორტი ფასების უფრო დაბალი მერყეობით ხასიათდებოდა (სურ. 18, ცხრილი 29).

სურ. 18. საქართველოს ვაშლატამის ექსპორტის მაჩვენებლები თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 29. ვაშლატამის საექსპორტო ერთეულის წლიური საშუალო ფასები და მერყეობა, საქართველო

	საშუალო	მერყეობა
მაისი	0.8	0.7
ივნ.	0.4	0.1
ივლ.	0.4	0.2
აგვ.	0.5	0.2
სექტ.	0.5	0.2
ოქტ.	0.4	0.4

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ქართული ვაშლატამის ექსპორტი ხორციელდებოდა სამ ქვეყანაში: რუსეთში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ამ ქვეყნების ექსპორტის წილი, შესაბამისად, შეადგენდა 83%-ს, 1%-სა და 3%-ს.

ბულგარეთის ვაშლატამის იმპორტი მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა. იმპორტის ღირებულება და მოცულობა და საიმპორტო ერთეულის ფასები გაიზარდა, შესაბამისად, 11%-ით, 10%-ით და 16%-ით. ბულგარეთი წლიურად ახორციელებდა 1.8 მლნ ევროს ღირებულების 6.3 ათასი ტ ვაშლატამის იმპორტს. ხუთი წლის განმავლობაში საიმპორტო ერთეულის საშუალო ფასი შეადგენდა 1.8 ევრო/კგ-ს (ცხრილი 30).

ცხრილი 30. ვაშლატამის წლიური იმპორტი, ბულგარეთი

	ვაშლატამა, ღირებულება	ვაშლატამა, მოცულობა	ვაშლატამა, ღირ./მოც.
2014	1,296	4,071,216	0.5
2015	1,686	7,177,664	0.6
2016	1,456	6,038,672	3.1
2017	2,156	7,395,338	3.5
2018	2,186	6,620,817	1.1
საშუალო	1,756	6,260,741	1.8
CAGR	11%	10%	16%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ბულგარეთის ბაზარზე ვაშლატამა მთელი წლის განმავლობაში შედიოდა. იმპორტმა პიკს მაის-ოქტომბერში მიაღწია. ამ პერიოდში ფასი დაბალი იყო (0.3-0.8 ევრო/კგ), ხოლო სეზონის დასრულების შემდეგ ფასები გაიზარდა (0.7-7.3 ევრო/კგ) (სურ. 19, ცხრილი 31).

სურ. 19. ბულგარეთის ვაშლატამის იმპორტის მაჩვენებლები თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 31. ვაშლატამის საიმპორტო ერთეულის წლიური საშუალო ფასები და მერყეობა, ბულგარეთი

	საშუალო	მერყეობა
იან.	1.9	0.7
თებ.	6.8	1.4
მარტი	7.3	1.7
აპრ.	1.0	0.3
მაისი	0.8	0.1
ივნისი	0.3	0.2

ივლისი	0.2	0.6
აგვ.	0.3	0.2
სექტ.	0.8	1.6
ოქტ.	0.3	0.6
ნოემბ.	0.3	0.7
დეკ.	0.7	0.6

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ბულგარეთისთვის ვაშლატამის მთავარი მომწოდებლები არიან საბერძნეთი, გერმანია და თურქეთი. მათი წილი ბულგარეთში ვაშლატამის მთლიან ექსპორტში შეადგენს, შესაბამისად, 61%-ს, 11%-სა და 7%-ს.

ანალიზის პერიოდში რუმინეთში ვაშლატამის იმპორტი გაიზარდა. მიწოდების ღირებულება 12%-ით გაიზარდა, ხოლო მოცულობა - 10%-ით. 10%-ით გაიზარდა საიმპორტო ერთეულის ფასებიც. საშუალოდ, რუმინეთი წლიურად 18 მლნ ევროს ღირებულების 32 ათასი ტ ვაშლატამის იმპორტს ახორციელებდა. საიმპორტო ერთეულის საშუალო ფასმა 1.5 ევრო/კგ შეადგინა (ცხრილი 32).

ცხრილი 32. ვაშლატამის წლიური იმპორტი, რუმინეთი

	ვაშლატამა, ღირებულება	ვაშლატამა, მოცულობა	ვაშლატამა, ღირ./მოც.
2014	11,228	27,071,639	1.3
2015	17,832	32,711,204	1.3
2016	19,160	31,264,050	1.2
2017	23,050	41,999,491	1.3
2018	20,179	28,017,435	2.2
საშუალო	18,290	32,212,764	1.5
CAGR	12%	1%	10%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ატმის იმპორტმა პიკს მაის-სექტემბერში მიაღწია. იგივე პერიოდი საიმპორტო ერთეულის დაბალი ფასით ხასიათდებოდა. საშუალოდ საიმპორტო ერთეულის ფასები მერყეობდა 0.5-3.4 ევრო/ტ-ს შორის (სურ. 20, ცხრილი 33).

სურ. 20. რუმინეთის ვაშლატამის იმპორტის მაჩვენებლები თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 33. ვაშლატამის საიმპორტო ერთეულის წლიური საშუალო ფასები და მერყეობა, რუმინეთი

	საშუალო	მერყეობა
იან.	2.2	0.3
თებ.	1.8	0.3
მარტი	1.8	0.3
აპრ.	1.6	0.1
მაისი	1.1	0.1
ივნისი	0.6	0.2
ივლისი	0.5	0.2
აგვ.	0.5	0.2
სექტ.	0.6	0.2
ოქტ.	0.6	0.2
ნოემბ.	3.1	1.6
დეკ.	3.4	0.3

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

რუმინეთის ბაზარზე ვაშლატამის იმპორტის 55%, 8% და 6%, შესაბამისად, საბერძნეთმა, თურქეთმა და გერმანიამ განახორციელეს.

ატამი

საშუალოდ, საქართველომ განახორციელა 2.7 მლნ ევროს ღირებულების 1.2 ათასი ტ ატმის ექსპორტი. საექსპორტო ერთეულის საშუალო ფასი შეადგენდა 0.6 ევრო/კგ-ს. ანალიზის პერიოდში ექსპორტის როგორც მოცულობა, ასევე ღირებულება გაიზარდა საშუალოდ 14%-ით და 10%-ით შესაბამისად. თუმცა საექსპორტო ერთეულის ფასი შემცირდა, ხოლო ზრდის ტემპი ნეგატიური იყო (-4%) (ცხრილი 34).

ცხრილი 34. ატმის წლიური ექსპორტი, საქართველო

	ატამი, ღირებულება	ატამი, მოცულობა	ატამი, ღირ./მოც.
2014	1,166	2,124,805	0.5
2015	327	667,316	0.4
2016	1,183	2,498,702	0.5
2017	1,282	3,998,682	1.0
2018	1,901	4,116,640	0.4
საშუალო	1,172	2,681,229	0.6
CAGR	10%	14%	-4%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ატმის ექსპორტის სეზონი მაისიდან ნოემბრის ჩათვლით გრძელდებოდა. მიწოდებამ პიკს ივლისში მიაღწია, ხოლო შემცირდა სექტემბერში. ექსპორტი კვლავ გაიზარდა ოქტომბერ-ნოემბერში, თუმცა მაინც ჩამორჩებოდა ივლისს. საექსპორტო ერთეულის ფასის შემცირება გაგრძელდა მაისიდან (0.8 ევრო/კგ) ოქტომბრის ჩათვლით (0.3 ევრო/კგ), რასაც მოჰყვა ზრდა ნოემბერში (3.8 ევრო/კგ). ექსპორტის სეზონის დასაწყისი და დასასრული საექსპორტო ფასების მაღალი მერყეობით ხასიათდებოდა საბაზრო სეზონის დანარჩენ პერიოდთან შედარებით. ზოგადად, ექსპორტისას უფრო მაღალ მიწოდებას საექსპორტო ერთეულის ფასის უფრო დაბალი მერყეობა ახლავს (სურ. 21, ცხრილი 35).

სურ. 21. საქართველოს ესპორტის მაჩვენებლები თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 35. ატმის საექსპორტო ერთეულის წლიური საშუალო ფასები და მერყეობა, საქართველო

	საშუალო	მერყეობა
მაისი	0.8	0.5
ივნ.	0.5	0.2
ივლ.	0.5	0.2
აგვ.	0.4	0.5
სექტ.	0.5	0.6
ოქტ.	0.3	0.4
დეკ.	3.8	

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ქართული ატამი უმთავრესად რუსეთში, სომხეთსა და აზერბაიჯანში გადიოდა. ამ ბაზრებზე შეტანილი იქნა ქართული ატმის ექსპორტის 96%. აღნიშნული ქვეყნების წილი ქართული ატმის მთლიან ექსპორტში, შესაბამისად, შეადგენდა 88%-ს, 7%-სა და 1%-ს.

საშუალოდ, წლიურად ბულგარეთი ახორციელებს 4 მლნ ევროს ღირებულების 15 ათასი ტ ატმის იმპორტს. ანალიზის პერიოდში საიმპორტო ერთეულის საშუალო ფასი შეადგენდა დაახლოებით 0.5 ევრო/კგ-ს. ატმის იმპორტის ღირებულება და მოცულობა გაიზარდა 5% და 9%-ით შესაბამისად, თუმცა საიმპორტო ერთეულის ფასები 18%-ით შემცირდა (ცხრილი 36).

ცხრილი 36. ატმის წლიური იმპორტი, ბულგარეთი

	ატამი, ღირებულება	ატამი, მოცულობა	ატამი, ღირ./მოც.
2014	3,259	11,170,664	0.9
2015	3,425	11,161,034	0.4
2016	4,854	15,685,507	0.6
2017	5,047	20,303,292	0.4
2018	4,119	17,004,438	0.3

საშუალო	4,141	15,064,987	0.5
CAGR	5%	9%	-18%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ბულგარეთი ატმის იმპორტს მთელი წლის განმავლობაში ეწეოდა. იმპორტმა პიკს ივნის-სექტემბერში მიაღწია. ამ პერიოდის განმავლობაში საიმპორტო ერთეულის ფასები დაბალი იყო (0.3-0.7 ევრო/კგ). სეზონის დასრულების შემდეგ კი საიმპორტო ერთეულის ფასები გაიზარდა (1-2.2 ევრო/კგ) (სურ. 22, ცხრილი 37).

სურ. 22. ბულგარეთის ატმის იმპორტის მაჩვენებლები თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 37. ატმის საიმპორტო ერთეულის საშუალო წლიური ფასები და მერყეობა, ბულგარეთი

	საშუალო	მერყეობა
იან.	1.0	0.6
თებ.	1.2	0.4
მარტი	1.3	0.8
აპრ.	0.7	0.7
მაისი	0.7	0.3
ივნისი	0.3	0.3
ივლისი	0.3	0.2
აგვ.	0.3	0.2
სექტ.	0.3	0.1
ოქტ.	0.3	0.4
ნოემბ.	0.2	0.6
დეკ.	2.2	0.8

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ბულგარეთის ბაზარზე ატმის უმთავრესი მიმწოდებლები იყვნენ საბერძნეთი, გერმანია და თურქეთი. ამ ქვეყნების წილმა ბულგარეთის ატმის მთლიან იმპორტში, შესაბამისად, 88%, 5% და 2% შეადგინა.

რუმინეთის ატმის იმპორტი ზრდით ხასიათდებოდა. იმპორტის ღირებულება და მოცულობა გაიზარდა, შესაბამისად, 44%-ით და 1%-ით. ამავე დროს საიმპორტო ერთეულის ღირებულება 5%-ით გაიზარდა. რუმინეთი წლიურად ახორციელებდა საშუალოდ 8.6 მლნ ევროს ღირებულების 15 ათასი ტ ატმის იმპორტს. საიმპორტო ერთეულის საშუალო ფასი 1.5 ევრო/კგ-ს შეადგენდა (ცხრილი 38).

ცხრილი 38. ატმის წლიური იმპორტი, რუმინეთი

	ატამი, ღირებულება	ატამი, მოცულობა	ატამი, ღირ./მოც.
2014	2,914	9,368,034	1.2
2015	7,292	12,775,607	1.5
2016	9,701	15,324,575	1.8
2017	11,310	19,404,963	1.5
2018	11,953	16,474,118	1.5
საშუალო	8,634	14,669,459	1.5
CAGR	33%	12%	5%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

რუმინეთში ატმის იმპორტმა პიკს მაის-სექტემბერში მიაღწია. საიმპორტო ერთეულის ფასებს იმპორტის ღირებულებისა და მოცულობის საპირისპირო ტენდენცია ახასიათებდა. საიმპორტო ერთეულის ფასები 0.5 და 3.1 ევრო/კგ-ს შორის მერყეობდა (სურ. 23, ცხრილი 39).

სურ. 23. რუმინეთის ატმის იმპორტის მაჩვენებლები თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 39. ატმის საიმპორტო ერთეულის საშუალო წლიური ფასები და მერყეობა, რუმინეთი

	საშუალო	მერყეობა
იან.	2.3	0.4
თებ.	2.3	0.3
მარტი	2.2	0.2
აპრ.	1.7	0.2
მაისი	1.2	0.1
ივნისი	0.6	0.2
ივლისი	0.5	0.2
აგვ.	0.5	0.2
სექტ.	0.6	0.2
ოქტ.	0.7	0.2
ნოემბ.	2.2	0.5
დეკ.	3.1	0.2

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

იმპორტის ნახევარზე მეტი საბერძნეთიდან, გერმანიიდან და თურქეთიდან მოდიოდა. ამ ქვეყნების წილმა ატმის მთლიან იმპორტში, შესაბამისად, 59%, 6% და 5% შეადგინა.

Project funded by EUROPEAN UNION

ჩირი

გარგარის ჩირი

საქართველოში გარგარის ჩირის ექსპორტი მხოლოდ 2017 და 2018 წლებში განხორციელდა. საშუალო საექსპორტო მოცულობა შეადგენდა 0.35 ტ-ს, ხოლო მისი ფასი - 10 ათას ევროს. ერთეულის ფასი შეადგენდა 16.4 ევრო/კგ-ს. 2017 წლიდან 2018 წლამდე ექსპორტი 82%-ით შემცირდა (ცხრილი 40).

ცხრილი 40. გარგარის ჩირის წლიური ექსპორტი, საქართველო

	გარგარის ჩირი, ღირებულება	გარგარის ჩირი, მოცულობა	გარგარის ჩირი, ღირ./მოც.
2017	10	676	16.4
2018		23	
საშუალო	10	350	16.4
CAGR		-82%	

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

გარგარის ჩირის ექსპორტი წარმოებდა მაისში, სექტემბერ-ოქტომბერსა და დეკემბერში. ექსპორტი ოქტომბერში უფრო მეტი იყო, ვიდრე სხვა თვეებში. ფასები დეკემბერში უფრო მაღალი იყო, ვიდრე ოქტომბერში. ფასებმა, შესაბამისად, მიაღწია 18 ევრო/კგ-ს და 15 ევრო/კგ-ს. გარგარის ჩირის ექსპორტი უმთავრესად რუსეთში ხორციელდებოდა. მცირე რაოდენობა მიეწოდებოდა არაბთა გაერთიანებული საამიროებისა და სომხეთის ბაზრებს.

ბულგარეთის გარგარის ჩირის იმპორტის ღირებულება და მოცულობა ანალიზის პერიოდში, შესაბამისად, 27%-ით და 26%-ით გაიზარდა, მაშინ, როცა საიმპორტო ერთეულის ფასები 7%-ით შემცირდა. ბულგარეთი, საშუალოდ, წლიურად ახორციელებდა 365 ათასი ევროს ღირებულების 200 ტ გარგარის ჩირის იმპორტს; საიმპორტო ერთეულის ფასი 2.5 ევრო/კგ-ს შეადგენდა (ცხრილი 41).

ცხრილი 41. გარგარის ჩირის წლიური იმპორტი, ბულგარეთი

	გარგარის ჩირი, ღირებულება	გარგარის ჩირი, მოცულობა	გარგარის ჩირი, ღირ/მოც.
2014	154	106,372	2.4
2015	333	129,158	3.1
2016	387	233,049	2.4
2017	448	197,850	2.7
2018	504	333,950	1.7
საშუალო	365	200,076	2.5
CAGR	27%	26%	-7%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ბულგარეთი გარგარის ჩირის იმპორტს მთელი წლის განმავლობაში აწარმოებდა. იმპორტმა პიკს ოქტომბერ-იანვარში მიაღწია. საიმპორტო ერთეულის ფასმა ნაკლები მერყეობა განიცადა იმპორტის ღირებულებასა და მოცულობასთან შედარებით. საიმპორტო ერთეულის მაღალი ფასები აღინიშნა ივნის-ივლისში (3.4-3.8 ევრო/კგ) და დეკემბერ-მარტში (2.3-2.8 ევრო/კგ) (სურ. 24, ცხრილი 42).

სურ. 24. ბულგარეთის გარგარის ჩირის იმპორტის მაჩვენებლები თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 42. გარგარის ჩირის საიმპორტო ერთეულის საშუალო წლიური ფასები და მერყეობა, ბულგარეთი

	საშუალო	მერყეობა
იან.	2.4	0.6
თებ.	2.3	0.8
მარტი	2.8	0.6
აპრ.	2.4	0.4
მაისი	1.2	0.8
ივნისი	3.8	0.7
ივლისი	3.4	0.7
აგვ.	2.1	0.7
სექტ.	2.1	0.5
ოქტ.	2.5	0.3
ნოემბ.	1.9	0.4
დეკ.	2.3	0.6

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ბულგარეთში გარგარის ჩირის მთლიანი ექსპორტის 84% შედიოდა თურქეთიდან, სლოვაკეთიდან და საბერძნეთიდან. ამ ქვეყნებმა ბულგარეთში შეიტანეს მთლიანი ექსპორტის, შესაბამისად, 65%, 4% და 15%.

რუმინეთის გარგარის ჩირის იმპორტი ზრდით ხასიათდებოდა. იმპორტის ღირებულება, მოცულობა და საიმპორტო ერთეულის ფასები გაიზარდა, შესაბამისად, 12%-ით, 19%-ით და 1%-ით. საშუალოდ, რუმინეთს წლიურად შეჰქონდა 613 ათასი ევროს ღირებულების 297 ტ გარგარის ჩირი. საიმპორტო ერთეულის საშუალო ფასი 3.6 ევრო/კგ-ს შეადგენდა (ცხრილი 43).

ცხრილი 43. გარგარის ჩირის წლიური იმპორტი, რუმინეთი

	გარგარის ჩირი, ღირებულება	გარგარის ჩირი, მოცულობა	გარგარის ჩირი, ღირ./მოც.
2014	491	228,735	2.7
2015	448	148,951	4.4
2016	640	252,558	4.0
2017	606	317,261	3.8

2018	882	536,806	2.8
საშუალო	613	296,862	3.6
CAGR	12%	19%	1%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

გარგარის ჩირის იმპორტმა პიკს მაის-ივლისში და დეკემბერში მიაღწია. საიმპორტო ერთეულის ფასების პიკი თებერვალში, აპრილსა და აგვისტოში აღინიშნა. გარგარის ჩირის საიმპორტო ერთეულის ფასები მერყეობდა 1.1 და 4.8 ევრო/კგ-ს შორის (სურ. 25, ცხრილი 44).

სურ. 25. რუმინეთის გარგარის ჩირის იმპორტის მაჩვენებლები თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 44. გარგარის ჩირის საიმპორტო ერთეულის საშუალო წლიური ფასები და მერყეობა, რუმინეთი

	საშუალო	მერყეობა
იან.	3.6	0.6
თებ.	5.4	0.5
მარტი	3.5	0.5
აპრ.	4.8	0.4
მაისი	3.3	0.5
ივნისი	1.1	0.4
ივლისი	1.1	0.7
აგვ.	5.3	0.4
სექტ.	4.2	0.5
ოქტ.	3.8	0.5
ნოემბ.	2.8	0.4
დეკ.	2.8	0.2

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

გარგარის ჩირის იმპორტის ნახევარზე მეტი რუმინეთში შედიოდა თურქეთიდან, საბერძნეთიდან და იტალიიდან. მათი წილი მთლიან იმპორტში შეადგენდა, შესაბამისად, 52%-ს, 7%-სა და 5%-ს.

შავი ქლიავის ჩირი

საქართველოდან შავი ქლიავის ჩირის ექსპორტის ღირებულება და მოცულობა საშუალოდ შეადგენდა 1.8 ტ-ს (16 ათასი ევრო). საექსპორტო ერთეულის ფასი 10 ევრო/კგ-ს უდრიდა. ანალიზის პერიოდში შავი ქლიავის ექსპორტს ზრდის ტენდენცია ახასიათებდა. ექსპორტის მოცულობა და

ღირებულება, შესაბამისად, 60%-ით და 48%-ით გაიზარდა, ხოლო საექსპორტო ერთეულის ფასები - 5%-ით (ცხრილი 45).

ცხრილი 45. შავი ქლიავის ჩირის წლიური ექსპორტი, საქართველო

	შავი ქლიავის ჩირი, ღირებულება	შავი ქლიავის ჩირი, მოცულობა	შავი ქლიავის ჩირი, ღირ./მოც.
2014	5	701	7.1
2015		4	
2016		2	
2017	9	715	15.0
2018	35	7,387	9.1
საშუალო	16	1,762	10.4
CAGR	48%	60%	5%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

შავი ქლიავის ჩირის ექსპორტი მთელი წლის განმავლობაში წარმოებდა. გამონაკლისი მარტი და ივლისი იყო. ექსპორტმა პიკს ოქტომბერში მიაღწია, ხოლო კლება ივნისში, აგვისტოსა და დეკემბერში შეიმჩნეოდა. ფასები ყველაზე მაღალი იყო აგვისტოში (20 ევრო/კგ), ნოემბერში (18.3 ევრო/კგ) და ივნისში (11 ევრო/კგ), ხოლო ყველაზე დაბალი - იანვარში (3.8 ევრო/კგ) და დეკემბერში (3.5 ევრო/კგ) (სურ. 26, ცხრილი 46).

სურ. 26. საქართველოს შავი ქლიავის ექსპორტის მაჩვენებლები თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 46. შავი ქლიავის ჩირის საექსპორტო ერთეულის საშუალო წლიური ფასები და მერყეობა, საქართველო

	საშუალო	მერყეობა
იან.	3.8	0.4
აპრ.	6.6	0.4
მაისი	6.9	0.4
ივნ.	11.0	0.4
აგვ.	20.4	0.4
სექტ.	7.1	0.4
ოქტ.	8.7	0.7

ნოემ.	18.3	0.4
დეკ.	3.5	0.4

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

შავი ქლიავის ჩირის უდიდესი ნაწილი გერმანიის ბაზარზე იქნა გატანილი. მისი შედარებით მცირე ნაწილი რუსეთისა და აშშ-ის ბაზრებს მიეწოდა.

ბულგარეთის შავი ქლიავის ჩირის იმპორტს ზრდა ახასიათებდა. მიწოდების ღირებულება და მოცულობა, შესაბამისად, 7%-ით და 9%-ით გაიზარდა, მაშინ, როცა საიმპორტო ერთეულის ფასები 17%-ით შემცირდა. წლიურად ბულგარეთი 1.2 მლნ ევროს ღირებულების 929 ტ შავი ქლიავის ჩირის იმპორტს აწარმოებდა. საიმპორტო ერთეულის ფასები შეადგენდა 2.5 ევრო/კგ-ს. შავი ქლიავის ჩირის იმპორტი ბულგარეთში მთელი წლის განმავლობაში წარმოებდა (ცხრილი 47).

ცხრილი 47. შავი ქლიავის ჩირის წლიური იმპორტი, ბულგარეთი

	შავი ქლიავის ჩირი, ღირებულება	შავი ქლიავის ჩირი, მოცულობა	შავი ქლიავის ჩირი, ღირ./მოც.
2014	1,164	803,497	4.8
2015	816	550,119	3.1
2016	878	800,792	1.1
2017	1,609	1,236,250	1.3
2018	1,634	1,253,396	1.9
საშუალო	1,220	928,811	2.5
CAGR	7%	9%	-17%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

მიწოდებამ პიკს ოქტომბერ-დეკემბერში მიაღწია. საიმპორტო ერთეულის ფასები იმპორტის მოცულობასა და ღირებულებასთან შედარებით ნაკლებად მერყეობდა. საიმპორტო ერთეულის ფასებიდეკემბერსა და ივნისს შორის პერიოდში 1.2 ევრო/კგ-სა და 3.4 ევრო/კგ-ს შორის მერყეობდა (სურ. 27, ცხრილი 48).

სურ. 27. ბულგარეთის შავი ქლიავის ჩირის იმპორტის მაჩვენებლები თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

Project funded by EUROPEAN UNION

Black Sea CROSS BORDER COOPERATION

ცხრილი 48. შავი ქლიავის ჩირის საიმპორტო ერთეულის საშუალო წლიური ფასები და მერყეობა, ბულგარეთი

	საშუალო	მერყეობა
იან.	2.0	0.8
თებ.	3.0	0.9
მარტი	3.5	1.0
აპრ.	2.7	1.1
მაისი	3.3	0.9
ივნ.	3.4	0.8
ივლ.	1.9	0.8
აგვ.	3.0	1.0
სექტ.	2.0	1.1
ოქტ.	1.4	0.2
ნოემბ.	1.7	0.4
დეკ.	1.2	0.2

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ბულგარეთში მოლდოვიდან, სერბეთიდან და ჩილედან შემოსული შავი ქლიავის ჩირი მთელი იმპორტის, შესაბამისად, 49%-ს, 27%-სა და 9%-ს შეადგენდა. ამ სამმა ქვეყანამ ბულგარეთში შავი ქლიავის ჩირის მთლიანი ექსპორტის 86% განახორციელა.

რუმინეთის შავი ქლიავის ჩირის იმპორტი ზრდით ხასიათდებოდა. იმპორტის ღირებულება, მოცულობა და ერთეულის ფასები, შესაბამისად, 18%-ით, 14%-ით და 5%-ით გაიზარდა. საშუალოდ, რუმინეთს წლიურად 1.7 მლნ ევროს ღირებულების 1.1 ათასი ტ შავი ქლიავის ჩირი შეჰქონდა. საიმპორტო ერთეულის საშუალო ფასი 2 ევრო/კგ-ს აღწევდა (ცხრილი 49).

ცხრილი 49. შავი ქლიავის ჩირის წლიური იმპორტი, რუმინეთი

	შავი ქლიავის ჩირი, ღირებულება	შავი ქლიავის ჩირი, მოცულობა	შავი ქლიავის ღირ./მოც.
2014	1,033	685,960	1.8
2015	1,317	721,034	2.5
2016	1,817	1,424,523	1.5
2017	1,842	1,105,242	1.8
2018	2,356	1,337,425	2.3
საშუალო	1,673	1,054,837	2.0
CAGR	18%	14%	5%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

შავი ქლიავის ჩირის იმპორტი აპრილ-სექტემბრის პერიოდში ჩავარდნით ხასიათდებოდა, ხოლო პიკი ოქტომბერ-ნოემბერსა და თებერვალ-მარტში აღინიშნა. საიმპორტო ერთეულის ფასების პიკი იმპორტის ჩავარდნას დაემთხვა. საიმპორტო ერთეულის ფასები 1.4-3 ევრო/კგ-ს შორის მერყეობდა (სურ. 28, ცხრილი 50).

სურ. 28. რუმინეთის შავი ქლიავის ჩირის იმპორტის მაჩვენებლები თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 50. შავი ქლიავის ჩირის საიმპორტო ერთეულის საშუალო წლიური ფასები და მერყეობა, რუმინეთი

	საშუალო	მერყეობა
იან.	1.9	0.2
თებ.	1.5	0.1
მარტი	1.4	0.2
აპრ.	2.1	0.5
მაისი	3.0	0.2
ივნ.	2.9	0.3
ივლ.	2.0	0.5
აგვ.	2.4	0.9
სექტ.	1.8	0.5
ოქტ.	1.7	0.2
ნოემბ.	1.6	0.1
დეკ.	1.6	0.2

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

რუმინეთში შავი ქლიავის ჩირის მთავარი იმპორტიორები იყვნენ მოლდოვა, სერბეთი და პოლონეთი. ამ ქვეყნების წილი მთლიან იმპორტში, შესაბამისად, 40%-ს, 18%-სა და 12%-ს შეადგენდა.

ვაშლის ჩირი

ანალიზის პერიოდში საქართველო წელიწადში აწარმოებდა, საშუალოდ, 416 ათასი ევროს ღირებულების 232 ტ ვაშლის ჩირის ექსპორტს. ვაშლის ჩირის ექსპორტი ზრდით ხასიათდებოდა. ექსპორტის მოცულობა და ღირებულება, შესაბამისად, 13%-ით და 15%-ით გაიზარდა, ხოლო საექსპორტო ერთეულის ფასები - 3%-ით (ცხრილი 51).

ცხრილი 51. ვაშლის ჩირის წლიური ექსპორტი, საქართველო

	ვაშლის ჩირი, ღირებულება	ვაშლის ჩირი, მოცულობა	ვაშლის ჩირი, ღირ./მოც.
2014	292	176,837	1.7
2015	341	184,880	1.8

2016	353	191,920	1.8
2017	496	283,940	1.6
2018	596	324,274	2.0
საშუალო	416	232,370	1.8
CAGR	15%	13%	3%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ვაშლის ჩირის ექსპორტი მთელი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა, აპრილ-მაისის პერიოდის გარდა. მიწოდებამ პიკს სექტემბერში მიაღწია და მთლიანად ექსპორტი აგვისტო-ოქტომბერში უფრო მაღალი იყო, ვიდრე წლის დანარჩენ დროს. საექსპორტო ერთეულის ფასების პიკი ნოემბერში აღინიშნა (2.3 ევრო/კგ). საექსპორტო ერთეულის ფასი დაბალი იყო წლის დასაწყისში (1.2-1.4 ევრო/კგ) (სურ. 29, ცხრილი 52).

სურ. 29. საქართველოს ვაშლის ჩირის ექსპორტის მაჩვენებლები თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 52. ვაშლის ჩირის საექსპორტო ერთეულის საშუალო წლიური ფასები და მერყეობა, საქართველო

	საშუალო	მერყეობა
იან.	1.2	0.7
თებ.	1.4	0.4
მარტი	1.8	0.4
ივნ.	1.9	0.4
ივლ.	1.8	0.4
აგვ.	1.8	0.0
სექტ.	1.8	0.1
ოქტ.	1.8	0.0
ნოემბ.	2.3	0.6
დეკ.	1.8	0.0

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ვაშლის ჩირის ექსპორტის უდიდესი ნაწილი გერმანიის ბაზარზე იქნა გატანილი (99%), ხოლო უმნიშვნელო რაოდენობა რუსეთისა და პოლონეთის ბაზრებზე.

ბულგარეთის ვაშლის ჩირის იმპორტის ღირებულება ხასიათდებოდა ზრდით (2%), მაშინ, როცა მოცულობა 17%-ით შემცირდა. საიმპორტო ერთეულის ფასები 47%-ით გაიზარდა. ბულგარეთი წლიურად, საშუალოდ, აწარმოებდა 207 ათასი ევროს ღირებულების 503 ტ ვაშლის ჩირის იმპორტს, ხოლო საიმპორტო ერთეულის ფასი 1.1 ევრო/კგ-ს შეადგენდა (ცხრილი 53).

ცხრილი 53. ვაშლის ჩირის წლიური იმპორტი, ბულგარეთი

	ვაშლის ჩირი, ღირებულება	ვაშლის ჩირი, მოცულობა	ვაშლის ჩირი, ღირ./მოც.
2014	106	396,520	0.2
2015	222	726,925	0.3
2016	417	731,202	1.7
2017	174	501,198	1.6
2018	117	160,001	1.7
საშუალო	207	503,169	1.1
CAGR	2%	-17%	47%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ვაშლის ჩირის იმპორტი მთელი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა. იმპორტმა პიკს თებერვალ-ივლისსა და ოქტომბერში მიაღწია. საიმპორტო ერთეულის ფასის პიკი აღინიშნა ივნის-ივლისში (3.1-3.8 ევრო/კგ) და ნოემბერში (2 ევრო/კგ). იმპორტის ღირებულებისა და მოცულობის მსგავსად, საიმპორტო ერთეულის ფასები შესამჩნევი მერყეობით ხასიათდებოდა (სურ. 30, ცხრილი 54).

სურ. 30. ბულგარეთის ვაშლის ჩირის იმპორტის მაჩვენებლები თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 54. ვაშლის ჩირის საიმპორტო ერთეულის საშუალო წლიური ფასები და მერყეობა, ბულგარეთი

	საშუალო	მერყეობა
იან.	0.4	0.6
თებ.	0.4	0.2
მარტი	0.3	0.5
აპრ.	0.8	1.3
მაისი	0.4	0.6
ივნ.	3.1	1.3
ივლ.	3.8	0.9

აგვ.	0.4	0.6
სექტ.	0.5	1.3
ოქტ.	0.7	1.0
ნოემბ.	2.0	1.6
დეკ.	0.3	0.6

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ბულგარეთის ვაშლის ჩირის იმპორტის თითქმის ნახევარი შეტანილი იქნა გერმანიიდან, საბერძნეთიდან და ალბანეთიდან. ამ ქვეყნების წილი ბულგარეთის ვაშლის ჩირის მთლიან იმპორტში შეადგენდა, შესაბამისად, 21%-ს, 21%-ს და 3%-ს.

რუმინეთის ვაშლის ჩირის იმპორტი ანალიზის პერიოდში გაიზარდა. იმპორტის ღირებულება, მოცულობა და ერთეულის ფასი, შესაბამისად, 22%-ით, 3%-ით და 13%-ით გაიზარდა. რუმინეთი წელიწადში, საშუალოდ, 2.3 მლნ ევროს ღირებულების 6.9 ტ ვაშლის ჩირის იმპორტს აწარმოებდა. საიმპორტო ერთეულის საშუალო ფასი 0.4 ევრო/კგ-ს შეადგენდა (ცხრილი 55).

ცხრილი 55. ვაშლის ჩირის წლიური იმპორტი, რუმინეთი

	ვაშლის ჩირი, ღირებულება	ვაშლის ჩირი, მოცულობა	ვაშლის ჩირი, ღირ./მოც.
2014	1,104	3,756,165	0.3
2015	1,494	6,392,871	0.3
2016	2,790	10,494,475	0.3
2017	3,194	9,678,912	0.4
2018	3,038	4,394,244	0.6
საშუალო	2,324	6,943,333	0.4
CAGR	22%	3%	13%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ვაშლის ჩირის იმპორტმა პიკს ოქტომბერ-მაისში მიაღწია. საიმპორტო ერთეულის მაღალი ფასი დაემთხვა იმპორტის შემცირებას. საიმპორტო ერთეულის ფასები 0.3-0.5 ევრო/კგ-ს შორის მერყეობდა (სურ. 31, ცხრილი 56).

სურ. 31. რუმინეთის ვაშლის ჩირის იმპორტის მაჩვენებლები თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 56. ვაშლის ჩირის საიმპორტო ერთეულის საშუალო წლიური ფასები და მერყეობა, რუმინეთი

	საშუალო	მერყეობა
იან.	0.3	0.6
თებ.	0.3	0.5
მარტი	0.3	0.4
აპრ.	0.4	0.4
მაისი	0.3	0.5
ივნ.	0.4	0.5
ივლ.	0.4	0.5
აგვ.	0.5	0.6
სექტ.	0.4	0.5
ოქტ.	0.3	0.3
ნოემბ.	0.3	0.5
დეკ.	0.3	0.2

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

რუმინეთის ვაშლის ჩირის მთავარი მიმწოდებლები იყვნენ პოლონეთი, იტალია და უნგრეთი. ამ ქვეყნების წილმა რუმინეთის მთლიან იმპორტში, შესაბამისად, 63%, 15% და 9% შეადგინა.

ატმის ჩირი

საქართველომ ატმის ჩირი ექსპორტზე მხოლოდ 2018 წელს გაიტანა. ექსპორტის ღირებულება და მოცულობა შეადგენდა 34 ათას ევროს 1.2 ტ ატმის ჩირზე. საექსპორტო ერთეულის ფასი 35 ევრო/კგ იყო (ცხრილი 57).

ცხრილი 57. ატმის ჩირის წლიური ექსპორტი, საქართველო

	ატმის ჩირი, ღირებულება	ატმის ჩირი, მოცულობა	ატმის ჩირი, ღირ./მოც
2014		1	
2018	34	1,167	35.1
საშუალო	34	584	35.1
CAGR		311%	

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ატმის ჩირის ექსპორტი აგვისტო-დეკემბერში წარმოებდა. ექსპორტმა პიკს ოქტომბერ-ნოემბერში მიაღწია, მაგრამ შემცირდა აგვისტო-სექტემბერში. საექსპორტო ერთეულის ფასები უფრო მაღალი იყო ექსპორტის სეზონის დასაწყისში. საექსპორტო ერთეულის პიკური ფასი 62.5 ევრო/კგ იყო სექტემბერში, ივნისში კი შემცირდა და 24 ევრო/კგ შეადგინა (სურ. 32, ცხრილი 58).

სურ. 32. საქართველოს ატმის ჩირის ექსპორტის მაჩვენებლები თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 58. ატმის ჩირის საექსპორტო ერთეულის საშუალო წლიური ფასები და მერყეობა, საქართველო

	საშუალო	მერყეობა
იან.	23.8	0.4
აგვ.	31.3	0.4
სექტ.	62.5	0.4
ოქტ.	27.8	0.4
ნოემ.	30.2	0.4

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ატმის ჩირი ძირითადად გატანილი იქნა რუსეთში, მცირე ნაწილი კი - ბელგიის ბაზარზე.

ბუგარეთის ატმის ჩირის იმპორტის ღირებულებამ 3%-ით იკლო, მაშინ, როცა მისი მოცულობა 7%-ით გაიზარდა. საიმპორტო ერთეულის ფასი 16%-ით დაეცა. წლიურად ბულგარეთი ახორციელებდა 723 ათასი ევროს ღირებულების 3.5 ტ ატმის ჩირის იმპორტს, ხოლო საიმპორტო ერთეულის საშუალო ფასი 0.3 ევრო/კგ-ს შეადგენდა (ცხრილი 59).

ცხრილი 59. ატმის ჩირის წლიური იმპორტი, ბულგარეთი

	ატმის ჩირი, ღირებულება	ატმის ჩირი, მოცულობა	ატმის ჩირი, ღირ./მოც.
2014	1,008	3,467,098	0.4
2015	251	1,523,512	0.2
2016	913	4,140,903	0.4
2017	581	3,552,516	0.3
2018	862	4,931,822	0.2
საშუალო	723	3,523,170	0.3
CAGR	-3%	7%	-16%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ატმის ჩირის იმპორტი მთელი წლის განმავლობაში წარმოებდა. იმპორტმა პიკს ივნის-სექტემბერში მიაღწია, ხოლო საიმპორტო ერთეულის ფასი ყველაზე მაღალი აპრილ-მაისში იყო (0.7-1.5 ევრო/კგ). დანარჩენი თვეების განმავლობაში საიმპორტო ერთეულის ფასი 0.2 ევრო/კგ-ს შეადგენდა (სურ. 33, ცხრილი 60).

სურ. 33. ბულგარეთის ატმის ჩირის იმპორტის მაჩვენებლები თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 60. ატმის ჩირის საიმპორტო ერთეულის საშუალო წლიური ფასები და მერყეობა, ბულგარეთი

	საშუალო	მერყეობა
იან.		
თებ.	0.2	0.4
მარტი		
აპრ.	1.5	0.4
მაისი	0.7	0.6
ივნ.	0.2	0.4
ივლ.	0.2	0.3
აგვ.	0.2	0.4
სექტ.	0.2	0.2
ოქტ.	0.2	0.4
ნოემბ.	0.2	0.4
დეკ.		

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ბულგარეთის ატმის ჩირის მთლიანი იმპორტის 99% შედიოდა საბერძნეთიდან, გერმანიიდან და სომხეთიდან. ამ ქვეყნების წილმა შეადგინა, შესაბამისად, მთელი იმპორტის 78%, 21% და 1%-ზე ნაკლები.

რუმინეთის ატმის ჩირის იმპორტს ზრდა ახასიათებდა. ღირებულება, მოცულობა და ერთეულის ფასი, შესაბამისად, 15%-ით, 10%-ით და 11%-ით გაიზარდა. საშუალოდ, რუმინეთი წლიურად ახორციელებდა 2.4 მლნ ევროს ღირებულების 6 ათასი ტ ატმის ჩირის იმპორტს. საიმპორტო ერთეულის ფასი 1.5 ევრო/კგ იყო (ცხრილი 61).

ცხრილი 61. ატმის ჩირის წლიური იმპორტი, რუმინეთი

	ატმის ჩირი, ღირებულება	ატმის ჩირი, მოცულობა	ატმის ჩირი, ღირ./მოც.
2014	1,266	3,104,378	0.9
2015	1,925	7,171,026	2.1
2016	2,878	7,707,834	1.4
2017	3,482	7,428,779	1.7
2018	2,548	4,977,963	1.5
საშუალო	2,420	6,077,996	1.5
CAGR	15%	10%	11%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ატმის ჩირის მიწოდებამ პიკს მაის-სექტემბერში მიაღწია. ფასები დეკემბერ-აპრილის განმავლობაში საკმაოდ მაღალი იყო სხვა თვეებთან შედარებით. საიმპორტო ერთეულის საშუალო ფასი 0.4 და 5.7 ევრო/კგ-ს შორის მერყეობდა (სურ. 34, ცხრილი 62).

სურ. 34. რუმინეთის ატმის ჩირის იმპორტის მაჩვენებლები თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 62. ატმის ჩირის საიმპორტოე ერთეულის საშუალო წლიური ფასები და მერყეობა, რუმინეთი

	საშუალო	მერყეობა
იან.	2.8	
თებ.	2.6	0.6
მარტი	2.0	
აპრ.	1.8	0.6
მაისი	0.9	0.3
ივნ.	0.5	0.1
ივლ.	0.4	0.2
აგვ.	0.4	0.2
სექტ.	0.5	0.2
ოქტ.	0.7	0.4
დეკ.	5.7	

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

რუმინეთის ატმის ჩირის მთავარი იმპორტიორები იყვნენ საბერძნეთი, იტალია და ესპანეთი. ამ ქვეყნებმა განახორციელეს მთლიანი იმპორტის, შესაბამისად, 65%, 13% და 4%.

მსხლის ჩირი

საშუალოდ, საქართველო წელიწადში აწარმოებდა 8 ათასი ევროს ღირებულების 4 ტ მსხლის ჩირის ექსპორტს. საექსპორტო ერთეულის ფასი შეადგენდა 2 ევრო/კგ-ს. მსხლის ჩირის ექსპორტს ახასიათებდა კლება. ექსპორტის ღირებულება და მოცულობა შემცირდა, შესაბამისად, 13%-ით და 22%-ით, ხოლო საექსპორტო ერთეულის ფასები 11%-ით გაიზარდა (ცხრილი 63).

ცხრილი 63. მსხლის ჩირის წლიური ექპსორტი, საქართველო

	მსხლის ჩირი, ღირებულება	მსხლის ჩირი, მოცულობა	მსხლის ჩირი, ღირ./მოც.
2014	6	4,000	1.5
2015	3	1,350	2.2
2016	8	4,635	1.7
2017	21	10,755	2.0
2018	3	1,162	2.5
საშუალო	8	4,380	2.0
CAGR	-13%	-22%	11%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

მსხლის ჩირის ექსპორტი აგვისტო-სექტემბერსა და ნოემბერ-დეკემბერში წარმოებდა. ექსპორტი ზაფხულის ბოლოს უფრო მაღალი იყო, ვიდრე ზამთარში. საექსპორტო ერთეულის ფასები თითქმის ერთნაირი იყო, მერყეობდა 1.9 და 2.3 ევრო/კგ-ს შორის (სურ. 25, ცხრილი 64).

სურ. 35. საქართველოს მსხლის ჩირის ექსპორტის მაჩვენებლები თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 64. მსხლის ჩირის საექსპორტო ერთეულის საშუალო წლიური ფასები და მერყეობა, საქართველო

	საშუალო	მერყეობა
მარტი	1.9	
აგვ.	2.3	0.4
სექტ.	1.9	0.5
ოქტ.		
ნოემ.	2.2	0.6
დეკ.	1.9	

წყარო:www.intracen.org, გაანგარიშებები

მსხლის ჩირი უმთავრესად გადიოდა გერმანიის ბაზარზე (80%). მეორე მნიშვნელოვანი ბაზარი რუსეთი იყო, სადაც მსხლის ჩირის მთლიანი ექსპორტის 20% იქნა გატანილი.

ბულგარეთის მსხლის ჩირის იმპორტი ანალიზის პერიოდში გაიზარდა. მოცულობა, ღირებულება და საიმპორტო ერთეულის ფასები, შესაბამისად, 44%-ით, 26%-ით და 5%-ით გაიზარდა. საშუალოდ, ბულგარეთი წელიწადში ახორციელებდა 576 ათასი ევროს ღირებულების 1.1 ტ მსხლის ჩირის იმპორტს. საიმპორტო ერთეულის ფასი, საშუალოდ, 0.6 ევრო/კგ-ს შეადგენდა (ცხრილი 65).

ცხრილი 65. მსხლის ჩირის წლიური იმპორტი, ბულგარეთი

	მსხლის ჩირი, ღირებულება	მსხლის ჩირი, მოცულობა	მსხლის ჩირი, ღირ./მოც.
2014	125	492,397	0.4
2015	204	490,798	0.6
2016	821	1,225,116	0.7
2017	961	1,549,882	0.6
2018	771	1,557,391	0.5
საშუალო	576	1,063,117	0.6
CAGR	44%	26%	5%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ბულგარეთი მსხლის ჩირის იმპორტს მთელი წლის განმავლობაში ეწეოდა. მიწოდებამ პიკს ოქტომბერ-მაისში მიაღწია. საიმპორტო ერთეულის ფასი ყველაზე მაღალი აპრილ-ივნისში იყო (0.8-1 ევრო/კგ) (სურ. 36, ცხრილი 66).

სურ. 36. ბულგარეთის მსხლის ჩირის იმპორტის მაჩვენებლები თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 66. მსხლის ჩირის საიმპორტო ერთეულის საშუალო წლიური ფასები და მერყეობა, ბულგარეთი

	საშუალო	მერყეობა
იან.	0.5	0.4
თებ.	0.6	0.3
მარტი	0.6	0.6
აპრ.	0.8	0.1
მაისი	1.0	0.1
ივნ.	0.9	0.6
ივლ.	0.6	0.5
აგვ.	0.3	0.5
სექტ.	0.3	0.2
ოქტ.	0.3	0.3
ნოემბ.	0.4	0.4
დეკ.	0.4	0.3

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ნიდერლანდებმა საბერძნეთმა და იტალიამ ბულგარეთის ბაზარზე ატმის ჩირის მთლიანი იმპორტის, შესაბამისად, 44%, 30% და 18% შეიტანეს.

რუმინეთი წლიურად, საშუალოდ, ახორციელებდა 1.99 მლნ ევროს ღირებლებს 2.6 ათას ტ მსხლის ჩირის იმპორტს. საიმპორტო ერთეულის ფასი 0.8 ევრო/კგ იყო. რუმინეთის მსხლის ჩირის იმპორტი 2%-ით გაიზარდა, მაშინ, როცა მოცულობა 10%-ით შემცირდა. ამავე დროს, საიმპორტო ერთეულის ფასები 14%-ით გაიზარდა (ცხრილი 67).

ცხრილი 67. მსხლის ჩირის წლიური იმპორტი, რუმინეთი

	მსხლის ჩირი, ღირებულება	მსხლის ჩირი, მოცულობა	მსხლის ჩირი, ღირ./მოც.
2014	1,447	2,557,716	0.6
2015	2,000	2,985,499	0.7
2016	2,296	3,051,917	0.8

2017	2,595	2,856,688	0.9
2018	1,628	1,547,912	1.1
საშუალო	1,993	2,599,946	0.8
CAGR	2%	-10%	14%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

მსხლის ჩირის იმპორტი ყველაზე მაღალი იყო მარტ-აპრილსა და ოქტომბერ-ნოემბერში, ხოლო ივნის-სექტემბერში ვარდნას ჰქონდა ადგილი. საიმპორტო ერთეულის ფასი იანვარ-ივლისში უფრო მაღალი იყო, ვიდრე დანარჩენ თვეებში. მსხლის ჩირის საიმპორტო ერთეულის ფასები მერყეობდა 0.7-1 ევრო/კგ-ს შორის (სურ. 37, ცხრილი 68).

სურ. 37. რუმინეთის მსხლის ჩირის იმპორტის მაჩვენებლები თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 68. მსხლის ჩირის საიმპორტო ერთეულის საშუალო წლიური ფასები და მერყეობა, რუმინეთი

	საშუალო	მერყეობა
იან.	0.7	0.2
თებ.	0.8	0.3
მარტი	0.8	0.3
აპრ.	0.9	0.2
მაისი	1.0	0.2
ივნ.	1.0	0.2
ივლ.	1.1	0.4
აგვ.	0.7	0.5
სექტ.	0.7	0.4
ოქტ.	0.7	0.5
ნოემბ.	0.7	0.3
დეკ.	0.7	0.2

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

იტალიამ, ნიდერლანდებმა და საბერძნეთმა რუმინეთში შეიტანეს მსხლის ჩირის იმპორტის 88%. ინდივიდუალურად ამ ქვეყნების წილი შეადგენდა, შესაბამისად, 53%-ს, 27%-სა და 9%-ს.

წვენები

საქართველოს წვენების ექსპორტის საშუალო წლიური ღირებულება და მოცულობა შეადგენდა 3 მლნ ევროსა და 3 ათას ტონას. საექსპორტო ერთეულის ფასი, საშუალოდ, 1.1 ევრო/ლ იყო. წვენების ექსპორტი ხასიათდებოდა დაღმავალი ტენდენციით. ღირებულება და მოცულობა შემცირდა, შესაბამისად, 1%-ით და 3%-ით, თუმცა საექსპორტო ერთეულის ფასები 2%-ით გაიზარდა. წვენების ექსპორტი მთელი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა (ცხრილი 69).

ცხრილი 69. წვენების წლიური ექსპორტი, საქართველო

	წვენები, ღირებულება	წვენები, მოცულობა	წვენები, ღირ./მოც.
2014	3,007	3,229,660	0.9
2015	3,763	3,349,041	1.1
2016	3,191	2,923,762	1.2
2017	3,227	2,935,477	1.1
2018	2,888	2,715,426	1.1
საშუალო	3,215	3,030,673	1.1
CAGR	-1%	-3%	2%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

მიწოდების მნიშვნელოვანი პიკი მარტში, აგვისტოსა და ნოემბერში აღინიშნებოდა, ხოლო საექსპორტო ერთეულის პიკური ფასები - იანვარში. მთლიანობაში, წვენების საექსპორტო ერთეულის ფასები 1-1.4 ევრო/ლ-ს შორის მერყეობდა (სურ. 38, ცხრილი 70).

სურ. 38. საქართველოს წვენების ექსპორტის მაჩვენებლები თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

წვენების საექსპორტო ერთეულის ფასები სტაბილური იყო წლის განმავლობაში და მერყეობდა 1-1.1 ევრო/ლ-ს შორის, მაშინ, როცა საშუალო ფასი 1.4 ევრო/ლ-ს შეადგენდა. მნიშვნელოვანი მერყეობა შეინიშნებოდა იანვრის ფასებშიც (ცხრილი 70).

ცხრილი 70. წვენების საექსპორტო ერთეულის საშუალო წლიური ფასები და მერყეობა, საქართველო

	საშუალო	მერყეობა
იან.	1.4	0.5
თებ.	1.1	0.1
მარტი	1.1	0.1
აპრ.	1.0	0.1
მაისი	1.0	0.1
ივნ.	1.0	0.1
ივლ.	1.0	0.1

აგვ.	1.0	0.1
სექტ.	1.0	0.1
ოქტ.	1.1	0.1
ნოემბ.	1.1	0.1
დეკ.	1.1	0.1

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

წვენების ექსპორტის მთავარი ბაზრები იყო აშშ, ავსტრალია და საბერძნეთი. ამ ბაზრებზე საქართველოს ექსპორტის წილი შეადგენდა, შესაბამისად, 48%-ს, 12%-სა და 11%-ს.

საშუალოდ, წლიურად ბულგარეთი ახორციელებს 912 ათასი ევროს ღირებულების 573 ტ წვენების იმპორტს. საიმპორტო ერთეულის ფასი, საშუალოდ, შეადგენდა 1.8 ევრო/ლ-ს. ანალიზის პერიოდში წვენების იმპორტი გაიზარდა. იმპორტის ღირებულება 8%-ით გაიზარდა, მოცულობა - 3%-ით, ხოლო საიმპორტო ერთეულის ფასები - 4%-ით (ცხრილი 71).

ცხრილი 71. წვენების წლიური იმპორტი, ბულგარეთი

	წვენები, ღირებულება	წვენები, მოცულობა	წვენები, ღირ./მოც.
2014	795	521,612	1.8
2015	915	646,290	1.7
2016	872	570,068	1.9
2017	818	530,842	1.6
2018	1,158	594,622	2.1
საშუალო	912	572,687	1.8
CAGR	8%	3%	4%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

წვენების იმპორტი წლის განმავლობაში საგრძნობი მერყეობით ხასიათდებოდა. იმპორტმა პიკს მარტში, ივლისსა და ნოემბერში მიაღწია. საიმპორტო ერთეულის საშუალო ფასი 1.5-2.7 ევრო/ლ-ს შორის მერყეობდა (სურ. 39, ცხრილი 72).

სურ. 39. ბულგარეთის წვენების იმპორტის მაჩვენებლები თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

Project funded by EUROPEAN UNION

Black Sea CROSS BORDER COOPERATION

ცხრილი 72. წვენების საიმპორტო ერთეულის საშუალო წლიური ფასები და მერყეობა, ბულგარეთი

	საშუალო	მერყეობა
იან.	1.5	0.7
თებ.	1.9	0.2
მარტი	1.8	0.4
აპრ.	2.0	0.4
მაისი	2.0	0.4
ივნ.	1.5	0.4
ივლ.	2.7	0.6
აგვ.	1.8	0.3
სექტ.	2.0	0.6
ოქტ.	1.5	0.6
ნოემბ.	1.7	0.2
დეკ.	1.7	0.6

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ბულგართის წვენების იმპორტის თითქმის ნახევარი შემოდიოდა თურქეთიდან, გერმანიიდან და პოლონეთიდან. ამ ქვეყნების წილმა ბულგარეთის წვენების მთელ იმპორტში შეადგინა, შესაბამისად, 24%, 16% და 8%.

რუმინეთის წვენების იმპორტის ღირებულება და მოცულობა ანალიზის პერიოდში, შესაბამისად, 18% და 19%-ით გაიზარდა. ამავე დროს, საიმპორტო ერთეულის ფასები 1%-ით დაეცა. ზოგადად, წლიურად რუმინეთი აწარმოებდა 3.3 მლნ ევროს ღირებულების 2.4 ათასი ტ წვენების იმპორტს. საიმპორტო ერთეულის საშუალო ფასი 1.5 ევრო/ლ იყო (ცხრილი 73).

ცხრილი 73. წვენების წლიური იმპორტი, რუმინეთი

	წვენები, ღირებულება	წვენები, მოცულობა	წვენები, ღირ./მოც.
2014	2,042	1,367,735	1.5
2015	2,508	1,504,713	1.7
2016	3,144	2,198,764	1.4
2017	3,983	3,398,120	1.2
2018	4,622	3,300,828	1.5
საშუალო	3,260	2,354,032	1.5
CAGR	18%	19%	-1%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

წვენების იმპორტი არ ხასიათდებოდა რაიმე გარკვეული ტენდენციით. იმპორტი მაღალი იყო ივნისსა და დეკემბერში, ხოლო დაბალი იანვარსა და აგვისტო-ნოემბერში. საიმპორტო ერთეულის ფასები 1.1-1.8 ევრო/ლ-ს შორის მერყეობდა (სურ. 40, ცხრილი 74).

სურ. 40. რუმინეთის წვენების იმპორტის მაჩვენებლები თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 74. წვენების საიმპორტო ერთეულის საშუალო წლიური ფასები და მერყეობა, რუმინეთი

	საშუალო	მერყეობა
იან.	1.4	0.3
თებ.	1.4	0.3
მარტი	1.5	0.2
აპრ.	1.5	0.1
მაისი	1.5	0.3
ივნ.	1.8	0.3
ივლ.	1.5	0.2
აგვ.	1.4	0.3
სექტ.	1.7	0.1
ოქტ.	1.3	0.1
ნოემბ.	1.4	0.1
დეკ.	1.1	0.2

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

წვენების მთავარი მიმწოდებლები იყვნენ გერმანია, ნიდერლანდები და იტალია. ამ ქვეყნების წილი რუმინეთის წვენების მთლიან იმპორტში, შესაბამისად, შეადგენდა 21%-ს, 11%-სა და 6%-ს.

ყურძნისეული სპირტიანი სასმელები

საქართველო, საშუალოდ, ყოველწლიურად ახორციელებდა 64 მლნ ევროს ღირებულების 30 ათასი ტ ყურძნისეული სპირტიანი სასმელების ექსპორტს. ხუთი წლის განმავლობაში საექსპორტო ერთეულის საშუალო ფასი 2.2 ევრო/ლ-ს შეადგენდა. ყურძნისეული სპირტიანი სასმელების ექსპორტს ზრდის ტენდენცია ახასიათებდა. ექსპორტის ღირებულება და მოცულობა, შესაბამისად, 13%-ით და 15%-ით გაიზარდა. ამავე დროს, საექსპორტო ერთეულის ფასი 3%-ით შემცირდა (ცხრილი 75).

ცხრილი 75. ყურძნისეული სპირტიანი სასმელების წლიური ექსპორტი, საქართველო

	სპირტიანი სასმელები, ღირებულება	სპირტიანი სასმელები, მოცულობა	სპირტიანი სასმელები, ღირ./მოც.
2014	49,313	22,032,658	2.3
2015	36,255	14,869,092	2.5
2016	61,258	29,981,158	2.0
2017	83,831	40,365,134	2.1
2018	88,865	45,067,783	2.0
საშუალო	63,904	30,463,165	2.2
CAGR	13%	15%	-3%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ყურძნისეული სპირტიანი სასმელების ექსპორტი მთელი წლის განმავლობაში წარმოებდა. ექსპორტმა პიკს სექტემბერ-დეკემბერში და თებერვალსა და მაისში მიაღწია. ყურძნისეული სპირტიანი სასმელების საექსპორტო ერთეულის ფასებში არ შეიმჩნეოდა რაიმე სერიოზული მერყეობა. მისი ფასი შეადგენდა 2-2.3 ევრო/ლ-ს. მთლიანობაში, მეტი სპირტის ექსპორტი ხორციელდებოდა წლის მეორე ნახევაში, პირველ ნახევართან შედარებით (სურ. 41, ცხრილი 76).

სურ. 41. საქართველოს ყურძნისეული სპირტიანი სასმელების ექსპორტის მაჩვენებლები თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 76. ყურძნისეული სპირტიანი სასმელების საექსპორტო ერთეულის საშუალო წლიური ფასები და მერყეობა, საქართველო

	საშუალო	მერყეობა
იან.	2.2	0.1
თებ.	2.2	0.2
მარტი	2.3	0.2
აპრ.	2.0	0.1
მაისი	2.1	0.1
ივნ.	2.1	0.1
ივლ.	2.2	0.1
აგვ.	2.1	0.1
სექტ.	2.1	0.1
ოქტ.	2.1	0.1

ნოემბ.	2.3	0.1
დეკ.	2.2	0.1

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ქართული ყურძნისეული სპირტიანი სასმელების უმთავრესი მომხმარებლები იყვნენ უკრაინა, რუსეთი და საფრანგეთი. ამ ქვეყნების ბაზრებზე შევიდა ქართული ყურძნის სპირტის მთლიანი ექსპორტის, შესაბამისად, 26%, 22% და 14%.

ბულგარეთის ყურძნისეული სპირტიანი სასმელების იმპორტი ზრდით ხასიათდებოდა. იმპორტის ღირებულება და მოცულობა გაიზარდა, შესაბამისად, 6%-ით და 11%-ით, თუმცა საიმპორტო ერთეულის ფასი 5%-ით შემცირდა. ბულგარეთი, საშუალოდ, წლიურად ახორციელებდა 1.4 მლნ ევროს ღირებულების 198 ტ ყურძნის სპირტის იმპორტს. საიმპორტო ერთეულის ფასი 10 ევრო/ლ იყო (ცხრილი 77).

ცხრილი 77. ყურძნისეული სპირტიანი სასმელების წლიური იმპორტი, ბულგარეთი

	სპირტიანი სასმელები, ღირებულება	სპირტიანი სასმელები, მოცულობა	სპირტიანი სასმელები, ღირ./მოც.
2014	1,171	139,592	11.3
2015	1,323	142,674	12.5
2016	1,543	344,182	9.5
2017	1,237	129,717	10.4
2018	1,577	236,764	8.5
საშუალო	1,370	198,586	10.4
CAGR	6%	11%	-5%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ბულგარეთი ყურძნისეული სპირტიანი სასმელების იმპორტს მთელი წლის განმავლობაში აწარმოებდა. იმპორტმა პიკს იანვარში, აპრილში, ივლისსა და ნოემბერში მიაღწია. ზოგადად, სხვა თვეებთან შედარებით, ფასები უფრო მაღალი იყო აგვისტო-ოქტომბერში. საიმპორტო ერთეულის ფასები 7.2 ევრო/ლ-სა და 11.4 ევრო/ლ-ს შორის მერყეობდა, შესაბამისად, დეკემბერსა და ივნისში (სურ. 42ა, ცხრილი 78).

სურ. 42ა. ბულგარეთის ყურძნისეული სპირტიანი სასმელების იმპორტის მაჩვენებლები თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 78. ყურძნისეული სპირტიანი სასმელების საიმპორტო ერთეულის საშუალო წლიური ფასები და მერყეობა, ბულგარეთი

	საშუალო	მერყეობა
იან.	9.8	0.5
თებ.	10.7	0.3
მარტი	8.2	0.4
აპრ.	9.2	0.7
მაისი	11.0	0.4
ივნ.	11.4	0.6
ივლ.	9.8	0.4
აგვ.	11.5	0.4
სექტ.	14.4	0.2
ოქტ.	13.8	0.3
ნოემბ.	8.4	0.7
დეკ.	7.2	0.8

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ყურძნისეული სპირტიანი სასმელების მთავარი იმპორტიორები იყვნენ თურქეთი, გერმანია და პოლონეთი დაღმავალი თანმიმდევრობით მნიშვნელობის მიხედვით. ამ ქვეყნების წილმა ბულგარეთის ყურძნისეული სპირტიანი სასმელების მთლიან იმპორტში, შესაბამისად, 24%, 16% და 8% შეადგინა.

რუმინეთის ყურძნისეული სპირტიანი სასმელების იმპორტს ზრდა ახასიათებდა. მიწოდების ღირებულება და მოცულობა, შესაბამისად, 25%-ით და 24%-ით გაიზარდა, თუმცა საიმპორტო ერთეულის ფასები 2%-ით შემცირდა. რუმინეთი, საშუალოდ, წელიწადში ახორციელებდა 979 ათასი ევროს ღირებულების 338 ტ ყურძნის სპირტის იმპორტს. ყურძნის სპირტის საიმპორტო ერთეულის საშუალო ფასი 3.8 ევრო/ლ იყო (ცხრილი 79).

ცხრილი 79. ყურძნისეული სპირტიანი სასმელების წლიური იმპორტი, რუმინეთი

	სპირტიანი სასმელები, ღირებულება	სპირტიანი სასმელები, მოცულობა	სპირტიანი სასმელები, ღირ./მოც.
2014	489	123,040	4.7
2015	587	204,037	3.3
2016	934	556,803	3.3
2017	1,394	443,944	3.7
2018	1,492	363,835	4.2
საშუალო	979	338,332	3.8
CAGR	25%	24%	-2%

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

წლის განმავლობაში რუმინეთის ყურძნისეული სპირტიანი სასმელების იმპორტში არ შეიმჩნეოდა რაიმე კონკრეტული ტენდენცია. იმპორტმა პიკს იანვარში, აპრილში, ივნისში, აგვისტოსა და ოქტომბერში მიაღწია. იმპორტის ფასის მოდელი იმპორტის მოცულობასა და ღირებულებასთან შედარებით უფრო ერთგვაროვანი იყო. საიმპორტო ერთეულის ფასები 3.2-4.9 ევრო/ლ-ს შორის მერყეობდა (სურ. 42ბ, ცხრილი 80).

სურ. 42ბ. რუმინეთის ყურძნისეული სპირტიანი სასმელების იმპორტის მაჩვენებლები თვეების მიხედვით



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ცხრილი 80. ყურძნისეული სპირტიანი სასმელების საიმპორტო ერთეულის საშუალო წლიური ფასები და მერყეობა, რუმინეთი

	საშუალო	მერყეობა
იან.	3.2	0.5
თებ.	4.9	0.6
მარტი	3.3	0.2
აპრ.	3.4	0.6
მაისი	4.9	0.1
ივნ.	4.3	0.5
ივლ.	3.6	0.3
აგვ.	4.1	0.3
სექტ.	4.1	0.1
ოქტ.	3.1	0.2
ნოემბ.	3.5	0.2
დეკ.	3.8	0.2

წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

ყურძნისეული სპირტიანი სასმელების იმპორტის თითქმის ნახევარი შედიოდა ესპანეთიდან, გერმანიიდან და მოლდოვიდან. ამ ქვეყნების წილი მთლიან იმპორტში, შესაბამისად, 19%-ს, 17%-სა და 8%-ს შეადგენდა.

ევროკავშირის მოთხოვნები იმპორტთან დაკავშირებით

საქართველო ახორციელებს თავისი სანიტარიული და ფიტოსანიტარიული კანონმდებლობის ჰარმონიზებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან (Acquis communautaire). ყველა კომპანიამ, რომელიც საექსპორტო ბაზრებს ამარაგებს, უნდა შეასრულოს ევროკავშირის იმპორტთან დაკავშირებული მოთხოვნები, მათ შორის ეტიკეტირების, შეფუთვის, პესტიციდების მინიმალური ნარჩენი რაოდენობის, დამაბინძურებლების, სურსათის უვნებლობისა და მცენარეთა სიჯანსაღის მოთხოვნები.

კენკროვანი კულტურები

ხარისხი

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO), გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) „საკვები პროდუქტების კოდექსი ალიმენტარიუსი“ - Codex Alimentarius – იძლევა ინფორმაციას კენკროვანი კულტურების ხარისხის შემდეგი მოთხოვნების შესახებ:

- მარკეტინგული სტანდარტები გაუყინავი ფიზალისისთვის (Codex Alimentarius);
- მარკეტინგული სტანდარტები სწრაფი გაყინვის ტექნოლოგიით დამუშავებული ჟოლოს, ლურჯი მოცვისა და ევროპული სახეობის მოცვისათვის (Codex Alimentarius);
- http://www.fao.org/fao-who-codexalimentarius/codex-texts/list-standards/en/
- კენკრის ზოგადი მარკეტინგული სტანდარტები (UNECE); https://www.unece.org/fileadmin/DAM/trade/agr/standard/standard/fresh/FFV-Std/English/57_BerryFruits.pdf
- ევროკავშირის რეგლამენტი N543/2011 ზოგადი მარკეტინგული სტანდარტების შესახებ, https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2011:157:0001:0163:EN:PDF

კენკრას, სულ მცირე, უნდა ჰქონდეს ერთგვაროვანი შეფერილობა, სახეობისთვის დამახასიათებელი პარამეტრები, იყოს სუფთა და არ უნდა შეიცავდეს უცხო მცენარეულ ნივთიერებებს და დაუმწიფებულ ან დაზიანებულ ნაყოფს. ვიზუალურ დეფექტებს (მაგ.: დაუმწიფებელი ან დაზიანებული ნაყოფი) აფასებენ კოდექსით გათვალისწინებული სტანდარტების სისტემის მიხედვით. თუკი პროდუქციის დაზიანების მაჩვენებლები არ აღემატება დაწესებულ ზღვარს, მისი შეტანა ევროპის ბაზარზე დაშვებულია, როგორც ამას კოდექსი ითვალისწინებს.

ზომა და შეფუთვა

შეფუთვა უნდა ითვალისწინებდეს ისეთი რისკებისგან დაზღვევას, როგორიცაა პროდუქციის დაბინძურება, სითხის გამოჟონვა და დეჰიდრატაცია (გამოშრობა). ამას გარდა, დამატებითი ინფორმაცია შეფუთვაზე მოიპოვება ახალდაკრეფილი ტროპიკული ხილისა და ბოსტნეულის შეფუთვისა და ტრანსპორტირების პრაქტიკის საერთაშორისო კოდექსში (CAC/RCP 44-1995) at http://www.fao.org/ag/agn/CDfruits_en/others/docs/CAC-RCP44-1995.PDF.

ეტიკეტირება

შეფუთვის ეტიკეტირება შესაბამისობაში უნდა იყოს ევროპულ ბაზარზე მოქმედ წესებთან და რეგულაციებთან. ეტიკეტის შემადგენლობაში არ უნდა იყოს ტოქსიკური მელანი ან წებო. თუკი შეფუთვიდან პროდუქცია არ ჩანს, შეფუთვაზე დატანილი უნდა იყოს პროდუქციის დასახელება, სახეობის დასახელება (შერჩევითი) და საფირმო დასახელება. ამასთან, ეტიკეტზე დატანილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

- გასაყიდი პროდუქციის დასახელება;
- კომერციული იდენტიფიკაციის მახასიათებლები: კლასი, ზომა (კოდი), რაოდენობა, ნეტო წონა;
- მწარმოებლის დასახელება და მისამართი;

- წარმოშობის ადგილი / ქვეყანა;
- გაყინული პროდუქციის შემთხვევაში ეტიკეტზე მითითებული უნდა იყოს „გაყინული“.

ამას გარდა, მომხმარებლებისთვის არსებობს ზოგადი სტანდარტები შეფუთული საკვები პროდუქტების ეტიკეტირებისთვის (CODEX STAN 1-1985) და ევროკავშირის №1169/2011 რეგულაცია ევროკავშირის ბაზარზე შესული საკვები პროდუქტების შესახებ, მათ შორის შეფუთული პროდუქტების ეტიკეტირების შესახებ. რეგულაციის გაცნობა შესაძლებელია ვებგვერდზე: https://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2011:304:0018:0063:EN:PDF

პესტიციდების მინიმალური ნარჩენი რაოდენობა

პესტიციდების ნარჩენები წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს კენკროვანი კულტურების იმპორტიორებისთვის. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ჯანრთელობისა და გარემოს დაზიანება, ევროკავშირს დადგენილი აქვს პესტიციდების ნარჩენების ზღვრული დასაშვები ნორმა (MRL) პროდუქტში(ზე). პროდუქცია, რომლის შემცველობაში აღმოჩნდება დასაშვებ ნორმაზე მეტი რაოდენობა, გაიდევნება ევროპის ბაზრიდან. ნორმები კენკროვანი კულტურებისთვის შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: https://ec.europa.eu/food/plant/pesticides/eu-pesticides-database/public/?event=homepage&language=EN

ფიტოსანიტარიული მოთხოვნები

ევროკავშირის ბაზარზე შეტანილი კენკრა უნდა აკმაყოფილებდეს მცენარეთა სიჯანსაღის შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ევროკომისიის მიერ შემუშავებული ფიტოსანიტარიული მოთხოვნები მიზნად ისახავს მცენარეებში და მცენარეულ პროდუქტებში მავნე ორგანიზმების შეღწევისა და გავრცელების თავიდან აცილებას. ინფორმაცია ამ მოთხოვნათა შესახებ იხილეთ ვებგვერდზე: https://trade.ec.europa.eu/tradehelp/sanitary-and-phytosanitary-requirements.

სურსათის უვნებლობა

ვინაიდან სურსათის უვნებლობა უმთავრესი პრიორიტეტია ევროკავშირის საკვები სექტორებისთვის, მყიდველი დამატებით გარანტიებს ითხოვს იმპორტიორებისგან სერტიფიცირების სქემების სახით. გაუყინავი კენკრის სერტიფიცირების ყველაზე მოთხოვნადი სქემა GlobalGAP სტანდარტია, რომელიც მოიცავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სრულ ციკლს, მცენარის დარგვამდე ეტაპიდან გადამუშავების ეტაპამდე (ხსენებული სტანდარტი გადამუშავებას არ ეხება). GlobalGAP სერტიფიცირების მოთხოვნა დამოკიდებულია დანიშნულების ქვეყანაზე, საბაზრო პირობებზე და სავაჭრო არხებზე. თითქმის ყველა სუპერმარკეტი ითხოვს აღნიშნულ სერტიფიცირებას. სურსათის უვნებლობის მართვის სისტემებიდან შესაძლოა დამატებით მოთხოვნილ იქნეს: ბრიტანული გაყიდვების კონსორციუმის (BRC) სტანდარტი, სურსათის საერთაშორისო სტანდარტი (IFS-International Featured Standards), სურსათის უვნებლობის სისტემა SSC22000, უსაფრთხო ხარისხის სურსათის პროგრამა (SQF). აღნიშნული სისტემები GlobalGAP სტანდარტთან ერთად ინერგება და აღიარებულია სურსათის უვნებლობის გლობალური ინიციატივის (GFSI) მიერ.

ატამი და ვაშლატამა

ხარისხი

გაუყინავი ატმისა და ნექტარინისთვის (ვაშლატამა) მოქმედებს ევროკავშირის სტანდარტი იხილეთ ვებგვერდზე:
https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2011:157:0001:0163:EN:PDF

ატამი და ვაშლატამა სამი განსხვავებული ხარისხის კატეგორიადაა დაჯგუფებული:

- „ექსტრა კლასს“ მიეკუთვნება უმაღლესი ხარისხის პროდუქტი, რომელსაც საერთოდ არ აღენიშნება დეფექტები ან მცირე რაოდენობის შეუმჩნეველი ზედაპირული დეფექტები აქვს;

- „I კლასის“ პროდუქტი კარგი ხარისხის პროდუქტია, რომელსაც უმნიშვნელო დეფექტები აქვს შეფერილობაში, კანზე, ფორმაში და ყუნწზე;
- ხილი, რომელიც აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს, მაგრამ არ განეკუთვნება I და ექსტრა კლასებს, ევროკავშირის ბაზარზე შედის როგორც „II კლასის“ პროდუქტი.

ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნების გარდა, ატამს და ვაშლატამას არ უნდა ჰქონდეთ ყუნწის გარშემო ღრუ გახლეჩილი. UNECE სტანდარტები ხარისხის კლასების მიხედვით ითვალისწინებს აგრეთვე ნაყოფის მინიმალურ ზომას და ზომის ერთგვაროვნებას. ზომა შესაძლებელია იცვლებოდეს, მაგრამ პირველი და ექსტრა კლასის ნაყოფის ზომა ერთგვაროვანი უნდა იყოს. ატმისა და ვაშლატამისთვის შეიძლება მოთხოვნილი იქნეს ზომის დამატებითი კოდები, რომლებიც მერყეობს 51-55 მმ ან 65-85 გრ და AAAA შორის (>90 მმ ან >300 გრ).

ზომა და შეფუთვა

მოთხოვნები შეფუთვაზე განსხვავებულია სხვადასხვა მომხმარებელთან და სხვადასხვა საბაზრო სეგმენტზე. პროდუქტი ახალ, სუფთა და ხარისხიან მასალაში უნდა იყოს შეფუთული, რომ არ დაზიანდეს და დაცული იქნეს. ქვემოთ გთავაზობთ ზოგად მახასიათებლებს:

- საბითუმოდ გამოიყენება მუყაოს ან ხის ყუთები. მათი ზომები შეიძლება სხვადასხვა იყოს. პროდუქციის უმეტესობა იყიდება 3-5 კგ-იან ყუთებში;
- საცალო ვაჭრობისთვის გამოიყენება ½ ან 1 კგ პლასტიკური ყუთები.

ეტიკეტირება

იმისათვის, რომ დაცული იქნეს ევროკავშირის მომხმარებელთა უფლება, ხელი მიუწვდებოდეთ სასარგებლო და სათანადო ინფორმაციაზე, ევროკავშირის რეგულაცია №1169/2011 ადგენს საკვები პროდუქტებისა და მათი ეტიკეტირების ზოგად პრინციპებს, მოთხოვნებს და პასუხისმგებლობას. აღნიშნული რეგულაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებგვერდზე: https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2011:304:0018:0063:EN:PDF. ყველა შეფუთვაზე მკაფიოდ უნდა იკითხებოდეს კონკრეტული ინფორმაცია, რომელიც ხილვადი იქნება გარედან, კერძოდ:

- იდენტიფიკაცია: შემფუთველ/დისტრიბუტორის ან გადამზიდველის სახელწოდება;
- თუ პროდუქტი გარედან არ ჩანს, მისი სახელწოდება (მაგ.: ატამი ან ვაშლატამა) და რბილობის ფერი. შესაძლებელია, მაგრამ არა სავალდებულო, ჯიშის სახელწოდების დაწერა;
- პროდუქტის მწარმოებელი ქვეყანა;
- სავაჭრო პარამეტრები: კლასი, ზომა ან ზომის კოდი, ერთეულების რაოდენობა (შერჩევით);
- მიკვლევადობის კოდი;
- ოფიციალური საკონტროლო ნიშანი (შერჩევითი);
- თუ სერტიფიცირებულია GlobalGAP მიხედვით, GGN-ის ნომერი.

შესაბამისობის ტესტი ტარდება მანამ, სანამ პროდუქტი ევროპის თანამეგობრობის საბაჟო ტერიტორიაზე შევა. ტესტი არ ტარდება მცირე პარტიისთვის, რომელსაც ინსპექტირებაზე უფლებამოსილი პირი ნაკლები რისკის შემცველად მიიჩნევს. მესამე ქვეყანაში, რომელიც წარმოადგენს შესაბამისობის დამაკმაყოფილებელ გარანტიებს, ინსპექტირება ექსპორტამდე შეიძლება ჩატარდეს ადგილობრივი ინსპექტირების უწყების მიერ. ატმისა და ვაშლატამისთვის დამატებითი რეგულაციები არ არსებობს.

პესტიციდების ნარჩენი მინიმალური რაოდენობა

პესტიციდების ნარჩენები წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს ატმისა და ვაშლატამის მიმწოდებლებისთვის. ჯანმრთელობისა და გარემოს დაზიანების თავიდან ასაცილებლად ევროკავშირმა დაადგინა პესტიციდების ნარჩენების ზღვრული დონე საკვებ პროდუქტებში(ზე) (MRL). ნარჩენების ზღვრული დონის გადაჭარბების შემთხვევაში პროდუქტი გაიდევნება ევროკავშირის ბაზრიდან. ატმისა და ვაშლატამის MRL იხილეთ ევროკავშირის MRL მონაცემთა ბაზაში, ვებგვერდზე: https://ec.europa.eu/food/plant/pesticides/eu-pesticides-database/public/?event=homepage&language=EN

ფიტოსანიტარიული მოთხოვნები

ევროკავშირის ბაზარზე შეტანილი ხილი და ბოსტნეული უნდა აკმაყოფილებდეს მცენარეთა სიჯანსაღის შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ევროკავშირის მიერ დადგენილი ფიტოსანიტარიული მოთხოვნები მიზნად ისახავს მცენარეებში და მცენარეულ პროდუქტებში მავნე ორგანიზმების შეღწევისა და გავრცელების თავიდან აცილებას. მოთხოვნები გულისხმობს, რომ გარკვეული ტიპის ორგანიზმების იმპორტირება ევროკავშირში დაუშვებელია, თუ არ არსებობს კონკრეტული გარემოებები. ინფორმაცია ამ მოთხოვნათა შესახებ იხილეთ ვებგვერდზე: https://trade.ec.europa.eu/tradehelp/sanitary-and-phytosanitary-requirements.

სურსათის უვნებლობა

სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის და გარემოს დაზიანების თავიდან აცილების მიზნით ევროკავშირმარამდენიმე რეგულაციით და დირექტივით გარკვეული სახის ქიმიკატების გამოყენებაზე შეზღუდვები დააწესა. ხილი ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რომლის მიზანია, უზრუნველყოს ევროკავშირის ბაზარზე უსაფრთხო საკვები პროდუქტების შეტანა, ანუ შეტანილმა პროდუქტმა უნდა დააკმაყოფილოს ის მოთხოვნები, რომლებიც მათთან დაკავშირებით გამოიყენება. არსებობს კონტროლის სამი სახე, კერძოდ:

- დოკუმენტური შემოწმება;
- იდენტიფიცირების შემოწმება;
- ფიზიკური შემოწმება.

ვინაიდან სურსათის უვნებლობა უმთავრესი პრიორიტეტია ევროკავშირის საკვები სექტორებისთვის, მყიდველი დამატებით გარანტიებს ითხოვს იმპორტიორებისგან სერტიფიცირების სქემების სახით. ამ კუთხით ყველაზე მოთხოვნადი სქემა GlobalGAP სტანდარტია, რომელიც აუცილებელია კურკოვანი ხილის ევროკავშირში ექსპორტისთვის. სურსათის უვნებლობის მართვის სისტემებიდან შესაძლოა დამატებით მოთხოვნილი იქნეს: ბრიტანული გაყიდვების კონსორციუმის (BRC) სტანდარტი, სურსათის საერთაშორისო სტანდარტი (IFS- International Featured Standards), სურსათის უვნებლობის სისტემა SSC22000 და უსაფრთხო ხარისხის სურსათის პროგრამა (SQF). აღნიშნული სისტემები GlobalGAP სტანდარტთან ერთად ინერგება და აღიარებულია სურსათის უვნებლობის გლობალური ინიციატივის (GFSI) მიერ.

ჩირი

ხარისხი

ნებისმიერი სახის ხილის ჩირის ხარისხისადმი ზოგადი მოთხოვნაა, რომ იყოს საღი, სტანდარტის შესაბამისი და ჰქონდეს სასაქონლო იერი. მასზე აღნიშნული უნდა იყოს წარმოშობის ქვეყანა. ის ხილი, რომელზეც არ ვრცელდება რომელიმე კონკრეტული სტანდარტი, უნდა აკმაყოფილებდეს ზოგად სტანდარტს ან შესაბამის UNECE სტანდარტს (http://www.unece.org/trade/agr/standard/dry/ddp-standards.html). კომპანიებს უფლება აქვთ, საკუთარი სურვილისამებრ შეარჩიონ გამოსაყენებელი სტანდარტები საქმიანობაში.

ჩირის ხარისხისადმი ყველაზე გავრცელებული მოთხოვნებია:

- ტენიანობა (კონკრეტული პროდუქტებისთვის განსაზღვრულია მაქსიმალური დონე);
- სორტირება ზომის მიხედვით (განსხვავდება ჩირის თითოეული სახეობისთვის);
- დაჭრის კონკრეტული სახე (ჩირის ზოგიერთი სახეობისთვის);
- გამოყენებული კონსერვანტების ტიპი და დონე;

- ხარისხის ჯგუფი (განისაზღვრება ერთგვაროვნებისა და პირობებისადმი მგრძნობელობის მიხედვით).

კოდექს ალიმენტარიუსის თავი „სანიტარულ-ჰიგიენური წესების შესახებ“ ითვალისწინებს ჩირის ხარისხისადმი წაყენებულ მოთხოვნებს (http://www.fao.org/fao-who-codexalimentarius/sh-proxy/en/?lnk=1&url=https%253A%252F%252Fworkspace.fao.org%252Fsites%252Fcodex%252FStandards%252FCXC%2B3-1969%252FCXP_003e.pdf).

ზომა და შეფუთვა

პირველი მოთხოვნაა, რომ შეფუთვის შიგთავსი შეესაბამებოდეს ეტიკეტზე მითითებულ რაოდენობას (წონა ან მოცულობა). იმპორტიორები ამოწმებენ შეფუთვის ზომას და წონას იმ მიზნით, რომ გარანტირებული იყოს დაფასოებული პროდუქტის დასაშვები გადაცდომის ზღვრებში მოქცევა.
არცთუ იშვიათად ვხვდებით მყიდველის მოთხოვნას, რომ შეფუთვისთვის გამოყენებული იქნეს გადამუშავებისთვის ვარგისი მასალა, მაგალითად, მუყაო. ეს მოთხოვნა განსაკუთრებით რელევანტურია, თუ ექსპორტიორი ევროპული საცალო ვაჭრობის ქსელების მომარაგებას გეგმავს, რომლებიც ხშირად ითხოვენ, რომ შესაფუთი მასალის 100% ეკოლოგიური და გადამუშავებისთვის ვარგისი მასალისგან შედგებოდეს, მათ შორის სახურავების და ხუფების მასალებიც.
რაც შეეხება მომხმარებლისთვის განკუთვნილ შესაფუთ მასალას, რომელიც საკვებ პროდუქტს ეხება ფიზიკურად (მაგ.: კონსერვის ქილა, მინის ქილა), მისთვის ჯანმრთელობის დაცვის კონტროლის კონკრეტული ნორმები გამოიყენება. მასალა, რომელიც საკვებ პროდუქტთან არის შემხებლობაში, უნდა დამზადდეს იმგვარად, რომ მისი შემადგენელი ელემენტები იმ რაოდენობით არ გადავიდეს საკვებზე, რომ მომხმარებლის ჯანმრთელობას საფრთხე შეექმნას, შეცვალოს საკვები პროდუქტის შემადგენლობა, გაუფუჭოს გემო ან ცუდი სუნი მისცეს.

ჩირისთვის გამოყენებული შეფუთვის მასალამ:

- უნდა დაიცვას პროდუქტის ორგანოლეპტიკური და ხარისხის პარამეტრები;
- უნდა დაიცვას პროდუქტი ბაქტერიოლოგიური და სხვა სახის დაბინძურებისგან (მათ შორის შესაფუთი მასალისგან დაბინძურებისგან);
- დაბოლოს, მისგან პროდუქტს არ უნდა გადაედოს სუნი, გემო, ფერი ან სხვა უცხო სახის თვისებები.

საკვებ პროდუქტთან შემხებლობაში მყოფი მასალის უვნებლობა უნდა შეფასდეს და უზრუნველყოფილი იქნეს, რომ არ მოხდეს საფრთხის შემცველი ქიმიური ნივთიერებების გადატანა საკვებ პროდუქტზე.

ზოგადი წესები საექსპორტო შეფუთვისთვის არ არსებობს, მაგრამ ჩირს, ჩვეულებრივ, ათავსებენ მუყაოს ყუთებში, რომლებსაც პოლიეთილენის სარჩული აქვთ.

ევროპაში იყენებენ 10 კგ-იან სტანდარტულ საბაზო შეფუთვას, თუმცა გვხვდება, აგრეთვე, 12 კგ-იანი მუყაოს ყუთები, 12 - 15 კგ ფანერის ყუთები და 25-70 კგ-იანი ნაჭრის ტომრები. გოფრირებულ ან სქელი მუყაოს ყუთებში შეფუთვისას პროდუქტის ტრანსპორტირება უნდა მოხდეს პალეტების (ქვესადგამის) მეშვეობით.

შერჩეული შეფუთვის ზომა უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტული ქვესადგამის ზომებს (800x1200 მმ და 1000x1200 მმ). ამგვარადვე იქმნება გადასაზიდი ტვირთის ერთეულები. საცალო შეფუთვა მოიცავს პოლიეთილენის პაკეტებს, პლასტმასის ყუთებს და ფოლგის პაკეტებს.

ეტიკეტირების მოთხოვნები

2014 წლის დეკემბერში ამოქმედდა ახალი ევროპული კანონმდებლობა ეტიკეტირების შესახებ. ის კრძალავს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას და, ამას გარდა, დაუშვებლად მიიჩნევს შეფუთვაზე იმის მითითებას, რომ კვების პროდუქტი წარმოადგენს დაავადების სამკურნალო ან პრევენციულ საშუალებას. კიდევ ერთი ცვლილება ითვალისწინებს ალერგენების მარკირებას, ისინი მკაფიოდ უნდა

იყვნენ აღნიშნული ინგრედიენტთა მთლიან ჩამონათვალში და მოთხოვნებში. ხსენებული წესი გავრცელდება, აგრეთვე, შეუფუთავ, მათ შორის ისეთ კვების პროდუქტებზე, რომლებიც რესტორნებსა და კაფეებში იყიდება. ალერგენებში შედის სულფიტები და გოგირდის დიოქსიდიც, თუკი SO2-ის ჯამური კონცენტრაცია აღემატება 10 მგ-ს 1 კგ-ზე. საკვების პროდუქტების უმეტესობისთვის სავალდებულოა კვებითი ღირებულების შესახებ ინფორმაციის მითითებაც.

ჩირის შემთხვევაში ეტიკეტზე მითითებული უნდა იქნეს:

- მისი დასახელება და, აგრეთვე, როგორ იქნა იგი წარმოებული, ბუნებრივი გზით თუ შაქრის დამატებით (ჩირის კონკრეტული სახეობებისთვის);
- კურკების/მარცვლების არსებობა ჩირის იმ სახეობების შემთხვევაში, რომლებიც კურკოვანი ხილისგანაა დამზადებული;
- ხარისხობრივი ჯგუფის გარდა, მითითებული უნდა იყოს, რომელ წელს იქნა მოსავალი აღებული, ასევე კულტურის ჯიში.

საბითუმო ქსელისთვის განკუთვნილი კონტეინერების შემთხვევაში ინფორმაცია მითითებული უნდა იყოს კონტეინერზე ან თანმხლებ დოკუმენტაციაში. კონტეინერის მარკირება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- პროდუქტის დასახელებას;
- პარტიის საიდენტიფიკაციო მონაცემებს;
- მწარმოებლის, შემფუთავის/დამფასოებლის, დისტრიბუტორის ან იმპორტიორის დასახელებას და მისამართს;
- შენახვის პირობებს და ინსტრუქციებს.

თუმცა ინფორმაცია პარტიის საიდენტიფიკაციო მონაცემებზე, მწარმოებლის, შემფუთავის/დამფასოებლის, დისტრიბუტორის ან იმპორტიორის დასახელება და მისამართი შეიძლება ერთიანი საიდენტიფიკაციო ნიშნით ჩანაცვლდეს.

საცალო შეფუთვისთვის ეტიკეტირების მოთხოვნები უნდა აკმაყოფილებდეს საკვებ პროდუქტზე მომხმარებლისთვის განკუთვნილი ინფორმაციის შესახებ ევროკავშირის რეგულაციის მოთხოვნებს (https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:32011R1169). ამ რეგულაციაში უფრო ნათლადაა განსაზღვრული მარკირების მოთხოვნები კვებითი ღირებულების, პროდუქტის წარმოშობის, ალერგენების შემცველობის და მარკირების მკაფიოობის (მინიმალური ზომის შრიფტი სავალდებულო ინფორმაციისთვის) შესახებ.

სურსათის უვნებლობა

ევროკავშირი მუდმივად მუშაობს იმაზე, რომ მისი ბაზარი უზრუნველყოფილი იყოს მსოფლიოში ყველაზე უვნებელი საკვები პროდუქტებით. პროდუქტების მიმართ მოქმედებს ერთნაირი სტანდარტები, იმის მიუხედავად, იმპორტირებულია პროდუქტი თუ ევროკავშირშია დამზადებული. „სურსათის ძირითადი კანონი" ჩარჩო კანონმდებლობაა ევროკავშირის ბაზარზე, რომელთანაც შესაბამისობაშია სურსათთან დაკავშირებული კანონმდებლობის 90%.

ევროკავშირმა შეიმუშავა ინტეგრირებული მიდგომა, ე.წ. „ფერმიდან ჩანგლამდე", რომელიც მოიცავს საკვები პრუდუქტის წარმოების ჯაჭვის ყველა სექტორს. ეს კი ნიშნავს, რომ ნებისმიერი სახის საკვები პროდუქტის მიკვლევადობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა დონეზე და ასევე, შეზღუდული უნდა იყოს დაბინძურების რისკი. ამ მიზნის მისაღწევად საკვები პროდუქტების სექტორის ბიზნეს-ოპერატორებმა საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემა უნდა დანერგონ ყოველდღიურ საქმიანობაში. ყურადღება მიაქციეთ, რომ ბიზნეს-ოპერატორთა რიგებში შედიან ექსპორტიორებიც, რომლებსაც პროდუქცია განვითარებადი ქვეყნებიდან შემოაქვთ.

„სურსათის ძირითადი კანონის" აღსულებაზე მონიტორინგს ერთმანეთთან თანამშრომლობით ადგილობრივი და ევროპული ორგანიზაციები ახორციელებენ. კანონით ჩამოყალიბებულია ევროპის სურსათის უვნებლობის სააგენტო (EFSA), რომელიც ვალდებულია, შექმნას და განავითაროს

სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული კანონები, შექმნას, აგრეთვე, ოფიციალური კონტროლის ჩარჩო მექანიზმები.

და თუმცა სურსათის უვნებლობის სერტიფიცირება სავალდებულო არ არის ევროპული კანონმდებლობით, ის მაინც აუცილებელი გახდა თითქმის ყველა იმპორტიორისთვის. ევროკავშირში აღიარებული იმპორტიორები არ დაამყარებენ საქმიან კონტაქტს მასთან, ვისაც არ გააჩნია რაიმე სახის სურსათის უვნებლობის სერტიფიცირების მტკიცებულება, რომელიც თანამშრომლობის საფუძველი ხდება.

ევროპელი მყიდველების უმრავლესობა მოითხოვს სურსათის უვნებლობის გლობალური ინიციატივის სერტიფიცირებას. ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმოებისა და სავაჭრო ქსელებისთვის ყველაზე პოპულარული პროგრამებია:

- სურსათის საერთაშორისო სტანდარტები (IFS);
- ბრიტანული გაყიდვების კონსორციუმის (BRC) სტანდარტები;
- სურსათის უვნებლობის სისტემის სერტიფიცირება (FSSC 22000).

ეს ჩამონათვალი ამომწურავი არ არის, სურსათის უვნებლობის მართვის სისტემები მუდმივად ვითარდება, თუმცა მათი უმრავლესობა ეფუძნება არსებულ ISO სტანდარტებს, მაგ. ISO 22000-ს.

მართალია, სერტიფიცირების სხვადასხვა სისტემა ერთსა და იმავე პრინციპებს ეფუძნება, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ზოგიერთმა მყიდველმა მართვის ერთ კონკრეტულ სქემას მიანიჭოს უპირატესობა. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ სურსათის უვნებლობის სქემის გამოყენება მხოლოდ საბაზისო საფეხურია ევროკავშირში ექსპორტისთვის. სანდო მყიდველი, ჩვეულებრივ, ადგილზე მოინახულებს წარმოების საშუალებებს, ხოლო თუ მიწოდება მსხვილ საცალო ქსელებში ხორციელდება, მათმა წარმომადგენლებმა შეიძლება ადგილზე წელიწადში რამდენჯერმე ჩაატარონ აუდიტი.

„სურსათის ზოგადი კანონიდან“ გამომდინარე სამართლებრივი მოთხოვნების ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებიც განვითარებადი ქვეყნებიდან ექსპორტიორებისთვის არის რელევანტური, მოიცავს ევროკავშირში იმპორტირებული სურსათის და დამაბინძურებლების კონტროლს.

დამაბინძურებლები

დამაბინძურებელი ნივთიერებები საკვებ პროდუქტში შეიძლება მოხვდეს მისი წარმოების პროცესის სხვადასხვა ეტაპზე და მათ შედეგად, მაგალითად, შეფუთვისას, ტრანსპორტირებისას ან გარემოს ზემოქმედებისას. ევროკავშირმა მკაცრი და ფართო ზომები განახორციელა საკვებ პროდუქტებში დამაბინძურებლების მინიმუმამდე შემცირების მიზნით. ევროკავშირის რეგულაციაში განსაზღვრულია საკვებ პროდუქტებში გარკვეული დამაბინძურებლების ზღვრული დონეები. აღნიშნული რეგულაციის განახლება ხშირად ხდება და გარდა ძირითადი საკვები პროდუქტებისათვის დადგენილი ზღვრული დონეებისა, მასში გათვალისწინებულია კონკრეტული დამაბინძურებლების ნორმები გარკვეულ პროდუქტებში (https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A32006R1881). დამაბინძურებლებს განეკუთვნება:

პესტიციდების ნარჩენების მინიმალური რაოდენობა

ევროკავშირმა დაადგინა პესტიციდების ნარჩენების ზღვრული დონე საკვებ პროდუქტებში(ზე) (MRL) (https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2005:070:0001:0016:en:PDF). ნარჩენების ზღვრული დონის გადაჭარბების შემთხვევაში პროდუქტი გაიდევნება ევროკავშირის ბაზრიდან. ევროკავშირი რეგულარულად აქვეყნებს იმ დამტკიცებული პესტიციდების ჩამონათვალს, რომელთა გამოყენება ნებადართულია ევროკავშირში. ხშირად ხდება აღნიშნული ჩამონათვალის განახლება. ევროკავშირის დირექტივა „პესტიციდების ნარჩენების ზღვრული დონეების შესახებ“ განსაზღვრავს მაქსიმალურად დასაშვებ დონეებს (MRL) და ხშირად უნდა გადამოწმდეს. მაქსიმალურად დასაშვები დონეები ვრცელდება გაუყინავი პროდუქტების გარკვეულ რაოდენობაზე და ამავე პროდუქტებზე

გადამუშავების შემდეგ. პესტიციდების ზოგადი მაქსიმალური დასაშვები დონე 0.01 მგ/კგ გამოიყენება მაშინ, როცა პესტიციდი კონკრეტულად არ არის მოხსენიებული. ზოგიერთმა ევროპელმა მყიდველმა პესტიციდების ნარჩენებისთვის შეიძლება ოფიციალური რეგულაციებით განსაზღვრულ დონეებზე უფრო მკაცრი ზღვრები დააწესოს. გადამუშავებული ხილისა და ბოსტნეულის იმპორტიორებმა შეიძლება შეუსაბამობის რისკის შემცირება არჩიონ და უვნებლობის უფრო მაღალი დონე დააწესონ ოფიციალურთან შედარებით.

საკვებ პროდუქტებში მძიმე მეტალების ოდენობის შეზღუდვა

მძიმე მეტალები საკვებში შეიძლება აღმოჩნდეს როგორც ნარჩენი, გარემოში მათი არსებობის და ადამიანის ისეთი საქმიანობის შედეგად, როგორიც არის ფერმერობა ან მრეწველობა, ან მანქანის გამონაბოლქვის და საკვები პროდუქტის გადამუშავების თუ შენახვის შედეგად. ევროკავშირის რეგულაცია საკვები პროდუქტების დამაბინძურებლების შესახებ ადგენს აკრძალვებს საკვებ პროდუქტებში შემდეგი მძიმე მეტალების არსებობაზე: ტყვია (ხილში, ხილის წვენებში და სხვადასხვა სახეობის ბოსტნეულში); კადმიუმი (ხილსა და ბოსტნეულში) და ვერცხლისწყალი საკვებ დანამატებში და თუნუქის ქილებში (დაკონსერვებულ საკვებსა და სასმელებში) (https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A32006R1881).

მიკრობიოლოგიური დამაბინძურებლების საფრთხის შემცირება

ყველაზე გავრცელებული მიკრობიოლოგიური დამაბინძურებლები გადამუშავებულ ხილსა და ბოსტნეულში სალმონელა და ისეთი ვირუსებია, როგორიცაა ნოროვირუსი და A ჰეპატიტის ვირუსები. ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით, სალმონელა დაბინძურების მთავარი წყაროა არაპასტერიზებული ხილისა და ბოსტნეულის წვენებში. ის შეიძლება აღმოჩნდეს სხვა გადამუშავებული ხილისა და ბოსტნეულის პროდუქტებშიც. იხილეთ: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:02005R2073-20140601&rid=1).

ევროკავშირში იმპორტირებული საკვები პროდუქტების ოფიციალური სასაზღვრო კონტროლი

საკვები პროდუქტების ოფიციალური კონტროლი მოიცავს რეგულარულ ინსპექტირებას, რომელიც შეიძლება ჩატარდეს იმპორტის დროს ან პროდუქტის ბაზარზე გატანის ნებისმიერ შემდგომ ეტაპზე. ევროკავშირის სურსათთან დაკავშირებული კანონმდებლობის მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევების შესახებ შეტყობინება იგზავნება ევროკავშირის სურსათის/ცხოველის საკვების სწრაფი განგაშის სისტემის (RASFF) მეშვეობით, რომელიც უფასოდაა ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისთვის.

კონკრეტული სახელმწიფოს მიერ ევროპული კანონმდებლობის განმეორებითი შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაძლოა მოცემულ სახელმწიფოს შეეცვალოს იმპორტირების პირობები ან შეუჩერდეს იმპორტი. ეს არის რისკზე დაფუძნებული მიდგომის ნაწილი, რომელსაც მისდევენ სურსათის უვნებლობაზე პასუხისმგებელი უწყებები, რომლებიც რესურსებს მიმართავენ ყველაზე მაღალი რისკის შემცველი პროდუქტებისა და წყაროებისკენ.

თუმცა ევროპის ბაზარზე გატანილი პროდუქციის მხოლოდ მცირე ნაწილი ექვემდებარება ოფიციალურ (ფიზიკურ) შემოწმებას, ვინაიდან სურსათის უვნებლობაზე უპირველესი პასუხისმგებლობა აკისრია ბიზნეს-ოპერატორს, როგორიც არის იმპორტიორი. ამგვარად, იმპორტიორი ახორციელებს ინსპექტირების ძირითად ნაწილს, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქტის უვნებლობას. მან შეიძლება მოითხოვოს აგრეთვე სერტიფიცირება და ხარისხისა და უვნებლობის სხვა სახის მტკიცებულებები.

ევროპარლამენტმა და საბჭომ 2017 წლის 15 მარტს მიიღეს ახალი რეგულაცია ოფიციალური კონტროლის შესახებ, რომელიც ძალაში იმავე წლის 27 აპრილს შევიდა. საკვების ოფიციალური კონტროლის შესახებ ქვემდებარე კანონმდებლობა ახლო მომავალში უნდა გადაიხედოს. განაცხადების შეტანის თარიღებს გაეცნობით განრიგში. ახალი რეგულაციით ფართოვდება მისი

სამოქმედო სივრცე და მოიცავს ორგანულ პროდუქტებს. ექსპორტიორები მესამე ქვეყნებიდან გამოიყენებენ ერთ სტანდარტულ შესასვლელ საბუთს ჯანმრთელობის შესახებ (Common Health Entry Document) ექსპორტზე წინასწარი შეტყობინებისთვის.

კონკრეტული ქვეყნებიდან შემოსული გარკვეული სახეობის პროდუქტების განმეორებითი შეუსაბამობის შემთხვევაში მოცემული პროდუქტების იმპორტი შესაძლებელია უფრო მკაცრი პირობებით. ეს პირობები მოიცავს მოცემული ქვეყნებიდან შემოტანილი პარტიის გარკვეული ნაწილის ლაბორატორიული შემოწმების შედეგების წარდგენასაც. პროდუქტები იმ ქვეყნებიდან, რომლებმაც განმეორებით ვერ დააკმაყოფილეს ევროპული მოთხოვნები, შეტანილია სიის სახით რეგულაციის დანართში იმპორტზე ოფიციალური კონტროლის გაზრდილი დონის შესახებ.

მოთხოვნა პროდუქტის შემადგენლობის აღნიშვნაზე

მყიდველებს და ევროპის უფლებამოსილ უწყებებს შეუძლიათ უარი თქვან პროდუქტზე, თუ მასში არადეკლარირებული, დაუშვებელი მასალებია ან დიდი ოდენობით შეიცავს უცხო ნივთიერებებს. საკვებდანამატების (მაგალითად, ფერები, გამასქელებლები) და არომატული ნივთიერებების შესახებ არსებობს კანონი, რომელშიც ჩამოთვლილია რა რაოდენობის (E-numbers) და რა ნივთიერებებია დაშვებული საკვებ პროდუქტში გამოსაყენებლად. თუ მწარმოებელს პროდუქტში ვიტამინების დამატება სურს, მან უნდა შეისწავლოს, თუ რომელი ვიტამინის (დანართი I), რა წარმოშობის და რა შემადგენლობის ვიტამინების თუ მინერალების გამოყენებაა ნებადართული (დანართი II).

ნებადართული დანამატები ჩამოთვლილია საკვები დანამატების შესახებ რეგულაციის II დანართში. საკვები დანამატების ნებადართული გამოყენება მითითებულია იმ საკვები პროდუქტების კატეგორიების მიხედვით, რომლებშიც შესაძლებელია მათი დამატება. რეგულაციის სხვა დანართებში გაეცნობით ნებადართულ საკვებ ენზიმებს, არომატიზატორებსა და საღებავებს. უნდა აღინიშნოს, რომ ვაშლის, ციტრუსოვანი ხილის ან კომშისგან მიღებული პექტინი, რომელიც ჯემებისა და მარმელადის წარმოებაში გამოიყენება, არ ითვლება საკვებ დანამატად.

დასაშვებია ხილის წვენისა და ხილის ნექტარისთვის ვიტამინებისა და მინერალების დამატება. მათი ზღვრული რაოდენობა ჯერჯერობით დადგენილი არ არის, მაგრამ ევროკომისია მუშაობს ამ საკითხზე.

2009 წლის 20 იანვრამდე დაშვებული საკვებდანამატები ხელახლა უნდა შეფასდეს რისკებზე ევროპის სურსათის უვნებლობის სააგენტოს მიერ. ამჟამად ტესტს გადიან ხილისა და ბოსტნეულის დანამატები სორბატები და სულფიტები, თუმცა უცნობია, როდის შეიტანს კომისია ცვლილებებს ზღვრულ დონეებში.

კონკრეტული პროდუქტებისთვის გათვალისწინებული წესები, რომლებიც შემადგენლობას ეხება, გამოიყენება აგრეთვე ხილის წვენების, ჯემების, ჟელეების, მარმელადის და ტკბილი წაბლის პიურესთვის. დირექტივაში მითითებულია, თუ რა ნადლეული უნდა იყოს გამოყენებული და რომელი საკვებდანამატებია დაშვებული. გადამუშავებული ხილისა და ბოსტნეულის სექტორში თავს იჩენს პრობლემები, რომლებიც უკავშირდება არადეკლარირებულ ან დიდი რაოდენობით გამოყენებულ კონსერვანტებს.

ასევე, პრობლემური საკითხია სულფიტების გამოყენება კონსერვანტად ჩირსა და ქოქოსის პროდუქტებში, და ბენზოინის მჟავისა - ზოგიერთ ბოსტნეულის მწნილში. კიდევ ერთი ხშირი პრობლემაა სასურსათო საღებავების მაღალი შემადგენლობა, ან ამ შემადგენლობის მიუთითებლობა. მაგალითად, საღებავი E110 – „ჩამავალი მზის ფერი“, რომელსაც ხილის ცუკატებში ვხვდებით, და საღებავი E102 - ტარტრაზინი, ასევე ყვითელი ფერის, რომელიც სუნელებში, სპრედებში, დამწნილებულ პროდუქტებსა და უალკოჰოლო სასმელებში გვხდება.

წვენები

წვენების ექსპორტი ევროკავშირში, ჩვეულებრივ, ნახევარფაბრიკატების სახით ხორციელდება (შეუფუთავად დიდი პარტიებით, კასრებითა და კონტეინერებით), მომხმარებლისთვის კი ევროპული მინის ტარის კომპანიების მიერ იფუთება.

პროდუქტის განსაზღვრება

ხილის წვენი განიმარტება როგორც ხილის საკვებად ვარგისი ნაწილის არაფერმენტირებული სითხე. და თუმცა წვენი შეიძლება მივიღოთ ახალი ხილის გაწურვით, მსოფლიო ბაზარზე მათი უმეტესობა იწარმოება ისეთი ნედლეულისგან, როგორიცაა კონცენტრირებული წვენები და ფაფები. ხილის წვენში შეიძლება იყოს ფაფისებრი მასა, მაგრამ ის არ შეიძლება შეიცავდეს:

- ნაჭუჭს, ჩენჩოს;
- მარცვლებს, კურკებს;
- უხეშ ან მაგარ ნაწილებს;
- ჭარბი რაოდენობის რბილობს.

ექსპორტისთვის განკუთვნილი ხილის წვენი, ჩვეულებრივ, კონცენტრირებულია და მოგვიანებით წყლით ზავდება. ეს პრაქტიკული მოსაზრებით ხდება ტრანსპორტირების ხარჯების შესამცირებლად, რადგან იზოგება წყლისა და შეფუთვის ხარჯები. ხილფაფები და კონცენტრირებული ხილფაფები გამოიყენება კონკრეტული სახეობის წვენების საწარმოებლად (მაგალითად, მარწყვის, ატმის, გარგარის და ა.შ.). ისინი მიიღება შესაბამისი საწარმოო პროცესების გამოყენებით, მაგალითად, ხილის საკვებად ვარგისი ნაწილის და გათლილი ხილის გაცრით, დაფხვნით, დაწნეხვით ისე, რომ წვენი არ განცალკევდეს.

ხილის წვენებს შეიძლება დაემატოს ვიტამინები და მინერალები. ვარგისი საკვებდანამატების ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ ევროკავშირის ორ რეგულაციაში, კერძოდ, ვიტამინებისა და მინერელების დამატების და საკვებდანამატების შესახებ რეგულაციებში. სხვა ნებართულ ინგრედიენტებს შორისაა არომატიზატორი, რბილობი და უჯრედები.

სახელწოდება „ხილის წვენი" მხოლოდ 100% ხილის წვენისთვისაა განკუთვნილი, მაგრამ თუ ხილის წვენში დამატებულია შაქარი ან წვენი გაზავებულია წყლით, მას ნექტარი ან ხილის სასმელი უნდა ეწოდოს.

ხარისხი

გამომდინარე წარმოების პრაქტიკიდან, ხილის წვენების ხარისხისადმი წაყენებული ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნა შემდეგი პარამეტრებით განისაზღვრება:

- ფერი: ხილის სახეობისთვის და ჯიშისთვის დამახასიათებელი;
- გემო და სუნი: ხილის აშკარა გემო და სუნი, რომელსაც უცხო გემო და სუნი არ დაჰკრავს;
- ბრიქსის დონე: კონცენტრირებული ხილის წვენის ხარისხის მაჩვენებელი (შაქრის შემცველობა წყლის ხსნარში). ბრიქსის დონე პირდაპირ გავლენას ახდენს პროდუქტის ფასზე. არაკონცენტრატებისგან დამზადებული პროდუქტებისთვის ბრიქსის მინიმალური ზღვრის დაცვა სავალდებულოა.
- შემადგენლობა: შერეული წვენის შემთხვევაში - ხილის სხვადასხვა სახეობისგან მიღებული წვენების წილი.

დამატებითი მოთხოვნებია:

- რბილობის შემადგენლობა: ხარისხის მაჩვენებელია გარკვეული სახის ხილის წვენებისთვის, მაგალითად, ფორთოხლისა და ანანასისთვის. იმპორტიორმა შეიძლება მოითხოვოს უფრო მეტი რბილობის შემცველი პროდუქტი, რადგან ევროპელ მომხმარებლებს შორის სულ უფრო პოპულარული ხდება ის წვენები, რომლებშიც რბილობი შეიმჩნევა.
- მჟავიანობის დონე: ბრიქსის დონის გარდა, გარკვეული სახეობის ხილის წვენების ფასსა და ხარისხზე პირდაპირ გავლენას ახდენს ლიმონმჟავის დონე.

ევროპის 2001/112/EC და 2012/12/EU დირექტივებში განსაზღვრულია:

- ხილის წვენების;
- კონცენტრირებული ხილის წვენების;
- დეჰიდრატირებული ხილის წვენების;
- ხილის ნექტარების

შემადგენლობა, ასევე განსაზღვრულია ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტების სახელწოდებები, საწარმოო და შეფუთვის მახასიათებლები და ბრიქსის დონეებიც განმეორებით გაზავებული ხილის წვენებისა და ხილფაფებისთვის. უკანასკნელად დირექტივა ხილის წვენების შესახებ 2012 წელს განახლდა.

ზომები და შეფუთვა

კონცენტრირებული ხილის წვენების საექსპორტო შეფუთვის ყველაზე გავრცელებული ფორმებია ასეპტიკურად ან სტერილურად შევსებული:

- ტომარა ყუთში - 20 ლ;
- პლასტიკური კონტეინერი - 20 ლ;
- ფოლადის კასრი - 200-250 ლ;
- პლასტიკური კასრი - 200-250 ლ;
- უჟანგავი ფოლადის კონტეინერი - 200-800 ლ;
- დასაკეცი კონტეინერი, დიდგაბარიტიანი -1000 ლ;
- ცისტერნა, ჩვეულებრივ, 25,000 ლ.

რაც შეეხება შეფუთვას საცალო გაყიდვის მიზნებისათვის, ევროპის ბაზარზე ხილის წვენების უმეტესობა იყიდება მუყაოს, პლასტიკისა და მინის კონტეინერებში.

სურსათის უვნებლობა

ევროკავშირი მუდმივად მუშაობს იმაზე, რომ მისი ბაზარი უზრუნველყოფილი იყოს მსოფლიოში ყველაზე უვნებელი საკვები პროდუქტებით. პროდუქტების მიმართ მოქმედებს ერთნაირი სტანდარტები, იმის მიუხედავად, იმპორტირებულია პროდუქტი თუ დამზადებულია ევროკავშირში. „სურსათის ძირითადი კანონი" ჩარჩო კანონმდებლობაა ევროკავშირის ბაზარზე, რომელთანაც შესაბამისობაშია სურსათთან დაკავშირებული კანონმდებლობის 90%.

ევროკავშირმა შეიმუშავა ინტეგრირებული მიდგომა, ე.წ. „ფერმიდან ჩანგლამდე", რომელიც მოიცავს საკვები პრუდუქტის წარმოების ჯაჭვის ყველა სექტორს. ეს კი ნიშნავს, რომ ნებისმიერი სახის საკვები პროდუქტის მიკვლევადობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა დონეზე და ასევე შეზღუდული უნდა იყოს დაბინძურების რისკი. ამ მიზნის მისაღწევად საკვები პროდუქტების სექტორის ბიზნეს-ოპერატორებმა საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემა უნდა დანერგონ ყოველდღიურ საქმიანობაში. ყურადღება მიაქციეთ, რომ ბიზნეს-ოპერატორთა რიგებში შედიან ექსპორტიორებიც, რომლებსაც პროდუქცია განვითარებადი ქვეყნებიდან შემოაქვთ.

„სურსათის ძირითადი კანონის" აღსულებაზე მონიტორინგს ერთმანეთთან თანამშრომლობით ადგილობრივი და ევროპული ორგანიზაციები ახორციელებენ. კანონით შექმნილია ევროპის სურსათის უვნებლობის სააგენტო (EFSA), რომელიც ვალდებულია, შექმნას და განავითაროს სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული კანონები და, აგრეთვე, ჩამოაყალიბოს ოფიციალური კონტროლის ჩარჩო მექანიზმები.

მიუხედავად იმისა, რომ სურსათის უვნებლობის სერტიფიცირება ევროპული კანონმდებლობით სავალდებულო არ არის, ის მაინც აუცილებელი გახდა თითქმის ყველა ევროპელი საკვების პროდუქტების იმპორტიორისთვის. ევროკავშირში აღიარებული იმპორტიორები არ დაამყარებენ

საქმიან კონტაქტს მასთან, ვისაც არ გააჩნია რაიმე სახის სურსათის უვნებლობის სერტიფიცირების მტკიცებულება, რომელიც თანამშრომლობის საფუძველი ხდება.

ევროპელი მყიდველების უმრავლესობა მოითხოვს სურსათის უვნებლობის გლობალური ინიციატივის (GFSI) სერტიფიცირებას. ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმოებისა და სავაჭრო ქსელებისთვის ყველაზე პოპულარული პროგრამებია:

- სურსათის საერთაშორისო სტანდარტები (IFS);
- ბრიტანული გაყიდვების კონსორციუმის (BRC) სტანდარტები;
- სურსათის უვნებლობის სისტემის სერტიფიცირება (FSSC 22000).

ეს ჩამონათვალი ამომწურავი არ არის, სურსათის უვნებლობის მართვის სისტემები მუდმივად ვითარდება, თუმცა მათი უმრავლესობა ეფუძნება არსებულ ISO-ს სტანდარტებს, მაგ. ISO 22000-ს.

მართალია, სერტიფიცირების სხვადასხვა სქემა ერთსა და იმავე პრინციპებს ეფუძნება, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ზოგიერთმა მყიდველმა მართვის ერთ კონკრეტულ სქემას მიანიჭოს უპირატესობა. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ სურსათის უვნებლობის სქემის გამოყენება მხოლოდ საბაზისო საფეხურია ევროკავშირში ექსპორტისთვის. სანდო მყიდველი, ჩვეულებრივ, ადგილზე მოინახულებს წარმოების საშუალებებს, ხოლო თუ მიწოდება მსხვილ საცალო ქსელებში ხორციელდება, მათმა წარმომადგენლებმა შეიძლება ადგილზე წელიწადში რამდენჯერმე ჩაატარონ აუდიტი.

„სურსათის ზოგადი კანონიდან“ გამომდინარე სამართლებრივი მოთხოვნების ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებიც განვითარებადი ქვეყნებიდან ექსპორტიორებისთვის არის რელევანტური, მოიცავს ევროკავშირში იმპორტირებული სურსათის და დამაბინძურებლების კონტროლს.

დამაბინძურებლები

დამაბინძურებელი ნივთიერებები საკვებ პროდუქტში შეიძლება მოხვდეს მისი წარმოების პროცესის სხვადასხვა ეტაპზე და მათ შედეგად, მაგალითად, შეფუთვისას, ტრანსპორტირებისას ან გარემოს ზემოქმედებისას. ევროკავშირმა მკაცრი და ფართო ზომები განახორციელა საკვებ პროდუქტებში დამაბინძურებლების მინიმუმამდე შემცირების მიზნით. ევროკავშირის რეგულაციაში განსაზღვრულია საკვებ პროდუქტებში გარკვეული დამაბინძურებლების ზღვრული დონეები. აღნიშნული რეგულაციის განახლება ხშირად ხდება და, გარდა ძირითადი საკვები პროდუქტებისათვის დადგენილი ზღვრული დონეებისა, მასში გათვალისწინებულია კონკრეტული დამაბინძურებლების ნორმები გარკვეულ პროდუქტებში (https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A32006R1881). დამაბინძურებლებს განეკუთვნება:

პესტიციდების ნარჩენების მინიმალური რაოდენობა

ევროკავშირმა დაადგინა პესტიციდების ნარჩენების ზღვრული დონე საკვებ პროდუქტებში(ზე) (MRL) (https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2005:070:0001:0016:en:PDF). ნარჩენების ზღვრული დონის გადაჭარბების შემთხვევაში პროდუქტი გაიდევნება ევროკავშირის ბაზრიდან. ევროკავშირი რეგულარულად აქვეყნებს იმ დამტკიცებული პესტიციდების ჩამონათვალს, რომელთა გამოყენება ნებადართულია ევროკავშირში. ხშირად ხდება აღნიშნული ჩამონათვალის განახლება. ევროკავშირის დირექტივა „პესტიციდების ნარჩენების ზღვრული დონეების შესახებ“ განსაზღვრავს მაქსიმალურად დასაშვებ დონეებს (MRL) და ხშირად უნდა გადამოწმდეს. მაქსიმალურად დასაშვები დონეები ვრცელდება გაუყინავი პროდუქტების გარკვეულ რაოდენობაზე და ამავე პროდუქტებზე გადამუშავების შემდეგ. პესტიციდების ზოგადი მაქსიმალური დასაშვები დონე 0.01 მგ/კგ გამოიყენება მაშინ, როცა პესტიციდი კონკრეტულად არ არის მოხსენიებული. ზოგიერთმა ევროპელმა მყიდველმა პესტიციდების ნარჩენებისთვის შეიძლება ოფიციალური რეგულაციებით განსაზღვრულ დონეებზე უფრო მკაცრი ზღვრები დააწესოს. გადამუშავებული ხილისა და ბოსტნეულის იმპორტიორებმა შეიძლება შეუსაბამობის რისკის შემცირება არჩიონ და უვნებლობის უფრო მაღალი დონე დააწესონ ოფიციალურთან შედარებით.

საკვებ პროდუქტებში მძიმე მეტალების ოდენობის შეზღუდვა

მძიმე მეტალები საკვებში შეიძლება აღმოჩნდეს როგორც ნარჩენი, გარემოში მათი არსებობის და ადამიანის ისეთი საქმიანობის შედეგად, როგორიც არის ფერმერობა ან მრეწველობა, ან მანქანის გამონაბოლქვის და საკვები პროდუქტის გადამუშავების თუ შენახვის შედეგად. ევროკავშირის რეგულაცია საკვები პროდუქტების დამაბინძურებლების შესახებ ადგენს აკრძალვებს საკვებ პროდუქტებში შემდეგი მძიმე მეტალების არსებობაზე: ტყვია (ხილში, ხილის წვენებში და სხვადასხვა სახეობის ბოსტნეულში); კადმიუმი (ხილსა და ბოსტნეულში) და ვერცხლისწყალი საკვებ დანამატებში და თუნუქის ქილებში (დაკონსერვებულ საკვებსა და სასმელებში) (https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A32006R1881).

მიკრობიოლოგიური დამაბინძურებლების საფრთხის შემცირება

ყველაზე გავრცელებული მიკრობიოლოგიური დამაბინძურებლები გადამუშავებულ ხილსა და ბოსტნეულში სალმონელა და ისეთი ვირუსებია, როგორიცაა ნოროვირუსი და A ჰეპატიტის ვირუსები. ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით, სალმონელა დაბინძურების მთავარი წყაროა არაპასტერიზებული ხილისა და ბოსტნეულის წვენებში. ის შეიძლება აღმოჩნდეს სხვა გადამუშავებული ხილისა და ბოსტნეულის პროდუქტებშიც. იხილეთ: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:02005R2073-20140601&rid=1).

ევროკავშირში იმპორტირებული საკვები პროდუქტების ოფიციალური სასაზღვრო კონტროლი

საკვები პროდუქტების ოფიციალური კონტროლი მოიცავს რეგულარულ ინსპექტირებას, რომელიც შეიძლება ჩატარდეს იმპორტის დროს ან პროდუქტის ბაზარზე გატანის ნებისმიერ შემდგომ ეტაპზე. ევროკავშირის სურსათთან დაკავშირებული კანონმდებლობის მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევების შესახებ შეტყობინება იგზავნება ევროკავშირის სურსათის/ცხოველის საკვების სწრაფი განგაშის სისტემის (RASFF) მეშვეობით, რომელიც უფასოდაა ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისთვის.

კონკრეტული სახელმწიფოს მიერ ევროპული კანონმდებლობის განმეორებითი შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაძლოა მოცემულ სახელმწიფოს შეეცვალოს იმპორტირების პირობები ან შეუჩერდეს იმპორტი. ეს არის რისკზე დაფუძნებული მიდგომის ნაწილი, რომელსაც მისდევენ სურსათის უვნებლობაზე პასუხისმგებელი უწყებები, რომლებიც რესურსებს მიმართავენ ყველაზე მაღალი რისკის შემცველი პროდუქტებისა და წყაროებისკენ.

თუმცა ევროპის ბაზარზე გატანილი პროდუქციის მხოლოდ მცირე ნაწილი ექვემდებარება ოფიციალურ (ფიზიკურ) შემოწმებას, ვინაიდან სურსათის უვნებლობაზე უპირველესი პასუხისმგებლობა აკისრია ბიზნეს-ოპერატორს, როგორიც არის იმპორტიორი. ამგვარად, იმპორტიორი ახორციელებს ინსპექტირების ძირითად ნაწილს, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქტის უვნებლობას. მან შეიძლება მოითხოვოს აგრეთვე სერტიფიცირება და ხარისხისა და უვნებლობის სხვა სახის მტკიცებულებები.

ევროპარლამენტმა და საბჭომ 2017 წლის 15 მარტს მიიღეს ახალი რეგულაცია ოფიციალური კონტროლის შესახებ, რომელიც ძალაში იმავე წლის 27 აპრილს შევიდა. საკვების ოფიციალური კონტროლის შესახებ ქვემდებარე კანონმდებლობა ახლო მომავალში უნდა გადაიხედოს. განაცხადების შეტანის თარიღებს გაეცნობით განრიგში. ახალი რეგულაციით ფართოვდება მისი სამოქმედო სივრცე და მოიცავს ორგანულ პროდუქტებს. ექსპორტიორები მესამე ქვეყნებიდან გამოიყენებენ ერთ სტანდარტულ შესასვლელ საბუთს ჯანმრთელობის შესახებ (Common Health Entry Document) ექსპორტზე წინასწარი შეტყობინებისთვის.

კონკრეტული ქვეყნებიდან შემოსული გარკვეული სახეობის პროდუქტების განმეორებითი შეუსაბამობის შემთხვევაში მოცემული პროდუქტების იმპორტი შესაძლებელია უფრო მკაცრი

პირობებით. ეს პირობები მოიცავს მოცემული ქვეყნებიდან შემოტანილი პარტიის გარკვეული ნაწილის ლაბორატორიული შემოწმების შედეგების წარდგენასაც. პროდუქტები იმ ქვეყნებიდან, რომლებმაც განმეორებით ვერ დააკმაყოფილეს ევროპული მოთხოვნები, შეტანილია სიის სახით რეგულაციის დანართში იმპორტზე ოფიციალური კონტროლის გაზრდილი დონის შესახებ.

მოთხოვნა პროდუქტის შემადგენლობის აღნიშვნაზე

მყიდველებს და ევროპის უფლებამოსილ უწყებებს შეუძლიათ უარი თქვან პროდუქტზე, თუ მასში არადეკლარირებული, დაუშვებელი მასალებია ან დიდი ოდენობით შეიცავს უცხო ნივთიერებებს. საკვებდანამატების (მაგალითად, ფერები, გამასქელებლები) და არომატული ნივთიერებების შესახებ არსებობს კანონი, რომელშიც ჩამოთვლილია რა რაოდენობის (E-numbers) და რა ნივთიერებებია დაშვებული საკვებ პროდუქტში გამოსაყენებლად. თუ მწარმოებელს პროდუქტში ვიტამინების დამატება სურს, მან უნდა შეისწავლოს, თუ რომელი ვიტამინის (დანართი I), რა წარმოშობის და რა შემადგენლობის ვიტამინების თუ მინერალების გამოყენებაა ნებადართული (დანართი II).

ნებადართული დანამატები ჩამოთვლილია საკვები დანამატების შესახებ რეგულაციის II დანართში. საკვები დანამატების ნებადართული გამოყენება მითითებულია იმ საკვები პროდუქტების კატეგორიების მიხედვით, რომლებშიც შესაძლებელია მათი დამატება. რეგულაციის სხვა დანართებში გაეცნობით ნებადართულ საკვებ ენზიმებს, არომატიზატორებსა და საღებავებს. უნდა აღინიშნოს, რომ ვაშლის, ციტრუსოვანი ხილის ან კომშისგან მიღებული პექტინი, რომელიც ჯემებისა და მარმელადის წარმოებაში გამოიყენება, არ ითვლება საკვებ დანამატად.

დასაშვებია ხილის წვენისა და ხილის ნექტარისთვის ვიტამინებისა და მინერალების დამატება. მათი ზღვრული რაოდენობა ჯერჯერობით დადგენილი არ არის, მაგრამ ევროკომისია მუშაობს ამ საკითხზე.

2009 წლის 20 იანვრამდე დაშვებული საკვებდანამატები ხელახლა უნდა შეფასდეს რისკებზე ევროპის სურსათის უვნებლობის სააგენტოს მიერ. ამჟამად ტესტს გადიან ხილისა და ბოსტნეულის დანამატები სორბატები და სულფიტები, თუმცა უცნობია, როდის შეიტანს კომისია ცვლილებებს ზღვრულ დონეებში.

კონკრეტული პროდუქტებისთვის გათვალისწინებული წესები, რომლებიც შემადგენლობას ეხება, გამოიყენება აგრეთვე ხილის წვენების, ჯემების, ჟელეების, მარმელადის და ტკბილი წაბლის პიურესთვის. დირექტივაში მითითებულია, თუ რა ნადლეული უნდა იყოს გამოყენებული და რომელი საკვებდანამატებია დაშვებული. გადამუშავებული ხილისა და ბოსტნეულის სექტორში თავს იჩენს პრობლემები, რომლებიც უკავშირდება არადეკლარირებულ ან დიდი რაოდენობით გამოყენებულ კონსერვანტებს.

ასევე, პრობლემური საკითხია სულფიტების გამოყენება კონსერვანტად ჩირსა და ქოქოსის პროდუქტებში, და ბენზოინის მჟავისა - ზოგიერთ ბოსტნეულის მწნილში. კიდევ ერთი ხშირი პრობლემაა სასურსათო საღებავების მაღალი შემადგენლობა, ან ამ შემადგენლობის მიუთითებლობა. მაგალითად, საღებავი E110 – „ჩამავალი მზის ფერი“, რომელსაც ხილის ცუკატებში ვხვდებით, და საღებავი E102 - ტარტრაზინი, ასევე ყვითელი ფერის, რომელიც სუნელებში, სპრედებში, დამწნილებულ პროდუქტებსა და უალკოჰოლო სასმელებში გვხდება.

ხილის წვენების წარმოების სფეროში ერთ-ერთ სიახლეს წარმოადგენს SGF (თვითკონტროლის სისტემა ხილის წვენების წარმოებაში) სერტიფიცირების სქემა, რომლის მიზანია უფრო უვნებელი და ხარისხიანი პროდუქტის მიღების ხელშეწყობა და სამართლიანი კონკურენტული გარემოს შექმნა ამ წარმოების თვითრეგულირების გზით. SGF სერტიფიკატი გაიცემა მსოფლიოს თითქმის 60 ქვეყანაში ხილის გადამამუშავებელი და ჩამომსხმელი კომპანიებისთვის, შემფუთველებისთვის, მყიდველებისა და ბროკერებისთვის, აგრეთვე სატრანსპორტო კომპანიებისა და მაცივარ-საწყობებებისთვის.

ნედლეულის მიმწოდებლებისთვის განვითარებად ქვეყნებში, რომლებიც ხილის წვენების წარმოებაში საქმიანობენ, SGF სერტიფიცირების სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილი ე.წ. „საერთაშორისო ნედლეულის გარანტიაა“ (IRMA). ხილის წვენების წარმოებაში დაკავებული პირებისთვის იდეალური ვარიანტი იქნებოდა, თუ მთლიანად მიწოდების ჯაჭვს გააკონტროლებდნენ და ფერმერები GlobalGap-ის, ხილის გადამამუშავებლები IRMA-ს, ხოლო ჩამომსხმელები EQCS-ს (ევროპის ხარისხის კონტროლის სისტემა წვენებისა და ნექტარებისათვის) სერტიფიკატების მფლობელები იქნებოდნენ.

ყურძნისეული სპირტიანი სასმელები

საქართველოდან ევროკავშირის ბაზარზე გატანილი ყურძნისეული სპირტიანი სასმელები ექვემდებარება ეტიკეტირების, შეფუთვისა და მიკვლევადობის მოთხოვნებს:

- https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32019R0787

ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად, ყურძნის ჭაჭა ან სპირტი ალკოჰოლიანი სასმელია, რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ პირობებს აკმაყოფილებს:

- ის დამზადებულია მხოლოდ და მხოლოდ ყურძნის ჩენჩოსგან და ფერმენტირებული და დისტილირებულია პირდაპირ წყლის ორთქლით ან წყლის დამატების შემდეგ;
- ლექის რაოდენობა, რომელიც შეიძლება ყურძნის სპირტს დაემატოს, არ უნდა აღემატებოდეს 25 კგ-ს 100კგ-ზე;
- ღვინის ლექიდან მიღებული ალკოჰოლის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დამთავრებულ პროდუქტში არსებულის 35%-ს;
- დისტილაცია უნდა მოხდეს 86%-ზე ნაკლები მოცულობის ჩენჩოს მონაწილეობით.
- დაშვებულია განმეორებითი დისტილაცია იმავე ალკოჰოლურ სიმაგრეზე;
- შეიცავს აქროლად ნივთიერებებს (140 გრამს ან მეტს ერთ ჰექტალიტრ სუფთა სპირტზე) და მეთილის სპირტს (მაქსიმუმ 1000 გრ ერთ ჰექტალიტრ სუფთა სპირტზე);
- მინიმალური ალკოჰოლური სიმაგრე 37.5% ჭაჭის ან ჭაჭის არყის მოცულობის მიხედვით;
- მიუხედავად იმისა, გაზავებულია თუ არა, არ უნდა დაემატოს ალკოჰოლი (I დანართის მე-5 პუნქტი);
- ყურძნის სპირტს და ჭაჭას არ უნდა დაემატოს არომატიზატორები, თუმცა წარმოების ტრადიციული მეთოდების გამოყენება არ გამოირიცხება.
- შეფერილობის მისაცემად ყურძნის სპირტი და ჭაჭა შეიძლება მხოლოდ კარამელს შეიცავდეს (https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/ALL/?uri=CELEX%3A52005PC0125).

საქართველოს ექსპორტის საბაჟო ტარიფები ევროკავშირში

საქართველოდან ევროკავშირში შესული ყველა შესწავლილი პროდუქტის საბაჟო გადასახდელი 0%-ია. მხოლოდ ვაშლატამის და ჟოლოს შემთხვევაში არსებობს ფასის მინიმალური მოთხოვნები, კერძოდ:

- ვაშლატამისთვის - საიმპორტო ერთეულის ფასი 100 კგ-ზე 161.7 ევრო ან მეტი უნდა იყოს;
- ჟოლოსთვის - 100 კგ-ზე 910.7 ევრო ან მეტი.

ანალიზის შედეგები

ანგარიშის ამ ნაწილში წარმოდგენილია საქართველოს საექსპორტო შესაძლებლობები რუმინეთსა და ბულგარეთში, რომლებსაც საფუძვლად უდევს შერჩეული პროდუქტების საექსპორტო და საიმპორტო ერთეულების ფასების შედარება.

ყველა პროდუქტს, გარდა გარგარის, შავი ქლიავის, ატმისა და მსხლის ჩირისა, რუმინეთის ან ბულგარეთის ან ორივე ქვეყნის ბაზარზე შესვლის შესაძლებლობა აქვს. ყველაზე პერსპექტიული მაინც ხილის წვენები და ყურძნისეული სპირტიანი სასმელებია, შემდეგ კი გაუყინავი კენკრა, ვაშლატამა და ატამი. საქართველოს საექსპორტო ერთეულების და ბულგარეთისა და რუმინეთის საიმპორტო

ერთეულების ფასების შედარებითი ცხრილი შერჩეულ პროდუქტებზე მოცემულია ქვემოთ, 81-ე ცხრილში.

ცხრილი 81. საქართველოს საექსპორტო შესაძლებლობები საექსპორტო და საიმპორტო ერთეულების ფასების შედარებითი ანალიზის საფუძველზე

პროდუქტი	საქართველოს საექსპორტო შესაძლებლობა
ყურძნისეული სპირტიანი სასმელები	ბულგარეთშიც და რუმინეთშიც მთელი წლის განმავლობაში (სურ. 43)
ვაშლატამა	ბულგარეთში სექტემბერში და რუმინეთში ივნისსა და ოქტომბერში (სურ. 44)
ატამი	რუმინეთში მაისში, ივნისსა და სექტემბერში (სურ. 45)
მარწყვი	ბულგარეთშიც და რუმინეთშიც იანვარში, აპრილსა და მაისში (სურ. 46)
მაყვალი	ბულგარეთშიც და რუმინეთშიც ივლისში (სურ. 47)
მოცხარი და ხურტკმელი	რუმინეთში ივნის-აგვისტოს პერიოდში (სურ.48)
მტოში და ლურჯი მოცვი	რუმინეთში ივნის-ივლისში (სურ. 49)
გარგარის ჩირი	არსად (სურ. 50)
შავი ქლიავის ჩირი	არსად (სურ. 51)
ვაშლის ჩირი	ბულგარეთში ივნის-ივლისში (სურ. 52)
ატმის ჩირი	არსად (სურ. 53)
მსხლის ჩირი	არსად (სურ. 54)
წვენები	ბულგარეთშიც და რუმინეთშიც მთელი წლის განმავლობაში, იანვრის გარდა (სურ. 55)

სურ. 43. ყურძნისეული სპირტიანი სასმელების გასაყიდი ერთეულის ფასები



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

სურ. 44. ვაშლატამის გასაყიდი ერთეულის ფასები



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

სურ. 45. ატმის გასაყიდი ერთეულის ფასები



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

სურ. 46. მარწყვის გასაყიდი ერთეულის ფასები



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

სურ. 47. მაყვლის გასაყიდი ერთეულის ფასები



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

სურ. 48. მოცხრისა და ხურტკმლის გასაყიდი ერთეულის ფასები



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

სურ. 49. შტოში და ლურჯი მოცვი



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

სურ. 50. გარგარის ჩირის გასაყიდი ერთეულის ფასები



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

სურ. 51. შავი ქლიავის ჩირის გასაყიდი ერთეულის ფასები



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

სურ. 52. ვაშლის ჩირის გასაყიდი ერთეულის ფასები



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

სურ. 53. ატმის ჩირის გასაყიდი ერთეულის ფასები



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

სურ. 54. მსხლის ჩირის გასაყიდი ერთეულის ფასები



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

სურ. 55. წვენების გასაყიდი ერთეულის ფასები



წყარო: www.intracen.org, გაანგარიშებები

მარკეტინგული მიდგომა

საჭიროა გარკვეული ნაბიჯების გადადგმა შერჩეული პროდუქტების ბულგარეთში და რუმინეთში ექსპორტის ხელშესაწყობად. ეს ნაბიჯები ამგვარად შეიძლება შევაჯამოთ:

- კონკურენცია არა მარტო ფასის, არამედ ხარისხის თვალსაზრისითაც
- ხარისხის, ზომისა და ა.შ. ერთგვაროვნების უზრუნველყოფა
- მიწოდების ჯაჭვის ეფექტიანი ლოგისტიკური და ტრანსპორტირების პროცესების უზრუნველყოფა
- ევროკავშირში სავაჭრო გამოფენების გამოყენება პოტენციური მყიდველებისთვის / იმპორტიორებისთვის პროდუქტების გასაცნობად
- მყიდველებთან / იმპორტიორებთან გრძელვადიანი ურთიერთობების დამყარება
- პროდუქტების კონტრაქტში (მყიდველებთან / იმპორტიორებთან) განსაზღვრული სპეციფიკაცების დაცვა
- ევროკავშირის მცენარეთა სიჯანსაღისა და სურსათის უვნებლობის მოთხოვნების დაცვა
- არსებული სავაჭრო გზების გამოყენება
- წარმოების, ვაჭრობისა და ამინდის შესახებ ინფორმაციის მონიტორინგი

უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია მარკეტინგული სტრატეგიების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ:

- https://www.cbi.eu/market-information/fresh-fruit-vegetables/stone-fruit/
- https://www.cbi.eu/market-information/processed-fruit-vegetables-edible-nuts/competition-edible-nuts-dried-fruits/
- https://www.cbi.eu/market-information/processed-fruit-vegetables-edible-nuts/fruit-juices/europe/

პოტენციური რისკები და პრობლემის მოგვარების გზები

მარკეტინგის თვალსაზრისით უდიდესი რისკია, რომ ექსპორტიორმა არ დაიცვას მცენარეთა სიჯანსაღისა და სურსათის უვნებლობის მოთხოვნები და არ უზრუნველყოს პროდუქტების ხარისხისა და სხვა მახასიათებლების ერთგვაროვნება. პოტენციურ რისკებთან გასამკლავებლად აუცილებელია მწარმოებლებისა და ექსპორტიორების მუდმივი განათლება და მათთვის უცხოეთის კონკურენტ ქვეყნებში არსებული პრაქტიკის გაცნობა.

წარმოების თვალსაზრისით რისკები უკავშირდება ერთეულის წარმოების მაღალ ღირებულებას, რაც გამოწვეულია დაბალი პროდუქტიულობით და წარმოების მაღალი ხარჯებით. ამ რისკთან გამკლავება შესაძლებელია მწარმოებელთა შესაძლებლობების გაძლიერებით წარმოებასა და მოსავლის აღების შემდგომი დამუშავების პრაქტიკაში, ასევე წარმოების რესურსებსა და ინფრასტრუქტურაზე წვდომის და მათი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებით.

დასკვნა და რეკომენდაციები

საქართველოდან შერჩეული პროდუქტების რუმინეთისა და ბულგარეთის ბაზრებზე ექსპორტი მნიშვნელოვანი კონკურენციის წინაშე აღმოჩნდება. კონკურენტები იქნებიან ადგილობრივი მწარმოებლები სამიზნე ქვეყნებიდან, ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნებიდან და მესამე ქვეყნებიდან. რუმინეთსაც და ბულგარეთსაც წარმოების ისეთივე მოდელი აქვთ, როგორც საქართველოს; ორივე ქვეყანა აწარმოებს იმავე პროდუქტებს. ამავე დროს, ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნები და მეზობელი ბალკანეთის ქვეყნები და თურქეთი არიან იმ პროდუქტების მნიშვნელოვანი მწარმოებლები, რომლებიც საქართველოდან საექსპორტო პროდუქტების სახით შეირჩა.

ქვემოთ ჩამოთვლილია ის ზომები, რომლებიც უნდა განხორციელდეს საქართველოდან რუმინეთისა და ბულგარეთის ბაზრებზე შერჩეული პროდუქტების კონკურენტუნარიანი მიწოდების უზრუნველსაყოფად:

- მწარმოებელთა შესაძლებლობების გაძლიერება წარმოებაში
- მოსავლის აღების შემდგომი დამუშავების პრაქტიკის გაუმჯობესება
- წარმოების რესურსებსა და ინფრასტრუქტურაზე წვდომის და მათი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება
- ტრანსპორტირების მომსახურების ეფექტიანობის გაზრდა
- ქართული პროდუქტების რეკლამირება სამიზნე ბაზრებზე
- ქართული პროდუქტებისთვის სერტიფიცირების (GlobalGAP, BRC და სხვ.) მომსახურებაზე წვდომის გაუმჯობესება

წყაროები

- კურკოვანი ხილის ექსპორტი ევროპაში - https://www.cbi.eu/market-information/fresh-fruit-vegetables/stone-fruit/
- გაუყინავი ლურჯი მოცვის ექსპორტი ევროპაში - https://www.cbi.eu/market-information/fresh-fruit-vegetables/blueberries/
- გაუყინავი კენკროვანი კულტურების ექსპორტი ევროპაში - https://www.cbi.eu/market-information/fresh-fruit-vegetables/fresh-berries/europe/
- გაუყინავი მარწყვის ექსპორტი ევროპაში - https://www.cbi.eu/market-information/fresh-fruit-vegetables/fresh-strawberries/
- ხილის წვენების ექსპორტი ევროპაში - https://www.cbi.eu/market-information/processed-fruit-vegetables-edible-nuts/fruit-juices/europe/
- თხილისა და ჩირის წვენების ექსპორტი ევროპაში - https://www.cbi.eu/market-information/processed-fruit-vegetables-edible-nuts/edible-nuts-dried-fruits/europe/

Project funded by EUROPEAN UNION

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი - GIPA
იეთიმ გურჯის ქ. #9
0105 თბილისი, საქართველო
ტელ.: (995 32) 249 75 00
ელ.ფოსტა: drdve@gipa.ge
ვებგვერდი: www.gipa.ge

შავი ზღვის აუზის ერთობლივი სამოქმედო პროგრამა 2014-2020
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი - GIPA

შავი ზღვის აუზის ერთობლივი სამოქმედო პროგრამა 2014-2020
თანადაფინანსებულია ევროკავშირის საზღვრისპირა თანამშრომლობის სამეზობლო ინსტრუმენტისა და პროგრამაში მონაწილე შემდეგი ქვეყნების მიერ: სომხეთი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, მოლდოვას რესპუბლიკა, რუმინეთი, თურქეთი და უკრაინა.
პუბლიკაცია მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.
პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტი (RAPDI). ეს დოკუმენტი არ ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.